ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№051 (12730) 4 მარტი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




## ლაციოს პრეზიდენტი ციხეში

» 10

# მტკიცე გადაწყვეტილება



## არავის ვჭირდები, უნდა წავიდე!

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან » 5

## პარადოქსი ?



### პენალტიც იყო და სიმულაციაც? პრიჟაშვილს დანა პირს არ უხსნიდაო...

ერთი საკამათო ეპიზოდის ირგვლივ » 4



## დიდი ამბები პენალტის გამო

» 7



### ინტერი და იუვენტუსი: დაპირისპირება მოედანს მიღმა



### ამ თაობაში ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა

» 4 ინტერვიუ ოთარ გაბელიასთან



### ზაზა ფაჩულია უშეცდომოა

» 12 ბაკურიანიდან პირდაპირ ვაშინგტონში



### ბასილაშვილი ძირითად ბადეში მოხვდა

» 12 ჩოგბურთი

ბიბლიოთეკა

# საქართველოს XX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## თებერვლის ნომინანტები

მესამე სეზონია ჩვენი გაზეთი თვის ნომინანტებს ასახელებს და პირველად არის, რომ თებერვლის რჩეულთა ვინაობა უნდა გამცნოთ. აქამდე ჩემპიონატი ხომ, როგორც წესი, თებერვლის ბოლოს ან მარტის პირველ რიცხვებში უნდა განახლებულიყო ხოლმე; ჰოდა, „ათვლის წერტილად", რაღა თქმა უნდა, მარტი გვქონდა. აი, ახლა კი, თებერვალს... „ვერსად გავექცევით": ბოლოს და ბოლოს, გასულ თვეში გუნდების უმრავლესობამ ოთხ-ოთხი მატჩი ჩაატარა (ზოგმა — ხუთიც). მოკლედ, ამიერიდან თებერვალიც „სრულფასოვან" საფეხბურთო თვედ უნდა მივიჩნიოთ და შესაბამისად, ნომინანტებიც დავასახელოთ.

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 6 | 1 | 32-12 | 42 | 6 | 3 | 1 | 18-7 | 21 | 6 | 3 | 0 | 14-5 | 21 |
| 2. დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 41-15 | 41 | 9 | 1 | 0 | 30-7 | 28 | 4 | 1 | 4 | 11-8 | 13 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 11 | 3 | 5 | 24-13 | 36 | 7 | 0 | 3 | 15-6 | 21 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 4. ოლიმპი | 19 | 8 | 9 | 2 | 22-11 | 33 | 5 | 5 | 0 | 12-2 | 20 | 3 | 4 | 2 | 10-9 | 13 |
| 5. სიონი | 19 | 7 | 8 | 4 | 22-16 | 29 | 3 | 4 | 2 | 12-9 | 13 | 4 | 4 | 2 | 10-7 | 16 |
| 6. ლოკომოტივი | 19 | 8 | 3 | 8 | 23-19 | 27 | 5 | 0 | 4 | 11-6 | 15 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 7. მესხეთი | 19 | 5 | 6 | 8 | 14-24 | 21 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 | 2 | 2 | 5 | 4-14 | 8 |
| 8. მგლები | 19 | 5 | 4 | 10 | 17-25 | 19 | 4 | 1 | 4 | 10-7 | 13 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |
| 9. გაგრა | 20 | 4 | 4 | 12 | 14-34 | 16 | 4 | 3 | 3 | 11-12 | 15 | 0 | 1 | 9 | 3-22 | 1 |
| 10. სპარტაკი | 19 | 3 | 3 | 13 | 17-34 | 12 | 1 | 2 | 6 | 9-17 | 5 | 2 | 1 | 7 | 8-17 | 7 |
| 11. ბორჯომი | 19 | 2 | 6 | 11 | 16-39 | 12 | 1 | 4 | 4 | 8-13 | 7 | 1 | 2 | 7 | 8-26 | 5 |




### მწვრთნელი — რაინერ ცობელი



თვის საუკეთესო მწვრთნელის გამოვლენა იოლი არ ყოფილა; ისე მოხდა, რომ გასულ თვეში ყველაზე მეტი ქულა „ზესტაფონმა" და „დინამომ" მოაგროვეს. **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა" ხუთი მატჩი ჩაატარა, საიდანაც ოთხი მოიგო და ერთი წააგო (ანუ, 15 შესაძლებლობიდან — 12 ქულა); **რაინერ ცობელის** „დინამომ" კი ოთხი შეხვედრიდან სამში გაიმარჯვა და ერთი ფრედ ითამაშა (12 შესაძლებლობიდან — 10 ქულა). პროცენტულად თუ მივუდგებით, მცირე უპირატესობა „დინამოს" გერმანელ თავკაცს უნდა მივანიჭოთ; ამასთან, ნუ დაგვავიწყდება უმთავრესი ფაქტორიც, რასაც მეტოქეთა სიძლიერე ჰქვია. აი, ამ მხრივ კი „დინამოს" თებერვალში ნამდვილად არ გაუმართლა: ბოლნისის „სიონთან" და ზუგდიდის „მგლებთან" წინასწარ გამარჯვებას ვერავინ დაგეგმავს; ალარაფერს ვამბობთ „ვიტ ჯორჯიასთან" სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაზე. ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან „დინამომ" ღირსეულად ითამაშა და ფრედ დაასრულა შეხვედრა. თუმცა, „თვის მწვრთნელის" გამოვლენაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა „დინამო"-„ზესტაფონის" შეხვედრას, რომელიც თბილისელთა სრულიად დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა! გავიხსენოთ, რომ იმ პრინციპულ დაპირისპირებაში „დუბლი" **ილია სპასოევიჩმა** შეასრულა. არადა, ჩერნოგორიელი ფორვარდი რაინერ ცობელმა მოედანზე მეორე ტაიმში შემოუშვა, ისე როგორც სპასოევიჩის თანამემამულე **დანილო ტომიჩი**, ვინც საგოლე პასით გამოირჩა. ცობელმა იღბლიანი შეცვლებით კიდევ ერთი მატჩი მოიგო - „მგლებთან" შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი **დონალდ ჯუისმა** გაიტანა; თანაც, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა კამერუნელ ფორვარდს საგოლე პასი ასევე შეცვლაზე შემოსულმა **ოლეგ გველესიანმა** მიაწოდა! არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ ცობელის ხელმძღვანელობით „დინამომ" სწორედ თებერვალში ჩატარებული მატჩების მერე, მხოლოდ ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა ერთპიროვნულ ლიდერ „ვიტ ჯორჯიასთან".

...ზამთრის პაუზის დროს „დინამოს" ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი ჰქონდა; გუნდმა სატრანსფერო ბაზარზეც იაქტიურა და ახლა „დინამოში" თითქმის ყველა პოზიციაზე არნახული კონკურენციაა. ამასთან, ცობელი საკმაოდ ხშირად მიმართავს ძირითადი შემადგენლობის როტაციას და ყოველივე ამას, ჯერჯერობით მხოლოდ დადებითი შედეგი მოაქვს. მოკლედ, თვის საუკეთესო მწვრთნელად რაინერ ცობელი მივიჩნიეთ, მას ეს პატივი პირველად ერგო!

### დებიუტანტი — შალვა კვანტალიანი

პირველი ეტაპის მერე ეროვნული ჩემპიონატი რამდენიმე, მართლაც, გამორჩეულმა ფეხბურთელმა დატოვა: **რატი ალექსიძემ, ლევან ცქიტიშვილმა, ვიტალი დარასელიამ, დავით ოდიკაძემ, ბექა გოცირიძემ, ირაკლი სამხარაძემ...**

რა თქმა უნდა, ასეთი ოსტატების სრულფასოვანი შეცვლა ნამდვილად არ არის პატარა საქმე, მით უფრო, რომ ჩვენთან კვალიფიციური შემსრულებლების დეფიციტია.

მეორე ეტაპზე ბევრ გუნდში გამოჩნდნენ ყველასათვის უცხო, ჭაბუკი ფეხბურთელები; თუმცა განსაკუთრებული ყურადღება თბილისის „ლოკომოტივის" 17 წლის ცენტრფორვარდმა **შალვა კვანტალიანმა** მიიპყრო. ჯერ იყო სადებიუტო შეხვედრა „გაგრასთან", სადაც კვანტალიანმა, მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. აი, უკვე მეორე მატჩში კი ჭაბუკმა თავდამსხმელმა უმაღლეს ლიგაში პირველი გოლიც გაიტანა! რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ქართულ ფეხბურთში ესოდენ საინტერესო და ნიჭიერი მოთამაშე გამოჩნდა; ამასთან, „ლოკომოტივის" ახალგაზრდა მწვრთნელებს — **ზაზა ზამთარაძესა და გიორგი კიკნაძესაც** მადლობა უნდა გადავუხადოთ, ჭაბუკ დებიუტანტს ამხელა ნდობა რომ გამოუცხადეს!

### ფეხბურთელი — გიორგი მერებაშვილი

ამ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ — გასულ ნოემბერში თვის საუკეთესო ფეხბურთელი არ დაგვისახელებია. საბედნიეროდ, ისე როგორც მანამდე, ასევე მერე, მსგავსი რამ აღარ განმეორებულა და თებერვალში გამორჩეული ფეხბურთელიც გვყავს! ჩვენი აზრით, გასულ თვეში თუ ვინმე იყო საუკეთესო, „დინამოს" თავდამსხმელ **გიორგი მერებაშვილზე** ითქმის; ისე, ხელაღებით ძნელია ამტკიცო, მერებაშვილი მკვეთრად გამოხატული ფორვარდიაო; ორივე ფლანგზე გვინახავს. გარემარბობაც შეუძლია და ფლეიმეიკერიც ყოფილა, თუმცა მერებაშვილის სტიქია შეტევაა და ამ შემთხვევაში უკვე აღარც აქვს მნიშვნელობა მის ზუსტ ამპლუას.

თებერვალში „დინამომ" რომ წაუგებლად იასპარეზა და სატურნირო ცხრილსაც ინტრიგა შემატა, ამაში მერებაშვილის უდიდესი დამსახურებაც არის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „დინამოს" შეტევების ლიდერმა გასულ თვეში ყველაზე მეტი (ხუთი) გოლი გაიტანა და სრულიად დამსახურებულადაც დაწინაურდა საუკეთესო ბომბარდირთა დავაში. ამ ხუთიდან ყველა ფასეული იყო, მაგრამ ორი განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა: ჯერ ბოლნისის „სიონთან", მერე კი უპრინციპულეს მეტოქე „ვიტ ჯორჯიასთან". ორივე შემთხვევაში მერებაშვილმა ყველაფერი უნაკლოდ შეასრულა და ორივეჯერ მეტოქეთა მეკარეები უშანსოდ იყვნენ. საერთოდაც, მერებაშვილს უყვარს ეფექტური გოლების გატანა: ხან ჩინებულ დრიბლინგს მოაყოლებს ხოლმე ლამაზ დარტყმას, ხანაც ოსტატურად შეასრულებს საჯარიმოს და ასე შემდეგ. არ დავმალავთ: ხანდახან ამ სტრიქონების ავტორსაც გაუკრიტიკებია ზედმეტი ინდივიდუალიზმის გამო. თუმცა ვერასდროს უარვყოფთ მის, მართლაც, ფასდაუდებელ თვისებას, მერებაშვილს საქართველოს ჩემპიონატში ლამის ყველა ფეხბურთელისგან რომ გამოარჩევს ხოლმე; ამას კი, არც მეტი და არც ნაკლები, კონკრეტული ფეხბურთელისგან კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა ჰქვია! ჰო, „დინამოში" მოსვლის დღიდან მერებაშვილს ასეთი არაერთი მატჩიც ჰქონია და გვინდა ვისურვოთ, რომ ამ ნიჭიერ ფეხბურთელს კვლავაც ბევრჯერ მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება.

სხვათა შორის, გიორგი მერებაშვილი საუკეთესო ბომბარდირობის გარდა, ალბათ, კიდევ ერთ ინდივიდუალურ ტიტულსაც უმიზნებს. უფრო ზუსტად, შეეცდება, რომ ზედიზედ მეორედ გახდეს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მით უმეტეს, რომ ერთი მეტისმეტად სერიოზული კონკურენტი უკვე ჩამოშორდა: **ლევან ცქიტიშვილმა** მეოცე ჩემპიონატის პირველი ეტაპი ხომ მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცქიტიშვილი ერთადერთი ფეხბურთელი იყო, ვინც სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, „ლელოს" ვერსიით, მუდამ ხვდებოდა თვის სიმბოლურ ნაკრებში...



გვერდი მოამზადა **გია ტუხაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

მესხეთი

ინტერვიუ კობა თედიაშვილთან

# თავდასხმაში გვიჭირს, მაგრამ ქულებს ლიდერებსაც ავართმევთ

ახალციხის „მესხეთის" ამბავი უცხო არ არის ქართული ფეხბურთისთვის. არაერთხელ მომხდარა, რომ გუნდს რიხით დაუწყია სეზონი, ახალი ფეხბურთელებიც დაუმატებია, დიდი მიზნებიც დაუსახავს, მაგრამ... მერე უცბად გარკვეულა, რომ ფული არ არის და გუნდის საქმეები დალმა წასულა. ფეხბურთელები არ ვარჯიშობენ, რადგან არ აქვთ არც ხელფასი და პრემია, არც ნორმალური მოედანი, საშხაპე და კიდევ ბევრი ელემენტარული რამ...

სამაგიეროდ, ფეხბურთის ფედერაციაში კლუბს ლიცენზირება გავლილი აქვს, თუმცა ზუსტად ვერავინ გეტყვით, რა კრიტერიუმებით მოახერხა ეს. გუნდმა არ იცის, რისთვის თამაშობს, რა იქნება დღეს და რა ელის ხვალ, მაგრამ გუნდი მაინც თამაშობს...

ახალციხის „მესხეთმა" მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი ნორმალურად დაიწყო, მერე კი ფული შემოაკლდა, საწვრთნელო პროცესი ჩავარდა და ყველაფერი აირ-დაირია. 2008 წლის ბოლოს გუნდს თითქოს ერთი სული ჰქონდა, სეზონის პირველი ეტაპი როგორმე ჩაემთავრებინა. ნაახალწლევს, „მესხეთში" სიტუაცია არ გამოსწორებულა, იყო ლოდინი, მაგრამ ფული არ ჩანდა...

კლუბს ჩამოშორდა პრეზიდენტი გია მესხელი და გუნდიც თითქოს უპატრონოდ დარჩა. „მესხეთს" მოსამზადებელი პერიოდი, ფაქტობრივად, გაუცდა, სეზონის განახლებას დაახლოებით ორი კვირა აკლდა, როცა კლუბს პერსპექტივა გამოუჩნდა. „მესხეთში" ახალი პრეზიდენტი დავით ცოგოშვილი მივიდა და იქვე ითქვა - კლუბი კერძო სექტორით დაფინანსდებაო. „მესხეთიც" შეიკრიბა და ვარჯიში დაიწყო, დაიმატა ახალი ფეხბურთელები, განახლებული ჩემპიონატის პირველ სამ შეხვედრაში 2 ქულა მოიპოვა, წინა ტურში კი მეტად მნიშვნელოვანი მატჩიც მოიგო - ლიგაში დასარჩენად გაჩაღებულ ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „გაგრა" 2:0 დაამარცხა.

„ლელოს" კითხვებს „მესხეთის" მთავარი მწვრთნელი კობა თედიაშვილი პასუხობს...

**- „გაგრასთან" შეხვედრა თქვენი გუნდისთვის ადვილი რომ არ იქნებოდა, ძნელად პროგნოზირებადი არ იყო, თუმცა თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, მეტოქეს თქვენი დამარცხებაც შეეძლო...**

- ვერც იმას ვიტყვი, იოლი მატჩი გვქონდა-მეთქი და ვერც იმას, რომ ძალიან გაგვიჭირდა. სატურნირო მდგომარეობის მხრივაც ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გოლის გაშვება ძალიან არ გვინდოდა და ისე გამოვიდა, რომ შებოჭილები ვიყავით. ამით მეტოქემ ისარგებლა. მეორე ტაიმის დასაწყისში ჩვენმა მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა რთული ბურთი მოიგერია. შეიძლება ითქვას, „გაგრა" გარკვეულ პერიოდში უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ მერე ორი თავდამსხმელი შევუშვი მოედანზე და სიტუაცია შეიცვალა. მოკლედ, „გაგრასთან", ცოტა არ იყოს, ფრთხილად დავიწყეთ თამაში და ამის გამო კინაღამ დავისაჯეთ.

**- მიგაჩნიათ, რომ წარმატება სწორმა შეცვლებმა განაპირობა?**

- გურამ სამადაშვილი, გიორგი მიქაბერიძე და პავლე ხორგუაშვილი - ამ ფეხბურთელებით აქცენტი შეტევაზე გავაკეთეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ.

**- სეზონის პირველ ეტაპზე მიქაბერიძე „ოლიმპიდან" „მგლებში" იყო განათხოვრებული, მერე კი თქვენ აიყვანეთ იჯარით. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს მასზე დაკვირვებას ხომ არ ურჩევდით?**

- „გაგრასთან" გატანილ ორივე გოლში მან ლომის წილი დაიდო, თუმცა ამ ეტაპზე ვერავის ვერაფერს ვურჩევ. მიქაბერიძე გუნდში ახალი მოსულია და ჯერ ბოლომდე არ ვიცნობ მის შესაძლებლობებს. ერთი ვარჯიში და შეცვლაზე ნათამაშები 20 წუთი - ეს არის საკმარისი დრო იმისთვის, რომ ფეხბურთელი შეაფასო. ვნახოთ, გავიდეს დრო...

**- რაც სეზონი განახლდა, სამ შეხვედრაში „მესხეთს" გოლი არ ჰქონდა გატანილი. წლეულს პირველი გოლები „გაგრასთან" შეაგდეთ. ამას რით ახსნით?**

- უფრო შორს წავალ და გავიხსენებ 22 ნოემბერს, როცა თბილისის „ლოკომოტივს" 3:1 მოვუგეთ. ამის მერე 8 ტური უგოლოდ ჩავატარეთ. ბორის გონჩაროვი რომ გამოგვაკლდა, ჩვენს განკარგულებაში, ფაქტობრივად, ერთი თავდამსხმელი დარჩა - სამადაშვილი. „მესხეთი" დატოვა შემტევმა ნახევარმცველმა შოთა გრიგალაშვილმა, ლაშა ქებაძემ კი ტრავმა მიიღო და ახლაღა შედის ფორმაში. ყველაფერი თანდათან დალაგდება, თუმცა ფაქტია - შეტევაში თამაში გვიჭირს, ნახევარდაცვაში კი არჩევანის გაცილებით მეტი საშუალება გვაქვს. თავდასხმაში ახლა სამადაშვილი, სუდაძე და მიქაბერიძე არიან. პირველ მათგანს მიმდინარე ჩემპიონატში 8 გოლი აქვს გატანილი, რაც კარგი მაჩვენებელია, მაგრამ... პრობლემა მაინც გვაქვს.

**- ისე, ქულების მხრივ კი გამოაკეთეთ საქმე...**

- მართლაც დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. „სპარტაკსა" და „ბორჯომს" 9-9 ქულით ვუსწრებთ, „გაგრას" - ხუთით, „მგლებს" კი ორით ქულით. ეს უკვე არც თუ მცირე მარაგია, მაგრამ ცხადია, მოდუნების უფლებაც არ გვაქვს.



**- „დინამო", „ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი"... შეუძლია „მესხეთს", ასეთ გუნდებსაც რომ აართვას ქულები?**

- და რატომ გგონიათ, რომ არ შეგვიძლია?!

**- ფაქტია, რომ მოსამზადებელი ეტაპი არ გქონიათ...**

- მართალია, მაგრამ დროთა განმავლობაში ესეც გამოსწორდება, ჩვენი ფეხბურთელები ნელნელა შედიან ფორმაში და ვფიქრობ, შევძლებთ სერიოზულ მეტოქეებთან ქულების მოპოვებას. გაიხსენეთ - ამ სეზონში „ზესტაფონს" უკვე მოვუგეთ, „ვიტ ჯორჯიასთან" კი ორივეჯერ მინიმალური სხვაობით, 0:1 დავმარცხდით. თუმცა არც „დინამოსთან" 1:5 და „ოლიმპთან" 0:4 გვავიწყდება. იმ პერიოდში, უსახსრობის გამო, „მესხეთი" ორი კვირის უვარჯიშებელი იყო.

**- ახლა რა ვითარებაა გუნდში? როგორია სავარჯიშო პირობები?**

- ვვარჯიშობთ ბორჯომში, სადაც ფეხბურთელები ნაქირავებ ბინებში ცხოვრობენ. ბორჯომის ერთ-ერთ სანატორიუმში გვაქვს კვების ბლოკიც.

**- დაფინანსების მხრივ უკვე ბოლომდე გამოსწორდა სიტუაცია?**

- იანვრის ხელფასს, ალბათ, ვერ ავიღებთ, თებერვლისას კი ველოდებით და აუცილებლად იქნება. „გაგრასთან" მოგებისთვის პრემიაც გვეკუთვნის.

**- მაინც ვინ არის „მესხეთის" დამფინანსებელი?**

- ზუსტად არ ვიცი.

**- და რა არის გუნდის სამომავლო მიზანი?**

- ამ ეტაპზე ჩვენი უმთავრესი სამიზნე უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. პერსპექტივა რომ არ იყოს, ასეთი მოთხოვნა არც იქნებოდა.

**- როდემდე უნდა ივარჯიშოს და ითამაშოს „მესხეთმა" ბორჯომში?**

- ახალციხის სტადიონზე სარემონტო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა. ამბობენ, სექტემბრის ბოლოსთვის „მესხეთს" ახალციხეში უკვე ექნება ხელოვნურსაფრიანი სტადიონიო. ვნახოთ... ახლა, ახალციხეში ისეთი კლიმატური პირობებია, სტადიონის რეკონსტრუქცია მართლაც გაჭირდება. დაველოდოთ დათბობას...

**- რეკონსტრუქციის ხარჯები ვინ უნდა გაიღოს?**

- როგორც ვიცი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ...

დავით თავართქილაძე

## საქართველოს ჩემპიონატი

### აღმოსავლეთი

**ნ. დინამო-ამერი 0:0**

ნ. დინამო: სეფიაშვილი, დაბრუნდაშვილი, ბოკუჩავა, გურაბანიძე, ტოსტიაშვილი, ღვთისავრიშვილი, ლაპარტყავა (46. ა. კალაძე)7 ქავთარაძე (75. ა. კობახიძე), დარასელია, მიქელაძე, ჩუთლაშვილი (62. მათნაძე).

სათადარიგოები: ედიშერაშვილი, თურმანიძე, ზ. ხიზანიშვილი, გაბრიჩიძე.

მთავარი მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი, სანიკიძე, გ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, დ. მჭედლიშვილი (80. ლაფერაშვილი), ტიკურიშვილი, ბენდელიანი (71. ღვინიაშვილი), ჯანელიძე.

სათადარიგოები: გვენცაძე, ქებაძე, ცხოვრებაშვილი, მელიქიშვილი, ბოჯგუა.

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილებები: ბოკუჩავა, სანიკიძე, ტიკურიშვილი.

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**ჩიხურა-კახეთი 3:1**

1:0 ლ. კობახიძე (3), 2:0 მიქაძე (37) 2:1 ბ. მჭედლიშვილი (39), 3:1 ტყებუჩავა (72).

ჩიხურა: დოლაძე, როგავა (84. დოლონაძე), რ. ბარაბაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე (69, ჩიკვაიძე), ზ. ნოზაძე, ჭილლაძე (59. ქამუშაძე), ცარციძე, პეტრიაშვილი, მიქაძე, ლ. კობახიძე

სათადარიგოები: მწყერაშვილი, დ. ენუქიძე, გ. ენუქიძე, ივანიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე.

კახეთი: კობრიაშვილი, ხიდეშელი, მურველიშვილი, ტარულაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ხამხაძე, კობაიძე, ხუციშვილი, იმერლიშვილი, ლ. აბდულაევი, ბიძინაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გივი კობაიძე.

გაფრთხილებები: მურველიშვილი, პეტრიაშვილი

არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**ჰერეთი-სიონი 2 1:1**

0:1 მ. ოქროპირიძე (70), 1:1 ყორლანაშვილი (85)

ჰერეთი: ბილიხოძე, ხარაიშვილი, აბაშიძე, კურტანიძე, მაჭარაშვილი, კობერიძე, გვარაძე (86. თაბუკაშვილი), ყორლანაშვილი, ნადირაძე (59. ოქრუაშვილი), მერმანიშვილი, ტაბატაძე (76. ცქიფურიშვილი).

სათადარიგოები: ბ. ფოფხაძე, მარტყოფლიშვილი, წვერავა.

მთავარი მწვრთნელი: კარლო წვერავა

სიონი 2: გურგენიძე, პატარქალაშვილი, გიორბელიძე, ჩხეტიანი, არღვლიანი, ბუბუტეიშვილი (86.ალფაიძე), გაბრიჭიძე, უგრეხელიძე, კახნიაშვილი (86. უგულავა), მ. ოქროპირიძე, ჯოხაძე (46. გოგიბერიშვილი).

სათადარიგოები: გიგინეიშვილი, ქაველაშვილი, კ. ასათიანი, ბრეგვაძე.

მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილებები: გვარაძე

არბიტრი: ჯ. ხორავა (ხობი)

**დინამო 2-დილა 1:0**

1:0 სიხარულძე (83)

დინამო 2: ლოსაბერიძე, კეკელია, გეთიაშვილი, ჩადუნელი, ნ. ჯიშკარიანი, მამუჩიშვილი, გ, ქავთარაძე (70. მინდორაშვილი), ბოლქვაძე (65 კოპაძე), ლეკვთაძე (89. ზ. ლობჟანიძე), სიხარულიძე, ქანთარია.

სათადარიგოები: გ. ნადირაძე, გ. ჩიკვაიძე, მამრაში, გ. ჯოხაძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი.

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, გ. თარგამაძე, გ. ჩიხრაძე, სორდია, ქარდავა (70. გ. მეტრეველი), თოდუა (65. ცერცვაძე), ბეგლარიშვილი, ფაილოძე, ებანოიძე (88. იჩქითი).

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, მინდიაშვილი, ლონლაძე, კანდელაკი.

მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი.

გაფრთხილებები: დგებუაძე, ჩიხრაძე, თარგამაძე

არბიტრი: ზ. ასკაროვლი (ქარელი).

**ვიტ ჯორჯია 2-გაგრა 2 1:0**

1:0 სვანიძე (90+1)

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ვეკუა, გოგიაშვილი, კასრაძე, გამრეკლიძე, იოსელიანი, მაისაშვილი (78. ფურცელაძე), ვასაძე, დათუნაშვილი, როსტიაშვილი (68. ხოკერაშვილი), ცხოვრებაძე (68. სვანიძე).

სათადარიგოები: ლურბელეიშვილი, მაღრაძე, ერაძე

მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი.

გაგრა: ხომერიკი, ქაჯაია (46. გ. სეფიაშვილი), ჭანკვეტაძე, კილაძე, გედენიძე, ჯარმელაშვილი, მოსიაშვილი, გავაშელიშვილი, ფილია, სეთურიძე (61. თუხარელი), ჩხაიძე (72. ჭაავა).

სათადარიგოები: ა. კოტრიკაძე, ნავერიანი, სართანია, ფანცხავა.

მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე.

გაფრთხილებები: მაისაშვილი, გავაშელიშვილი, როსტიაშვილი

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 17 | 13 | 2 | 2 | 36:10 | 41 |
| 2. ამერი | 17 | 11 | 4 | 2 | 28:7 | 37 |
| 3. დინამო 2 | 17 | 6 | 6 | 2 | 26:12 | 33 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 16 | 9 | 5 | 2 | 26:6 | 32 |
| 5. დილა | 16 | 6 | 5 | 5 | 21:13 | 23 |
| 6. სიონი 2 | 15 | 5 | 4 | 7 | 22:36 | 19 |
| 7. თბილისი | 16 | 5 | 3 | 8 | 25:26 | 18 |
| 8. გაგრა 2 | 17 | 5 | 2 | 10 | 26:38 | 17 |
| 9. კახეთი | 16 | 2 | 4 | 10 | 9:28 | 10 |
| 10. ნ/დინამო | 16 | 1 | 6 | 9 | 16:30 | 9 |
| 11. ჰერეთი | 16 | 7 | 5 | 10 | 12:38 | 8 |

**მომდევნო ტური**

**5 მარტი, ხუთშაბათი**

კახეთი-ჰერეთი
ამერი-თბილისი

**6 მარტი, პარასკევი**

გაგრა 2-ნორჩი დინამოელი

**8 მარტი, კვირა**

დილა-ჩიხურა
სიონი 2-ვიტ ჯორჯია 2

დინამო 2 ისვენებს

### დასავლეთი

**ტორპედო-მეშახტე 4:0**

1:0 იმედაძე (22), 2:0 იმედაძე (31), 3:0, იმედაძე (72). 4:0 ღლონტი (77).

ტორპედო: მიგინეიშვილი, ხარებავა, ბიბილაშვილი, ჩხარტიშვილი, ჭანკვეტაძე (85. კირკიტაძე), ბესარაშვილი (80. დანელია), გურული, მ. კობერიძე, ბ. ჩხეტიანი, იმედაძე, ცაგარეიშვილი (67. ღლონტი).

სათადარიგოები: კუჭუხიძე, ვაჩიბერაძე, ქაშიბაძე, ო. ფიფია.

მთავარი მწვრთნელი: კახა კარანაძე

მეშახტე: მემარნიშვილი, დონაძე, ბოჭორიშვილი, წიქორიძე (67. გვენეტაძე), გოგუა, ხაბურზანია, სიჭინავა, გოდერიძე, ჯიშიაშვილი, ლ. ჯოხაძე, ავალიშვილი.

სათადარიგოები: ორბელაძე, თევზაძე.

მთავარი მწვრთნელი: დ. გვენეტაძე

გაფრთხილებები: წიქორიძე, ხაბურზანია, გოდერიძე.

გაძევება: გოდერიძე

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**მარტვილი-გურია 2:1**

1:0 ციცხვაია (15), 2:0 ჩომახიძე (59) 2:1 ციკოლია (75)

მარტვილი: ქვილითაია, ფარცვანია, კვიტატიანი, იობაშვილი, ბერიშვილი, ილურიძე, წონორია (73. დ. თოდუა), ჩხიკვაძე (55. ა. ნოზაძე), ჩალაძე, ჩომახიძე, ციცხვაია (89. გ. სილაგავა).

სათადარიგოები: ენდელაძე, პაპადოპულოსი, შეროზია.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია.

გურია: კეკელიძე, ჯორბენაძე (64. ქურიძე), გოგიბერიძე, ბრეგაძე, იმნაიშვილი, შენირული, გ. უგულავა (73. სულაბერიძე), ტ. კუკულაძე, კილაძე, ჯაყელი (51. ლ. ციკოლია), კვერენჩხილაძე.

სათადარიგოები: გოგუაძე, მგელაძე. ბ. ურუშაძე.

მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: უგულავა

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

**ბათუმი-კოლხეთი (ფ) 3:1**

0:1 გ. ციკოლია (13), 1:1 მ. ჯორბენაძე (61), 2:1 რამიშვილი (68), 3:1 მალაზონია (89).

ბათუმი: თოთლაძე, რამიშვილი, ლ. მახარაძე, თედორაძე, ფარტენაძე, სამსეიშვილი. ზ. ლობჟანიძე (28. ზოიძე), ტულუში (50. მალაზონია), კალანდაძე, მამეიშვილი, მ. ჯორბენაძე (89. გოგიტაური).

სათადარიგოები: კაკალაძე, მერაბიშვილი

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

კოლხეთი (ფ): ბ. ჩემია, გ. სიჭინავა (75. ქანდავაძე), ლვანია, ცხვიტარია, გელაჭეიშვილი, აბურჯანია, გოგნაძე (80. გულუა), გვიჩია (67. თურქია), გვალია, გ. ციკოლია, ნიქარიშვილი.

სათადარიგოები: გ. შენგელია, ლემონჯავა, გოგინავა, გეგელია

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე.

გაფრთხილებები: ცხვიტარია, გ. სიჭინავა, ზოიძე, სამსეიშვილი, თურქია.

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ხობი-სამტრედია 2:3**

0:1 ხაჭიპერაძე (15), 1:1 ლეფსაია (პ. 31), 1:2 ხაჭიპერაძე (77), 1:3 ჯიქიძე (82) 2:3 ლ. გომენია (84).

ხობი: ჭურლულია, გ. გომენია, კვირკველია, შონია, ჩაჩიბაია (58. ლ. გომენია), ალანია, კ. გომენია, ლეფსაია, ო. შენგელია (61. ფირცხალავა), ლომაია, გაგუა.

სათადარიგოები: გელაშვილი, წულაია, გრიგოლია, ჩიტაია.

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

სამტრედია: ი. შენგელია, გოგია, კირთაძე, ძაგანია, თ. შალიკაშვილი, ი. შალიკაშვილი, ნინუა (60. ეცადეიშვილი), ადეიშვილი, ტყემალაძე, ბეგოიძე (46. ჯიქიძე), ხაჭიპერაძე.

პირველი ლიგა. XVIII ტური

სათადარიგოები: ბანძავა, ჟღენტი, თელია, მუკბანიანი.

მთავარი მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: თ. შალიკაშვილი, ნინუა, ჭურლულია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

**ზესტაფონი 2-ჭიათურა 1:1**

0:1 სევასტოპულო (51), 1:1 ჭანკოტაძე (81)

ზესტაფონი: ძაძამია, ბერუაშვილი (66. ბუკია), კაჭკაჭიშვილი, ხიხაძე, ხვადაგიანი, ლაბაძე, ბერიძე (58. კვიკვინია), ჭანკოტაძე, ჯულელი, კენჭოშვილი (73. დ. ჭელიძე), კეჭახმაძე.

სათადარიგოები: მ. დოგრაშვილი, ნ. კირკიტაძე, ტაბატაძე, ხაჩიძე.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე.

ჭიათურა: ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, სამხარაძე, გაფრინდაშვილი, თემირ მიშველიძე, ნ. ტყემალაძე, სარალიძე, ვაშაძე, ცერცვაძე (85. ასანიძე), სევასტოპულო, მ. გოგბერაშვილი (90. თემურ მიშველიძე).

სათადარიგოები: დარბაიძე, რობაქიძე, აბესაძე, ბარათაშვილი, ლაშხი.

მთავარი მწვრთნელი: დავით იობაშვილი

გაფრთხილებები: კეჭახმაძე, ბერიძე, გოგბერაშვილი, ბუკია

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 16 | 11 | 4 | 1 | 28:6 | 37 |
| 2. სამტრედია | 17 | 11 | 2 | 4 | 30:14 | 35 |
| 3. მარტვილი | 16 | 10 | 4 | 2 | 27:14 | 34 |
| 4. კოლხეთი | 16 | 8 | 3 | 5 | 20:13 | 27 |
| 5. ჭიათურა | 17 | 7 | 2 | 8 | 25:23 | 23 |
| 6. ტორპედო 2008 | 17 | 7 | 1 | 9 | 16:13 | 22 |
| 7. ხობი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:26 | 21 |
| 8. გურია | 16 | 5 | 3 | 8 | 24:28 | 18 |
| 9. ზესტაფონი 2 | 16 | 4 | 4 | 8 | 14:23 | 16 |
| 10. ბათუმი | 17 | 4 | 4 | 9 | 20:31 | 16 |
| 11. მეშახტე | 16 | 1 | 2 | 13 | 9:40 | 5 |

**მომდევნო ტური**

**5 მარტი, ხუთშაბათი**

სამტრედია-ბაია
მეშახტე-ბათუმი
კოლხეთი-მარტვილი

**6 მარტი, პარასკევი**

გურია-ზესტაფონი 2
ჭიათურა-ხობი

საკამათო ეპიზოდი

# პარადოქსული გადაწყვეტილება

## პენალტიც იყო და სიმულაციაც. კრიჭაშვილს დანა პირს არ უხსნიდაო...

რუსთავის „ოლიმპისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრის 33-ე წუთზე მომხდარი საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. მოკლედ შეგახსენებთ, რომ მასპინძელთა ფორვარდი **გია მეგრელაძე** მეკარე **გიორგი ლომაიასთან** პირისპირ დარჩა და.. რაც მერე მოხდა, ეს უკვე საკამათოა - იყო თუ არა პენალტი? - ალბათ, ეს ბოლომდე საკამათოდ დარჩება. მეგრელაძე წაიქცა და მასპინძლები 11-მეტრიანს ითხოვდნენ. არბიტრმა **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** კი ჩათვალა, რომ ოლიმპელი თავდამსხმელი საკუთარი ინიციატივით წაიქცა და სიმულაციისთვის ყვითელი ბარათიც უჩვენა.

როგორც გაუწყეთ, მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის წევრები გუშინ უნდა შეკრებილიყვნენ. მოსალოდნელი იყო, რომ მეგრელაძეს ყვითელ ბარათს გააუქმებდნენ... თუმცა სხდომა არ გამართულა - კომიტეტის 9 წევრის ნაცვლად, მხოლოდ 4 გამოცხადდა. შესაძლოა, იმიტომაც, რომ გუშინ დასვენების დღე იყო და კომიტეტის მესვეურებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ...

შეკრება არაოფიციალური და გულახდილი იყო. ფედერაციაში გამოცხადდნენ **ამირან კაჭახიძე**, „ოლიმპის“ ვიცე-პრეზიდენტი **ბადრი ქარქაშაძე** და არბიტრი კრიჭაშვილი. აი, რა გვითხრა კაჭახიძემ.

*„პენალტიც იყო და სიმულაციაც! ამიტომ, მეგრელაძეს ყვითელ ბარათს არ გავაუქმებთ. სხდომა არ გამართულა, რადგან ყველა წევრი ვერ შეიკრიბა. მიუხედავად ამისა, გულახდილად ვისაუბრეთ. საბოლოოდ, საკმაოდ პარადოქსულ გადაწყვეტილებამდე მივედით, კრიჭაშვილს 11-მეტრიანი უნდა დაენიშნა, მაგრამ ამავე დროს, ერთ-ერთ კადრში აშკარად ჩანს, რომ მეგრელაძე ლომაიასთან შეტაკებამდე იწყებს წაქცევას, თუმც ისიც გამოჩნდა, რომ ლომაიამ ფორვარდს ფეხი გამოსდო. ანუ, იყო პენალტიც და სიმულაციაც. რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია და ბევრ უცნაურ ამბავს გაიგებ კაცი. რაც შეეხება მეგრელაძის ყვითელ ბარათს, როგორც გითხარით, მას არ გავაუქმებთ, რადგან „ოლიმპმა“ განცხადების შემოტანა გადაიფიქრა. ქარქაშაძისა და კრიჭაშვილის თანდასწრებით შევთანხმდით, რომ პენალტი იყო, მაგრამ იყო სიმულაციაც, პლუს ამას, არბიტრს ყვითელი ბარათი ლომაიასთვისაც უნდა მიეცათ. თავად მეკარე არ აღიარებს, რომ მეგრელაძე წააქცია. მისიც მესმის - ფეხბურთი ყველას გვითამაშია და ბრძოლის დროს, შესაძლოა, შეჯახება ვერც იგრძნო. მერწმუნეთ, აზარტში შესულ სპორტსმენს ვითარების ობიექტურად შეფასება უჭირს“.*

ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი „ოლიმპი“-“ლოკომოტივის“ შეხვედრის არბიტრ კრიჭაშვილს, დაუდევრობისთვის, ორი ან სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯის. დამკვირვებელმა მას დაბალი შეფასება დაუწერა. კონფიდენციალობის მომიზეზებით, კაჭახიძე შეფასებას არ აკონკრეტებს, თუმცა ფაქტს გვიდასტურებს.

*„მსაჯებს ყოველთვის ვაფრთხილებ, რომ შეძლებისდაგვარად ახლოს იყვნენ ბურთთან. ეს შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა და კრიჭაშვილმა ეტყობა ვერ მოახერხა მომენტთან მიახლოება. როცა კადრები ნახა, დანა პირს არ უხსნიდა და აღიარა, რომ პენალტი უნდა დაენიშნა. მას დაბალი შეფასება დაუწერეს, მაგრამ ვერ დაგიკონკრეტებთ, რადგან ეს კონფიდენციალურია. მატჩის მსვლელობისას არბიტრმა სხვა შეცდომებიც დაუშვა. „ოლიმპის“ ვიცე-პრეზიდენტ ბადრი ქარქაშაძის თქმით, კრიჭაშვილმა უხეშლიე შეცდომა დაუშვა. მას მიკერძოებას არც არავინ აბრალებდა. სამწუხაროდ, ფეხბურთში შეცდომები ჩვეულებრივი მოვლენაა. ცდება როგორც ფეხბურთელი, ასევე მსაჯი. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება უკეთ მოვამზადოთ მსაჯები, რომ შეცდომების რაოდენობა მაქსიმალურად შევამციროთ“*, - დასძინა კაჭახიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

ოთარ გაბელია

# ცხადაძის მონდომება მომწონს და მაიმედებს

## გაბელიას აზრით, ახალგაზრდული ნაკრებისთვის საინტერესო თაობა მოდის



**კახა ცხადაძემ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ძლიერი შტაბი შეკრიბა. ვეტერანების გუნდი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენასა და დაწინაურებას შეეცდება. თითოეულ მათგანს გულშემატკივარი მშვენივრად იცნობს - ოთარ გაბელია, მურთაზ შელია, გელა ინალიშვილი, დავით გვარამაძე. ცხადია, გაბელია და გვარამაძე მეკარეებთან იმუშავებენ. ბატონი ოთარი ახალგაზრდული ნაკრების პოტენციურ კანდიდატთა შესაძლებლობებს აფასებს და გვიმხელს თავის მოსაზრებას იმაზე, თუ რამდენად საინტერესო თაობა მოდის. ბუნებრივია, გვერდი ვერც „ბორჯომს“ ავუქციეთ, სადაც გაბელია მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობს...**

**- ბატონო ოთარ, როგორც შევიტყვეთ, ახალგაზრდულ ნაკრებშიც იმუშავებთ...**

- ახალგაზრდულ ნაკრებში დიდი ხანია ვმუშაობ. პეტარ შეგრტის ნაცვლად კახა ცხადაძე რომ დანიშნეს, ახალი მწვრთნელი თავის შტაბთან ერთად მოვიდა, მე კი დარჩენა შემომთავაზა. როგორ ადრე, ახლაც მეკარეებთან ვიმუშავებ, სიახლე ისაა, რომ დავით გვარამაძესთან ერთად ვიქნები. დარწმუნებული ვარ, ამ ციკლში საინტერესო ბიჭებთან მოგვიწევს მუშაობა. სერიოზული თამაშები გველის და საქმეც ბევრია.

**- ახალგაზრდული ნაკრების ამ თაობაში საინტერესო და პერსპექტიული მეკარეები არიან...**

- მაღალი კლასის გუნდებთან თამაში უჭირთ, თორემ პერსპექტიულები როგორ არ არიან, დიდი პოტენციალი გააჩნიათ. როინ კვასხვაძე ავიღოთ, რევაზ თევდორაძე, გიორგი მაკარიძე... ამ თაობაში მართლაც საინტერესო ბიჭები გამოჩნდნენ. კვასხვაძე ჩინებული მონაცემების მეკარეა. ცოცხალი ბიჭია და ასაკის მიუხედავად, საკმაოდ გამოცდილიცაა. ახალგაზრდულშიც უთამაშია და ასაკობრივ ნაკრებებშიც. კარგად მახსოვს, ჰაინც ტოპმიოლერის დროს თბილისში 19-წლამდელთა შესარჩევი ციკლის შეხვედრები რაოდენ მაღალ დონეზე ჩაატარა, მაშინ გამოაჩინა სწორედ ნიჭი. პირადად მე, როინის იმედი მაქვს. ასევე მჯერა, რომ თევდორაძესაც შეუძლია, მაღალი კლასის მეკარე გახდეს. რეზოსაც მშვენიერი მონაცემები აქვს - მაღალი, დამაჯერებელი და სტაბილურია. და რაც მთავარია, უმაღლეს ლიგაში სტაბილური სათამაშო პრაქტიკა აქვს, ეს კი მეკარისთვის ბევრს ნიშნავს. ძალზე პერსპექტიულია გიორგი მაკარიძეც. მთავარია, „ლე მანში“ ითამაშოს. საფრანგეთში უცხოელ მეკარეს ტყუილად არ აიყვანდნენ. ამიტომაც მჯერა, რომ გიორგი შანსს გამოიყენებს, გაიზრდება და გამოგვადგება. ისიც მახარებს, რომ სამივე მაღალია. ეს დიდი პლუსია მეკარისთვის.

**- სიმაღლეზე გაამახვილეთ ყურადღება. თქვენ არ იყავით მაღალი (1,77 მ), თუმცა თქვენზე მაღალ ბევრ ქართველ მეკარეს კი სჯობდით. დღეს, ალბათ, ამ სიმაღლის მქონე გოლკიპერს გუნდში არც აიყვანენ...**

- თამაში თუ იცი, სიმაღლე პრობლემა არ არის. ესპანელი არკონადა ხომ გახსოვთ? 1,81 მეტრი იყო, მექსიკელი ხორხე კამპოსი კი სულაც ჩემზე დაბალი - 1,75 მეტრი გახლდათ, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ცუდად იცავდა კარს ან ერთი ან მეორე? ისე კი, მართალია - ახლა მოთხოვნები გამკაცრდა და მეკარის სიმაღლეს დიდ ყურადღებას აქცევენ.

**- საერთოდ, ზოგადად სანაკრებო თაობაზე რას იტყვით?**

- დაკვირვებული ვარ, 1988-89 წლებში დაბადებულთა შორის ძალიან ბევრი საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა. მთლიანობაში თაობა ძლიერი და პერსპექტიულია. ასე მასობრივად, ნიჭიერები ბევრ ასაკში არ გვყოლია.

**- თქვენი აზრით, ჩვენს ჯგუფში შედეგის მიღწევა რეალურია?**

- რატომაც არა?! სრულიად შესაძლებელია. მთავარია, ნორმალურად მოვემზადოთ, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოვაყალიბოთ და ყველა მეტოქესთან ვიბრძოლოთ. სხვათა შორის, არც ჩვენი მეტოქეები წყვეტენ ციდან ვარსკვლავებს. ბევრი რამ მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული. კახა ცხადაძის მონდომება მომწონს და მაიმედებს, ნიჭიერი და შემართული კაცია, მუშაობა არ ეზარება, სულ აქეთ-იქით დადის და ტალანტებს ეძებს. დარწმუნებული ვარ, ცხადაძე საუკეთესოებს შეკრებს.

**- „ბორჯომში“ საკმაოდ საინტერესო თავდამსხმელი ილია პავლიაშვილი გამოჩნდა, რომელმაც სპეციალისტები უკვე აალაპარაკა. ცნობილია, რომ ის გუნდში თქვენი რეკომენდაციით ჩაირიცხა. როგორ ფიქრობთ, შეუძლია პავლიაშვილს ახალგაზრდული ნაკრების დონეზე თამაში?**

- ფიზიკურადაა სუსტი, თორემ მართლა საინტერესო ფეხბურთელია. აქვს სისწრაფე, საგოლე ალღო, აზროვნებს, სულ კარზეა დაგეშილი და, რაც მთავარია, გოლებიც გააქვს. თავდამსხმელს მეტი რაღა მოეთხოვება? თუ პავლიაშვილი მოღონიერდება, დარწმუნებული ვარ, ძლიერი ფორვარდი გვეყოლება.

**- დაბოლოს, „ბორჯომზეც“ გკითხავთ. ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდა?**

- „ბორჯომში“ მთავარი მწვრთნელი არ ვარ. ამ პოსტზე ვისი დანიშვნაც სურდათ, იმას უმაღლეს ლიგაში მუშაობისთვის საჭირო ლიცენზია არ აქვს და კონსულტანტობა ამიტომაც მთხოვეს. სიმართლე გითხრათ, აუტსაიდერ გუნდში მუშაობამ რაღაცით დამაინტერესა. ვფიქრობდი, მაისამდე გავძლებ-მეთქი, მაგრამ ახლა გუნდში საკმაოდ მძიმე, გაურკვეველი ფინანსური მდგომარეობაა და არც ვიცი, დავრჩები თუ წამოვალ...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# უარი ახალ კონტრაქტს

## ლაშა თოთაძეს გეზი ევროპისკენ უჭირავს. უკრაინის პირველი ლიგა აღარ იქნება?

**ლაშა თოთაძე** ის იშვიათი ქართველი ფეხბურთელთაგანია, რომელიც კიევის „დინამოში“ დარჩა. შეგახსენებთ, რომ გუნდი სამმა ჩვენებურმა - **დავით იმედაშვილმა, ოთარ მარცვალაძემ** და **კახა ალადაშვილმა** დატოვა. ისინი იძულებულნი გახდნენ, სხვა კლუბებში გადასულიყვნენ.

თოთაძეს კი უკრაინელები არატიპურ ქართველად მოიხსენიებენ. 19 წლის მცველი კიევის „დინამოს“ მეორე გუნდშია და თუ პროგრესს არ შეწყვეტს, პირველ გუნდში გადასვლის პერსპექტივაც გაუჩნდება. თოთაძემ ამაზე „გაგრას“ (კიევში წასვლამდე სწორედ ამ გუნდში თამაშობდა) ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში ისაუბრა:

*„ახლა გუნდთან ერთად კვიპროსში ვემზადები. სამი ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ, რომელთაგან 2 ფრედ ვითამაშეთ და ერთი წავაგეთ. მერე მუხლის ტრავმა მქონდა, უხერხულად წავიქეცი და ველარ ვითამაშე. საბედნიეროდ, ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. ორი დღის წინათ ერევნის „ბანანცს“ 1:0 მოვუგეთ. მოედანზე მეორე ტაიმში შევედი და მგონი, ურიგოდ არ მითამაშია. უკრაინის პირველი ლიგის გუნდს კი გოლიც გავუტანე და საგოლე გადაცემა გავაკეთე. სხვათა შორის, უეფას თასზე „ვალენსიასთან“ მატჩამდე მეორე გუნდი ძირითადის მოთამაშეებს შევხვდით. მწვრთნელებმა მითხრეს, ძალიან კარგად ითამაშეო. ამან გამიჩინა იმედი, რომ „დინამოს“ მთავარ გუნდში გადამიყვანენ. როგორც ვიცი, ამით თავად იური სიომინიც დაინტერესდა. ახლა მთელი მონდომებით ვემზადები და მსურს, დავამტკიცო, რომ პირველ გუნდში გადასვლის ღირსი ვარ. კიევის „დინამო“ ხომ უმთავრესად „დინამო 2-დან“ ილებს შევსებას. მთელი აქცენტი ახლა ჩვენზე კეთდება. „ვალენსიასთან“ 2 გოლი გაიტანა სრულიად უცნობმა ფეხბურთელმა, რომელიც კიევში ახალი მისული იყო, როცა მე ჩავედი. სიომინი იმ კატეგორიის მწვრთნელია, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს ენდობა და შედეგიც სახეზეა. გუნდში ლეგიონერებიც მოჰყავთ, მაგრამ აქაურ ბიჭებსაც არ ტოვებენ უყურადღებოდ. გაითვალისწინეთ, რომ სიომინი ქართველებისადმი სიმპათიითაა განწყობილი, რასაც ვერ ვიტყვი უკრაინელ მწვრთნელებზე. ისინი ნაკლებად გვწყალობენ. არც ვიცი, რა არის ამის მიზეზი. რაც შეეხება „დინამოსთან“ კონტრაქტს, ის ზაფხულში მიმთავრდება. ზამთარში მეორე გუნდთან ხელშეკრულების გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. ან პირველ გუნდთან გავაფორმებ კონტრაქტს, ან სხვა გუნდში გადავალ! მეორე გუნდში თამაშის პერსპექტივა სულაც არ მხიბლავს. არის რამდენიმე ევროპული გუნდის ვარიანტი და გადაწყვეტილებას მალე მივიღებ. უკრაინაში ახლა ფინანსური კრიზისია. შესაძლოა, პირველი ლიგის გათამაშება ჩაიშალოს. 20 მარტს უნდა დაწყებულიყო და 1 აპრილამდე გადაიტანეს. რამდენიმე კლუბი დაიშალა და დიდი შანსია, რომ პირველობა აღარ გაიმართოს“*, - განაცხადა თოთაძემ.



**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

### სამი გუნდი რეიტინგში

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) გამოაქვეყნა თებერვლის თვის საკლუბო რეიტინგი, რომელშიც 350 კლუბია შესული. სიას 302 ქულით „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლიდერობს. მეორე ადგილზეა „ლივერპული“ (ინგლისი, 267 ქულა), ხოლო მესამეზე „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა, 263). 350 კლუბს შორის 3 ჩვენებურიცაა. თბილისის „დინამო“ 80 ქულით 204-ე პოზიციაზეა, რაც გასული თვის მაჩვენებელს 37 ადგილით სჯობს. „ვიტ ჯორჯიას“ 70 ქულა აქვს და 271-ე (+9) პოზიციას ამაგრებს, ხოლო „ზესტაფონი“ 67 ქულით 294-ეზე (+55).

### იაშვილმაც გაისროლა

თურქულ შეკრებაზე მყოფი მახაჩყალის „ანჟი“ მორიგ სპარინგმატჩში ბელარუსის „გომელს“ დაუზავდა - 2:2. 36-ე წუთზე ანგარიში **სანდრო იაშვილმა** გახსნა. შემდეგ მეტოქემ წონასწორობა აღადგინა. 65-ე წუთზე „ანჟი“ კიდევ ერთხელ დაწინაურდა. ამჯერად, გოლი **გოჩა ხოჯავამ** გაიტანა. თუმცა დაღესტნელებმა ანგარიში მაინც ვერ შეინარჩუნეს. **კახა ალადაშვილმა, გიორგი ნავალოვსკიმ, ოთარ მარცვალაძემ** და იაშვილმა პირველ ტაიმში ითამაშეს, **ედიკ საჯაია** და ხოჯავა კი მეორე ნახევარში გამოვიდნენ.

„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი ხშირმა ცვლილებებმა აგვრია. თუმცა ესეც საჭირო იყო, რადგან სავარაუდო ახალწვეულები საქმეში უნდა მენახა“, - განუცხადა **ომარ თეთრაძემ** „ანჟის“ ოფიციალურ ვებგვერდს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

ზურაბ ხიზანიშვილი

# ბლექბერნიდან მივდივარ!

## ხიზანიშვილი ახალ კლუბს ზაფხულში აირჩევს

ზურაბ ხიზანიშვილი „რეინჯერსიდან" „ბლექბერნში" სამი წლის წინ გადავიდა. ლანკაშირულ კლუბთან მას 2011 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ხიზანიშვილისა და „ბლექბერნის" გზები სამ თვეში გაიყრება. ამ კლუბში მისი პირველი მწვრთნელი მარკ ჰიუზი იყო. მიმდინარე სეზონისთვის ის პოლ ინსმა შეცვალა. ინსის ხელში „ბლექბერნს" კარგი დღე არ დაადგა და მის ნაცვლად „ბლექბერნში" გამოცდილი და ავტორიტეტული სემ ელერდაისი მივიდა. მაგრამ ხიზანიშვილმა ვერც ერთის ხელში ვერ გაიხარა, იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე ძირითად შენადგენლობაში, ზოგჯერ კი სათადარიგოებშიც ვერ ვხედავთ. არადა, „ბლექბერნს" მართლაც არ ჰყავს ისეთი ექსტრაკლასის მცველები, ხიზანიშვილს მათთან კონკურენციაში შანსი რომ არ ჰქონდეს...

ზურას გუშინ დავურეკეთ და როგორც შევიტყვეთ, „ბლექბერნში" დარჩენას აღარ აპირებს...

**- ელერდაისი სათასო მატჩებში გათამაშებს, პრემიერლიგაში კი არ გწყალობს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

- არ ვიცი, გაურკვევლობაში ვარ. ალბათ, აქ მწვრთნელის მხრიდან ნდობაში არ უნდა იყოს საქმე, ელერდაისს ისეთი სტრატეგია აქვს, ვერაფერი გავუგე - თუ თასზე მათამაშებს, პრემიერლიგაში რაღას დავაშავებ? რატომ არ შევყავარ შემადგენლობაში? გამოუცდელი ვარ თუ რა?

**- ინსთან უფრო ადვილი იყო ურთიერთობა თუ ელერდაისთან?**

- ჩემთვის მარკ ჰიუზი სჯობდა, ინსის დროსაც ვითამაშე პრემიერლიგაში რამდენიმე მატჩი, ელერდაისს კი სულ სხვა სტილი აქვს - მისმა რჩეულმა მცველმა ბურთი რაც შეიძლება ძლიერად უნდა დაარტყას წინ. ელერდაისს არ უყვარს, როცა მცველი მოკლე პასებით თამაშობს, აქცენტს ძალისმიერ ფეხბურთზე აკეთებს.

**- ჯერ არც ერთ მწვრთნელს არ უთქვამს, ზურაბ ხიზანიშვილს ჯანი აკლია და ძალისმიერ ორთაბრძოლებში მოისუსტებსო...**

- ელერდაისი კი, ალბათ, სხვანაირად ფიქრობს. ცენტრალური მცველი ხიზანიშვილზე მაღალი და უფრო ათლეტური აღნაგობის უნდა იყოს - ასე წარმოუდგენია მას და რა გაეწყობა...

**- ძველ ტრავმას (საზარდულებს) ხომ არ შეუწუხებიხარ?**

- საბედნიეროდ, არა. სრულიად ჯანმრთელი ვარ.

**- საკმაოდ გამოცდილი აგენტი გყავს ივან ბენეშის სახით. მასთან კლუბის გამოცვლაზე არ გისაუბრია?**

- ბენეშს ამ ყველაფერზე უკვე ველაპარაკე. ზაფხულს ველოდებით - სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება და მერე უფრო კარგად გამოჩნდება სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტები.

**- 20-გუნდიან პრემიერლიგაში „ბლექბერნი" ახლა მე-17 ადგილზეა, ელიტაში დასარჩენად იბრძვის. თუ გუნდი დარჩება პრემიერლიგაში, მაინც დააპირებ „ბლექბერნიდან" წასვლას?**

- დარჩება თუ არა „ბლექბერნი" პრემიერლიგაში, ამას მნიშვნელობა არ აქვს - ეს გუნდი ყველა ვარიანტში უნდა დავტოვო. ახლის მოძებნა კი პრობლემა არ იქნება, იმედი მაქვს, ბევრი გუნდი გამოთქვამს ჩემი აყვანის სურვილს.

**- თუ ელერდაისს გაუშვებენ „ბლექბერნიდან", ესეც ვერ შეგაჩერებს?**

- თუ „ბლექბერნი" არ გავარდება, ელერდაისი დარჩება. მოკლედ, გადავწყვიტე, რომ სეზონის დასრულების შემდეგ სხვა გუნდში გადავიდე.

**- კვლავ ინგლისში გინდა თამაში?**

- ასე აჯობებდა, თუმცა გააჩნია, სხვა ქვეყნებში რომელი გუნდები დაინტერესდებიან ჩემით. ამას გარდა, ტრანსფერი თავად „ბლექბერნზეც" იქნება დამოკიდებული. ჯერ არ ვიცი, რა პირობით გამიშვებს კლუბი, რამდენს მოითხოვს ტრანსფერში.

**- რამდენიმე თვის წინათ „ვესტ ჰემს" რა პირობით უნდოდა შენი აყვანა? რა ფასი დაადო მაშინ „ბლექბერნმა" ხიზანიშვილს?**

- „ვესტ ჰემსა" და ჯანფრანკო ძოლას ჩემი აყვანა ტრანსფერის გამოსყიდვითაც აწყობდათ და იჯარითაც, მაგრამ „ბლექბერნმა" არც ერთი ისურვა და არც მეორე - შუა სეზონში თავისი ფეხბურთელის პრემიერლიგურ გუნდში გაშვება არ უნდოდა, ამით კონკურენტებს ხელს შევუწყობთო, თორემ სხვა შემთხვევაში „ბლექბერნი" წინააღმდეგი არ იქნებოდა.

**- სათამაშო პრაქტიკა რომ გაკლია, არ გაქვს სურვილი ინგლისის რეზერვისტთა ლიგაში ითამაშო?**

- ირლანდიასთან სანაკრებო მატჩამდე „ბლექბერნის" მეორე გუნდში რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე, ახლაც ვაპირებ, რომ კვიპროს-ჩერნოგორიასთან მატჩებამდე რეზერვისტთა ლიგაში ორი შეხვედრა ვითამაშო. რა თქმა უნდა, ეს დიდი ვერაფერი ლიგაა, მაგრამ ვარჯიშს კი ჯობია - თამაში ხომ სულ სხვაა.

**დავით თავართქილაძე**



ზურაბ ხიზანიშვილი

ინტერვიუ

გაიოზ დარსაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამ რამდენიმე** დღის წინ ვებგვერდი www.centrasia.com შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ ევრო 2006 წლის შესარჩევ ციკლში, 2005 წლის 17 აგვისტოს გამართული ყაზახეთი-საქართველოს მატჩი (2:1 ჩვენების სასარგებლოდ) გარიგებული იყო. თუმცა იმ სტატიაში ვინმე არტურ პეტროსიანს არაერთი უზუსტობა ჰქონდა დაშვებული, რამაც თითქმის უეჭველი გახადა, რომ მის მიერ მოყვანილი „ფაქტები" თითიდან გამოწოვილი იყო. აი, ერთ-ერთი უზუსტობაც - როგორც პეტროსიანი წერს, სწორედ ამ „გარიგებულ" მატჩს შეეწირა თურმე საქართველოს ნაკრების მაშინდელი თავკაცი. თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, რომ გაიოზ დარსაძისთვის ის თამაში სადებიუტო იყო და მან გუნდს კიდევ რამდენიმე შეხვედრაში უხელმძღვანელა...

მოკლედ, ზღაპრების კომენტირებას აღარ ვაპირებთ. თუმც კი საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ თემას სხვა კუთხით გამოვხმაურებოდით. მაშინვე დაგპირდით, რომ დარსაძესთან ინტერვიუს შემოგთავაზებდით. ნამდვილად არ გვქონდა იმისი ილუზია, რომ ბატონი გაიოზი კარტებს ბოლომდე გახსნიდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის პირველ გუნდში ხანმოკლე მუშაობის თაობაზე მას დღემდე არაფერი უთქვამს...

დარსაძესთან საუბარი სწორედ იმ „ჩაწყობილი" მატჩით დავიწყეთ...

# დრომ დაამტკიცა, რომ მართალი ვიყავი...

- ყაზახეთთან თამაში ჩაწყობილი იყოო, არა? (იცინის)... მეც ვნახე ინტერნეტში ეგ წერილი... რა გითხრათ, აბა? აბსურდია და მეტი არაფერი. ამდენი უზუსტობა, ამდენი სისულელე... რა კომენტარი უნდა გავაკეთო? ნებისმიერ სხვა საკითხზე შემიძლია გესაუბროთ, ოღონდ, არა ამ ბოდვაზე.

**- მაგრამ ყაზახეთთან მატჩი მაინც უმნიშვნელოვანესია თქვენს კარიერაში - ამ დღეს დებიუტი გქონდათ ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე. რა ემოციური დატვირთვა ჰქონდა თქვენთვის იმ თამაშს? უბრალოდ, გავიხსენოთ...**

- სადებიუტო მატჩი განსაკუთრებულად რთულია. შეიძლება, ყაზახეთის ნაკრები არ „ყვირის", მაგრამ გაიხსენეთ, ეს გუნდი ბევრისთვის „კერკეტი კაკალი" გამოდგა, თან სტუმრად ვთამაშობდით... ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს და თამაში შემოატრიალეს. რა თქმა უნდა, წარმატებული დებიუტი სასიამოვნოდ გასახსენებელია. ახლა რა ზღაპრებიც არ უნდა შეთხზან, დამსახურებულ გამარჯვებას ვერავინ წაგვართმევს. ამას გარდა, მიმაჩნია, რომ კარგად ვითამაშეთ საბერძნეთთან გასვლით შეხვედრაშიც. ეს იყო ძალზე მიახლოებული იმასთან, რასაც გუნდისგან ვითხოვდი... კარგი იყო უკრაინასთან თბილისური მატჩიც...

**- ნაკრებში მცირე ხანს იმუშავეთ. რომელი მატჩი გაგონდებათ ყველაზე კარგად?**

- მაშინ ჩვენი ეროვნული გუნდი მშენებლობის პროცესი იყო. ამას ყოველთვის თან სდევს დადებითი და უარყოფითი მომენტები. შეფასება სხვისთვის მიმინდვია, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდანაც დარწმუნებული ვარ, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი და სასიკეთო ცვლილებებს ჩავუყარე საფუძველი.

**- ...და ყველაზე ავად მოსაგონარი - ბულგარეთი, დანია...**

- თქვენ წარმოიდგინეთ, ბულგარეთზე ამას ვერ ვიტყოდი. თუ შეურაცხმყოფელ სტატიებს გულისხმობთ, ეს არასდროსაა გამოსავალი... ბულგარეთთან მატჩი მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად იყო გათვლილი. ამხანაგურ მატჩში თავისუფლად შემეძლო ექსპერიმენტების ჩატარება, მინდოდა, ამა თუ იმ ფეხბურთელის შესაძლებლობები ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებაში შემემოწმებინა, სუსტი წერტილები დამენახა... ამასთან, რამდენიმე ფეხბურთელიც დაგვაკლდა, ზოგს მხოლოდ ერთი ტაიმი შეეძლო თამაში... მიუხედავად ამისა, იმ მატჩის შინაარსსა და მსვლელობაში, უარყოფითთან ერთად, დადებითი მომენტებიც იყო და ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, დაინახავდა კიდეც. ბულგარეთში ჩემთვის შედეგი კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ მშენებლობის პროცესის გაგრძელება.

**- მიგაჩნიათ, რომ დაწყებული საქმის დასრულება არ დაგცალდათ?**

- საერთოდ, ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია... 2005 წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე ვიყავი ნაკრებში. თავად განსაჯეთ, რა უნდა მომესწრო ამ ხნის განმავლობაში.

**- მაინც რისი გაკეთება შეძელით ამ მცირე დროში?**

- წეღანაც გითხარით, სწორ გზაზე ვიყავი-მეთქი და ნამდვილად ასე იყო. განა დღეს ეს არ ჩანს?

**- გუნდის გაახალგაზრდავებას გულისხმობთ?**

- დიახ. დრომ დაამტკიცა, რომ ეს კურსი სწორი იყო...

**- ყველაზე მეტად გიორგი განუგრავასა და ბექა გოცირიძის გამო გიკიჟინებდნენ, თითქოსდა, ამ ფეხბურთელებისთვის ეროვნულ გუნდში თამაში ნაადრევი იყო...**

- გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, დღესაც მიმაჩნია, რომ იმ განლაგებაში, რომლითაც დღეს ჩვენი ნაკრები თამაშობს, განუგრავასა და კანკავას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ისინი სჭირდებიან ეროვნულ გუნდს, გოცირიძე კი ისედაც ნაკრების ფეხბურთელია.

**- იქნებ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ გუნდის შენების თქვენეულ კონცეფციაზე?**

- ცხადია, მოკლე დროის განმავლობაში შეუძლებელი იყო რეფორმის განხორციელება. ნაკრებში მხოლოდ ორსამ ახალგაზრდა ფეხბურთელზე კი არ უნდა გააკეთო აქცენტი, მხოლოდ ყენიას, მჭედლიძეს, გოცირიძესა და განუგრავას კი არ უნდა ავკიდოთ მძიმე ტვირთი, არამედ ყველას ერთად. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეროვნულ ნაკრებში თამაში დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლაა. ჩვენ ერთბაშად რამდენიმე ასეთი ახალგაზრდა უნდა ავიყვანოთ ნაკრებში და მერე მათგან საუკეთესოები ავარჩიოთ. კონკურენციისთვის ეს უბრალოდ აუცილებელია. გუნდის სტაჟიანმა წევრებმა ზურგსუკან კონკურენტის სუნთქვა უნდა იგრძნონ. როცა თითოეულ პოზიციაზე სამი-ოთხი თანაბარი დონის ფეხბურთელი გყავს, შეგიძლია თქვა, რომ შენების პროცესის ნახევარი დაასრულე. სწორედ ეს იყო ჩემი და ფეხბურთის ფედერაციის მიზანი... სამწუხაროდ, არ დამცალდა... თუმცა კმაყოფილი ვარ იმით, რომ გავბედეთ და დავიწყეთ გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი. კიდევ ერთხელ ვამბობ - ეს იყო სწორი გზა, თან ერთადერთი სწორი გზა!

**- ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელები კლაუს ტოპმიოლერმაც მიიწვია. თქვენს საუბარში თითქოს ერთგვარი წყენა გამოსჭვივის - უცხოელ სპეციალისტს აპატიეს რეფორმები, ადგილობრივს კი არაო...**

- ეჰ, ხომ გაგიგონიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო...

**- ამ თემებზე კლაუს ტოპმიოლერთან არ გისაუბრიათ?**

- არასოდეს.

**- არც ექტორ კუპერთან?**

- არც კუპერთან.

**- კუპერის მუშაობის შეფასება ჯერ მაინც ადრეა. მაგრამ რას იტყვით ტოპმიოლერზე? შეეძლო მას მეტის მიღწევა?**

- ნებისმიერი მწვრთნელის საქმიანობას დიდ პატივს ვცემ და შეძლებისდაგვარად, მზად ვარ, დავეხმარო, თუკი ამის საჭიროება იქნება ან თავად თუ ექნებათ სურვილი. მაგრამ ეს ცალმხრივი მცდელობა არ უნდა იყოს, ასე თანამშრომლობა არ გამოვა, შედეგს მხოლოდ ორმხრივი სურვილი განაპირობებს.

**- ანუ, მზად ხართ კუპერთან ითანამშრომლოთ, თუკი მას ამის სურვილი ექნება?**

- სიამოვნებით! მზად ვარ, ყველას მხარში ამოვუდგე...

**- მეტი დრო რომ გქონოდათ, შეძლებდით უკეთესი შედეგის მიღწევას?**

- ძნელი სათქმელია. დროის გარდა, შედეგს სხვა ფაქტორებიც განაპირობებს. ნებისმიერ შემთხვევაში, გუნდის მშენებლობა რთული და შრომატევადი პროცესია. ზოგიერთივით არა ვარ, ამ საქმეში კუპერს წარმატებებს ვუსურვებ.

**- „ზოგიერთში" ვინ იგულისხმეთ? იყო ხალხი, რომელსაც ნაკრებში თქვენი წარმატება არ გაუხარდებოდა?**

- ვინც ვიგულისხმე, ის გაიგებს... მეტს არაფერს გეტყვით. აქვე დავაზუსტებ, რომ ეს არ ეხება ფეხბურთის ფედერაციის პერსონალს.

**- ამტკიცებთ, რომ თქვენ მიერ აღებული კურსი სწორი იყო. ვინ იყვნენ ისინი, რომლებიც ამ კურსის მართებულობას იზიარებდნენ?**

- ეს იყო ევროპის საფეხბურთო ელიტის რჩეული ხალხი, რომელთანაც კონტაქტი ახლაც მაქვს. ისინი მეუბნებოდნენ - საქართველოში რამდენიმე წლის შემდეგ მიხვდებიან, რომ სწორი გზა აირჩიეო. ჩემთვის ეს ყველაზე დიდი ჯილდო და შეფასება იყო, ვიდრე მატერიალური ან სხვა რაღაც... დიახაც, ამაყი ვარ, რომ ჩვენი ფეხბურთისთვის იმას ვაკეთებდი, რაც ნამდვილად საჭირო და აუცილებელი იყო, მიუხედავად არაერთი შეურაცხყოფისა, დაუმსახურებელი კრიტიკისა თუ დაბრკოლებისა. სამწუხაროდ, მწვრთნელებს შრომა ყოველთვის არ უფასდებათ და ამიტომაც ამბობენ - უმადური პროფესიააო.

**- ტოპმიოლერიც ამბობდა, მუშაობა ბოლომდე არ მაცალესო...**

- არ დამავიწყდება დიდი ნოდარ ახალკაცის სიტყვები - ლობანოვსკისა და ბესკოვს სამ-სამი ორდენი აქვთ მიღებული, მე კი 23 საყვედურიო... იმისთვის, რაც მან ქართულ ფეხბურთს მოუტანა, მარტო მისი სახელობის ქუჩა კი არა, ძეგლიც უნდა იდგეს. და ეს იქნება მაგალითი მომავალი თაობებისთვის.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი



ბენ ფოსტერი

# ფოსტერის ახალი კონტრაქტი

## სერ ბობი ჩარლტონი სათანადოდ დააფასეს

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ლიგის თასის ფინალში გუნდის მეორე მეკარის **ბენ ფოსტერის** თამაშით აღფრთოვანებული დარჩა. შოტლანდიელმა გამოთქვა რწმენა, რომ ის ღირსეულად შეძლებს **ედვინ ვან დერ საარის** შეცვლას და შემდგომ ინგლისის ნაკრებშიც უპირველესი მეკარე გახდება. *„ედვინ ვან დერ საარი ჩვენი დღევანდელობაა, ფოსტერი - მომავალი. ბენს ვენდე ფინალურ მატჩში. შეხვედრამ მის მიმართ ჩემი ნდობა კიდევ უფრო გაამყარა. დარწმუნებული ვარ, რომ ის აუცილებლად გახდება ინგლისის ნაკრების პირველი მეკარე. ამისთვის მას ყველაფერი აქვს, უპირველეს ყოვლისა კი მტკიცე ხასიათი, რომელიც მუხლის ქრონიკულმა ტრავმებმაც ვერ გატეხა,"* - განაცხადა სერ ალექსმა.

მოგეხსენებათ, „ეშმაკებმა" ედვინ ვან დერ საარს გაუმჯობესებული ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „ტოტენჰემთან" პენალტების სერიაში გამოჩენილი გმირობა ფოსტერსაც დაუფასდა და ახალი ხელშეკრულება მასაც შესთავაზეს. ამიერიდან ის კვირაში 25 ათას გირვანქას მიიღებს. დაგვეთანხმებით, სათადარიგო მეკარისთვის სოლიდურზე სოლიდური შეთავაზებაა. *„მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიოში უდიდესი კლუბია და მინდა აქ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე. მე ჯერ 25 წლის ვარ. მეკარისთვის ეს ასაკი ბევრი არაფერია. იმედია, კარიერის დასრულებამდე „ოლდ ტრეფორდზე" თამაშის საშუალება მომეცემა. კიდევ ერთი სანუკვარი მიზანი მაქვს - ეროვნული ნაკრები. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების შესაძლებლობა მომეცეს,"* - დასძინა ფოსტერმა.

71 წლის სერ **ბობი ჩარლტონი,** საფეხბურთო დამსახურებების გამო, ქალაქ მანჩესტერის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. შეგახსენებთ, რომ სწორედ ის და **ჯორჯ ბესტი** მიიჩნევიან „ეშმაკების" ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელებად. ჩარლტონმა „იუნაიტედის" მაისურა 606-ჯერ მოირგო და 199 გოლი გაიტანა, ამას გარდა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 106 შეხვედრაში 49 შეაგდო. სწორედ ბობი ჩარლტონი გახლდათ სერ **ალფ რემსის** ლეგენდარული ნაკრების ლიდერი, რომელმაც 1966 წელს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მუნდიალი მოიგო. სერ ბობი ერთ-ერთი იყო იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც 1958 წლის 6 თებერვალს მიუნხენის ავიაკატასტროფას გადაურჩნენ. ათი წლის თავზე სწორედ ჩარლტონი გახლდათ ის კაპიტანი, ვინც „იუნაიტედს" პირველი ჩემპიონთა თასი მოუტანა. მან ფინალში დუბლით გამოიჩინა თავი. სერ ბობი ჩარლტონამდე მანჩესტერის საპატიო მოქალაქეობა მინიჭებული ჰქონდათ ბრიტანეთის პრემიერ სერ **უინსტონ ჩერჩილს**, ამერიკის პრეზიდენტ **ვუდრო უილსონსა** და „მანჩესტერ იუნაიტედის" ამჟამინდელ თავკაც სერ ალექს ფერგიუსონს.

**რიო ფერდინანდის** საფეხბურთო მადას ზღვარი არ უჩანს. აი, მისი გუშინწინდელი კომენტარი: *„შესანიშნავია, რომ ბოლო 12 თვეში რამდენიმე ტიტული მოვიგეთ. წელს იმედგაცრუებული დავრჩები, თუ სეზონს ლიგის თასის ამარა ჩავამთავრებთ. რაც შეიძლება მეტი ტიტული უნდა მოვიგოთ. სულ უკმაყოფილო ვარ. როცა საკუთარ თავს კმაყოფილებას შევატყობ, დავასკვნი, რომ ფეხბურთიდან წასვლის დრო მოსულა. წარმოიდგინეთ, კვირასაც კი, როცა ლიგის თასი მოვიგეთ, მე კიდევ რაღაცა მინდოდა... მინდა, გუნდში, რაც შეიძლება, დიდი ხანი დავრჩე, რომ კიდევ უფრო მეტი ჯილდო დავისაკუთრო."*

შოტლანდიური ამბები

# სელტიკმა სოლიდური მოგება ნახა

## რეინჯერსი ზაფხულისთვის ემზადება

გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ სულ უფრო იშვიათად ჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ კლუბმა წლიწადი დადებითი ბალანსით დაასრულა. საბედნიეროდ, ასეთი კლუბები მაინც არსებობენ. შოტლანდიის ბოლო სამი ჩემპიონატის გამარჯვებულმა „სელტიკმა" 2008 წლის მეორე ნახევრის ფინანსური ანგარიში წარმოადგინა, სადაც წერია, რომ „კათოლიკების" მოგებამ ამ პერიოდში 8.3 მილიონი გირვანქა შეადგინა. ექვს თვეში კლუბის ფინანსური ბრუნვა 46.78 მილიონი იყო, რაც წინა ექვსი თვის მაჩვენებელზე 10.3 პროცენტით მეტია. გასავალმა 34.1 მილიონ ფუნტს მიუკაკუნა, რაც წინა მაჩვენებელს 4.9 პროცენტით აღემატება. აღსანიშნავია, რომ „სელტიკ პარკზე" დასასწრები ბილეთების ფასი არ გაზრდილა. სამაგიეროდ, კლუბმა საკუთარი ატრიბუტიკა გააძვირა, რამაც მისი შემოსავალი 10.89 მილიონით გაზარდა. საგულისხმოა ისიც, რომ „სელტიკმა" 2008 წლის ზაფხულში კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი წლიური აბონემენტი გაყიდა. დაბოლოს, წლიურ ანგარიშში მითითებულია, რომ ამიერიდან „სელტიკს" მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობის ვალი დარჩა გასასტუმრებელი. გეტყვით, რომ „კელტებს" ბანკებისგან 3.63 მილიონი გირვანქა ჰქონდათ ნასესხები. ამ თანხიდან კლუბმა 2.66 მილიონი უკვე გადაიხადა. მიმდინარე დავალიანება კი სულ 970 ათას გირვანქას შეადგენს.



შუნსუკე ნაკამურა ფიქრობს, დაემშვიდობოს თუ არა სელტიკს

სულ უფრო ინტენსიურად ისმის ხმები, რომ „სელტიკის" ვეტერანი ნახევარმცველი, იაპონელი **შუნსუკე ნაკამურა** სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და სამშობლოში დაბრუნდება. საამისოდ მას მართლაც სერიოზული მიზეზი აქვს - მისი ოჯახი დღემდე იაპონიაში ცხოვრობს. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ ცდილობს ამაზე არ იფიქროს, რადგან პრობლემებზე კონცენტრირება მასაც და გუნდსაც მხოლოდ ზიანს მოუტანს. როგორც ჩანს, შუნსუკე ბრწყინვალედ ახერხებს მთელი ყურადღების ფეხბურთზე გადატანას. „სელტიკის" შემადგენლობაში წელს ის ერთ-ერთი საუკეთესოა - ფეხბურთელის ანგარიშზე უკვე 8 გოლია. 28 თებერვალს „სენტ მირენის" წინააღმდეგ „სელტიკ პარკზე" მისი ბენეფისი შედგა. შუნსუკემ სტუმრებს სამ გოლი გაუტანა, მათ შორის ერთი - ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით. *„შეიძლება მომდევნო სეზონიც „სელტიკში" გავატარო, შეიძლება სხვა ლიგაში გადავიდე, ან სულაც იაპონიაში დავბრუნდე,* - განუცხადა ფეხბურთელმა „დეილი რეკორდს", *- არ ვიცი... გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ისე, გლაზგოს დატოვება ჯერ კიდევ იანვარში შემეძლო, მაგრამ მივხვდი, რომ ეს გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. სეზონის ბოლომდე შემდგომ კარიერაზე ფიქრს არ ვაპირებ, რადგან ძალიან მინდა, ზედიზედ მეოთხედ მოვიგო შოტლანდიის ჩემპიონის ტიტული. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია".*

მართალია, შოტლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში „რეინჯერსი" „სელტიკს" არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ ფაქტია, რომ სამომავლო პერსპექტივები „კათოლიკებს" მეტი აქვთ. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ რეინჯერებს სავაისოდ შემადგენლობის სერიოზულად გადახალისება მოუხდებათ. აღნიშნული ფაქტი თავად „რეინჯერსის" პრეზიდენტმა **დევიდ მიურეიმ** დაადასტურა. „სელტიკისგან" განსხვავებით, რომელმაც ვალების გადახდა მოახერხა, „პროტესტანტებმა" ინვესტორებისგან ფული აქეთ ისესხეს. ბოლო ექვს თვეში „რეინჯერსმა" 4.1-მილიონიანი ზარალი ნახა. ამას ხელი შეუწყო ევროთასებიდან ადრეულმა გამოვარდნამ. შეგახსენებთ, რომ „რეინჯერსი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიტვურმა „კაუნასმა" დაიფრინა.

ამჟამად **უოლტერ სმიტის** განკარგულებაში 30 ფეხბურთელია და სწორედ ამიტომ მიურეი შემადგენლობის შეთხელებას ემხრობა. *„უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში კოლოსალური პრობლემები დაგვიგროვდა. ჩემპიონთა ლიგიდან ადრეულ ეტაპზე გამოვვარდით, ვერ მივიღეთ ის შემოსავალი, რასაც ველოდით, პლუს, ეკონომიკურმა კრიზისმა მოგვისწრო... ყოველივეს გათვალისწინებით, არც ფინანსური და არც წმინდა სპორტული თვალსაზრისით, „რეინჯერსს" ამხელა შემადგენლობა არ სჭირდება. ჩვენ წინაშეა მარტივი ამოცანა: შემადგენლობა გონივრულ ზღვრამდე უნდა დავიყვანოთ, თანაც საჭიროა, უფრო მეტად დავეყრდნოთ ადგილობრივ ტალანტებს,"* - განაცხადა მიურეიმ.

ჩელსი



ფრენკ ლემპარდი

# ლემპარდი: უფრო მეტს ვმუშაობთ

## ესიენმა და კარვალიომ ითამაშეს

„ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდი** გუნდში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ადამიანად მიიჩნევა. სწორედ ის გახლდათ პირველი, რომელმაც თანაგუნდელებს საჯაროდ დასდო ბრალი **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ზურგს უკან შეთქმულების მოწყობაში. „ჩელსის" ვარსკვლავებმა ეს ბრალდება მოკრძალებით უარყვეს, რადგან სავარაუდოა, რომ მათ თავის გასამართლებელი საბუთი არ ჰქონდათ. ხსენებულ მოვლენებამდეც „ჩელსის" საიტზე ხშირად ჩნდებოდა ხოლმე ლემპარდის ნააზრევი, სადაც ის გუნდში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობდა და გარკვეულწილად აჯამებდა კიდეც ყველაფერს.

ჰიდინკის „ჩელსიში" მისვლიდან დრო ცოტაა გასული, მაგრამ გულშემატკივარს მაინც აინტერესებს, რას ფიქრობენ ახალ დამრიგებელზე გუნდის წამყვანი ფეხბურთელები. საიტმა ამ თემაზე ლემპარდის მორიგი ინტერვიუ გამოაქვეყნა. *„ჰიდინკმა გარკვეული ცვლილებები დანერგა, მაგრამ ძველისგან კარდინალურად განსხვავებული, არაფერი. აშკარაა, ის დადებითად მოქმედებს გუნდზე. რეი უილკინსის წყალობით (სკოლარის თანაშემწე, რომელიც თანამდებობაზე დარჩა), რჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ მემკვიდრეობითობასთან გვაქვს საქმე. ჰიდინკი უბრალოდ სიტყვებით გველაპარაკება, გვაიძულებს უფრო მეტი ვიმუშაოთ. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტაქტიკურ ელემენტებს. ყველაფერი დანარჩენი დამოკიდებულია ჩვენზე. ფეხბურთელები ვიქცევით ისე, როგორც გვეკადრება, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღეთ. ბოლოს სამი კვირაა, უფრო მეტს ვმუშაობთ, ვიდრე ამას ადრე ვაკეთებდით. სირცხვილია, რომ ხელიდან გაშვებულ შანსებზე გვიხდება ლაპარაკი, თუმცა ფსიქოლოგიური განწყობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მეორე ადგილი დავიბრუნეთ. თავაუღებელი მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. რა გამოვა, ამას დრო გვიჩვენებს,"* - თქვა ლემპარდმა.

გუშინ „ჩელსის" რეზერვისტები „ასტონ ვილას" შეხვდნენ. „არისტოკრატებმა" 3:4 წააგეს. ამ ფაქტს თქვენს ყურადღებას არ მივაპყრობდით, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **რიკარდო კარვალიომ** და **მიკაელ ესიენმა** ითამაშეს. ესიენს ექვსი თვე გაუცდა, რადგან მუხლის ჯვარედინი მყესები ჰქონდა გაწყვეტილი. რაც შეეხება კარვალიოს, მან თვე-ნახევარი გამოტოვა. პორტუგალიელსაც მუხლის პრობლემა აწუხებდა. კარვალიომ მინდორზე 60 წუთი გაატარა, ხოლო ესიენმა - მთელი 90 წუთი.

ამბები

### სისე: მარსელს პატივს ვცემ, მაგრამ...

„სანდერლენდის" ფრანგმა თავდამსხმელმა **ჯიბრილ სისემ** განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის შემდეგაც პრემიერლიგაში დარჩენა უნდა. შეგახსენებთ, რომ ის „შავ კატებში" იჯარით თამაშობს, ისე კი მისი კონტრაქტი „მარსელს" ეკუთვნის. ჯერჯერობით „სანდერლენდის" ხელმძღვანელობას მასთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმების სურვილი არ გამოუთქვამს. ფეხბურთელს ეს ოდნავადაც არ აკვირვებს. კლუბი პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. სანამ ის უმაღლეს დივიზიონში ადგილს არ გაინაღდებს, სისესთან ახალი კონტრაქტი ვერ გაფორმდება. საეჭვოა, პრემიერლიგიდან გავარდნის შემთხვევაში, თავად ჯიბრილმა მოისურვოს ამ კლუბში დარჩენა. აი, ფეხბურთელის კომენტარი: *„ბედნიერი ვიქნები, თუ მომავალ სეზონსაც პრემიერლიგაში გავატარებ. იდეალური ვარიანტი იქნება, თუ ეს „სანდერლენდში" მოხდება, თუმცა დღეს ამის თამამად თქმა შეუძლებელია. ფეხბურთელები ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დავრჩეთ. ვფიქრობ, ეს უნდა მოვახერხოთ. ჩემს საკითხს კი, შემდეგ, დირექტორთა საბჭო გადაწყვეტს. ისღა დამრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდო. არ გეგონოთ, „მარსელს" პატივს არ ვცემდე, მაგრამ ჩემი გული პრემიერლიგისთვის ძგერს".*

### ავსტრიას ახალი მწვრთნელი ეყოლება

ავსტრიის საფეხბურთო კავშირმა ჩეხი მწვრთნელი **კარელ ბრიუკნერი** ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტიდან დაითხოვა. მიზეზი ბანალურია - ნეგატიური შედეგები, არადა, ავსტრიის ნაკრებმა 69 წლის სპეციალისტის მეთაურობით პირველივე საკვალიფიკაციო მატჩი საფრანგეთს 3:1 მოუგო, თუმც მერე და მერე საქმეები ცუდად წაუვიდა. მსოფლიოს ჩემპიონატის VII შესარჩევ ჯგუფში ავსტრიის ეროვნულ ნაკრებს ოთხ მატჩში ამდენივე ქულა აქვს. გუნდი ბოლო 3 მატჩში (მათ შორის, ამხანაგურებშიც) ზედიზედ დამარცხდა, რამაც საფეხბურთო კავშირს მოთმინების ფიალა აუვსო. ავსტრიელებს უახლოესი შესარჩევი მატჩი 1 აპრილს უწევთ. ამ დღეს ისინი რუმინეთს ეთამაშებიან. ნათელია, რომ ხსენებული შეხვედრისთვის ბრიუკნერის მემკვიდრე უკვე დანიშნული უნდა იყოს. საფეხბურთო კავშირი ახალი დამრიგებლის ვინაობას დაახლოებით 10 დღეში დაასახელებს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ

სერხიო აგუერო

# გოლები შვილის სიყვარულით

## არგენტინელის თავდამსხმელის აზრით, სანტიაგო ბერნაბეუზე გამარჯვებაც რეალურია

**სერხიო აგუერო** თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფორვარდია, თუმცა ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე არასტაბილურობა ახასიათებს. კუნი მატჩების გარკვეულ რაოდენობას უმაღლეს დონეზე ატარებს, მაგრამ ამ სეზონში სამხრეთამერიკელ თავდამსხმელს უსახურადაც არაერთხელ უთამაშია. ბუნებრივია, არასტაბილურობა ასაკის მატებასთან და გამოცდილების გაღრმავებასთან ერთად გაქრება. მთავარია, რომ სერხიო ძალიან ნიჭიერია და ამოუწურავი პოტენციალი გააჩნია. ამაში მან გასულ უქმეებზე კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. აგუერომ "ბარსელონას" დამარცხებაში ლომის წილი შეიტანა. "დიარიო ასის" კორესპონდენტმა მასთან საუბარი სწორედ ამ შეხვედრის გახსენებით დაიწყო.

**- სერხიო, წინა ტურის შეხვედრა საუკეთესო იყო თქვენს მადრიდულ კარიერაში?**

- სიმართლე გითხრათ, იმ შეხვედრით ძალიან კმაყოფილი გახლავართ. ჩემი თანაგუნდელებიც გახარებულები არიან. ძალიან რთული და მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ჩემი აზრით, 3 ქულის მოპოვებაში გადამწყვეტი სიტყვა დიეგო ფორლანმა თქვა. ის მთელი შეხვედრის განმავლობაში გენიალურად თამაშობდა. მიმომხილველები ამბობენ, რომ "ბარსელონასთან" ჩვენმა დაცვამ სერიოზული შეცდომები დაუშვა, მაგრამ მე ამ მოსაზრებას არ დავეთანხმები. მიუხედავად იმისა, რომ სამი ბურთი გავუშვით, დაცვა მაინც საიმედოდ ასპარეზობდა. ბუნებრივია, ორი გოლის გატანით ძალიან გავიხარე. ეს ორი ბურთი "ატლეტიკოს" 3 ქულის მოპოვებაში დაეხმარა. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- ორი გოლიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?**

- სილამაზის თვალსაზრისით, პირველი გოლი ჯობდა, მაგრამ მე მეორე ბურთმა უფრო გამახარა. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა და ცხადი იყო, რომ ის გუნდი მოიგებდა, რომელიც გოლის გატანას შეძლებდა. ღმერთს მადლობას მოვახსენებ, რომ დიდი წარმატების მიღწევაში მომეხმარა. ძალიანაც რომ მოვინდომო, მაშინ განცდილ ემოციებსა და გრძნობებს სიტყვებით მაინც ვერ გადმოვცემ. ფეხბურთის საუკეთესო ძალა სწორედ ასეთ ეპიზოდებში ვლინდება. იმ გოლმა ისეთი ძალა შემმატა, ალბათ, მთელ სამყაროს დავამარცხებდი. მართლაც, განუზომელი ბედნიერება ვიგრძენი.

**- საკვირაო მატჩის შემდეგ ალბათ, უფრო კარგად გააცნობიერეთ, "ატლეტიკოს" გულშემატკივრებს ასე ძალიან რატომ უყვარხართ. თქვენ ამ კლუბის სიმბოლოდ მიიჩნევით. ხალხს სიამოვნებას ანიჭებთ.**

- მადლობა ღმერთს, რომ ათიათასობით გულშემატკივარი გვყავს. იმ სალამოს "ვისენტე კალდერონზე" 55 ათასი გულშემატკივარი მოვიდა, მაგრამ ბევრად მეტი ტელევიზორებთან გვქომაგობდა. თამაშის სცენარიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ინჩასებმა დიდი სიამოვნება მიიღეს. ეს მათი რეაქციებიდანაც იგრძნობოდა. ფეხბურთელი ყოველთვის ბედნიერია, როცა ხედავს, რომ მის მიერ გაკეთებულმა საქმემ ფართო საზოგადოებას სიამოვნება და სიხარული მიანიჭა. მინდა ვისურვო, რომ "ატლეტიკო" მომდევნო ტურის შეხვედრებსაც უმაღლეს დონეზე ჩაატარებს და ხალხი კვლავ ბედნიერად იგრძნობს თავს.

**- რას გრძნობს ადამიანი მაშინ, როცა სტადიონზე შეკრებილი ათიათასობით ადამიანი მის სახელს სკანდირებს და უსასრულო სიყვარულს გამოხატავს?**

- ხომ გითხარით, იმ განწყობისა და ემოციების სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ხალხის სიყვარული ადრეც არ მომკლებია, მაგრამ ის, რაც "ბარსელონასთან" მატჩში მოხდა, უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ. თითქმის მთელი სტადიონი ფეხზე იდგა და ყველა ერთხმად ყვიროდა: აგუერო, აგუერო! სიმართლე გითხრათ, ცრემლები ძლივს შევიკავე. "ბარსელონას" 4 გოლს ყოველთვის ვერ გაუტან. ასეთი დღეებით მაქსიმალური სიამოვნება უნდა მიიღო. "ატლეტიკოს" დიდი ოჯახი იმ სალამოს დიდ თავდავიწყებას მიეცა. ვფიქრობ, მაგრამ ასე გახარებულ "ვისენტე კალდერონს" ვერ ვიხსენებ. ხალხმა ეს გამარჯვება ისე აღნიშნა, როგორც მისი პირადი წარმატება. ფეხბურთის ძალა მართლაც ამოუწურავია. სიგიჟემდე მიხარია, რომ გულშემატკივრები სახლში კმაყოფილი წავიდნენ. ამ გამარჯვებას ისინი დიდხანს ელოდნენ. ვფიქრობ, ჩვენი ფანები გაცილებით მეტს იმსახურებენ.

**- გასული რამდენიმე კვირის განმავლობაში თქვენი მისამართით უამრავი კრიტიკა ისმოდა. ბოლოს იმასაც ამბობდნენ, აგუერო "ატლეტიკოში" თავს ბედნიერად ვერ გრძნობს და სეზონის დასრულების შემდეგ სხვა გუნდში გადავაო. საინტერესოა, "ბარსელონასთან" გამარჯვების შემდეგ ამ თვალსაზრისით რას ფიქრობთ?**

- მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ "ატლეტიკოში" ვთამაშობ. ამ გუნდიდან წასვლის სურვილი არასოდეს გამომითქვამს. ერთ ადამიანსაც ვერ ნახავთ, რომელიც იტყვის, რომ მას საპირისპირო რამ ვუთხარი. თუ "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობას ჩემი დატოვება სურს, მე არსად წავალ.

**- არა მგონია, გუნდის დირექტორატს თქვენი გაშვება უნდოდეს. გულშემატკვირებზე აღარაფერს ვამბობ. მით უმეტეს, "ბარსელონასთან" ჩატარებული ფანტასტიკური მატჩის შემდეგ.**

- ღმერთმა ქნას, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული დიდხანს გაგრძელდეს. ჩემი მიზანი სწორედ ეს არის. ყოველდღე იმისთვის ვილვიძებ და ვვარჯიშობ, რომ „ატლეტიკოს" გამოვადგე.

**- თუმცა სიამ-ტკბილობას მდიდარი კლუბები უქმნიან საფრთხეს. შეუძლებელია, „ბარსელონასთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ თქვენთან თანამშრომლობის სურვილი ევროპული ფეხბურთის გრანდებს არ გაჩენოდათ. სანდო წყაროდან გავიგე, რომ თქვენი გადაბირების მსურველი კლუბები რიგში დგანან.**

- ეს არ იქნება გასაკვირი, რადგან მდიდარი კლუბები სასურველი ფეხბურთელების შესაძენად უკან არაფერზე იხევენ ხოლმე. საკმარისია, ზედიზედ რამდენიმე წარმატებული მატჩი ჩაატარო, მაშინვე სხვაგან გადასვლის წინადადებით მოგმართავენ. არ დაგიმალავთ, ჩემს მენეჯერებს არაერთი საინტერესო და სარფიანი შემოთავაზება აქვთ, მაგრამ მე „ატლეტიკოდან" წასვლაზე არ ვფიქრობ. „როხიბლანკო" ისეთი კლუბია, რომელსაც იოლად ვერ შეელევი. გულშემატკივრებმა აქაურობა უზომოდ შემაყვარეს. ჩემოდნების ჩალაგება და წასვლის გადაწყვეტილების მიღება იოლი ნამდვილად არ იქნება. რაც მთავარია, საამისო მიზეზი არ გამაჩნია. არა მგონია, ასე ძლიერად კიდევ სადმე შემიყვარონ.

**- მომავალ უქმეებზე კიდევ ერთი დიდი მატჩი გელით. გოლები "სანტიაგო ბერნაბეუსთვისაც" შემოინახეთ?**

- ღმერთმა გისმინოთ. „ბერნაბეუზე" გოლების გატანა და გამარჯვება ჩემი მომდევნო მიზანია. იმედია, "რეალთანაც" კარგად ვითამაშებთ. სამეფო კლუბის მისსავე მოედანზე დამარცხება შეუძლებელი სულაც არ არის. მთავარია, საკუთარ თავში ძალა გამოვნახოთ, მაქსიმალურად მოვინდომოთ და დიეგო ფრლანი მარჯვენა ფეხზე ადგეს. თუ ყველაფერი ამ სცენარით წარიმართება, აუცილებლად მოვიგებთ.



სერხიო აგუერომ თავისი შვილი და დიდი დიეგოს შვილიშვილი გულშემატკივრებსაც გააცნო

**- ფორლანს საკვანძო ფიგურად მიიჩნევთ?**

- რა თქმა უნდა. დიეგოს გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. მის გარეშე "ატლეტიკო" სულ სხვა გუნდი იქნებოდა. მას სამაგალითო პროფესიონალს ვუწოდებდი.

**- როგორ ფიქრობთ, "რეალის" დამარცხება უფრო რთულია, თუ "ბარსელონის"?**

- თქვენ აბსოლუტურად განსხვავებულ ორ კლუბზე მესაუბრებით. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ "ბარსელონას" მაღალი კლასის ფეხბურთელები უფრო მრავლად ყავს. ისინი უფრო დიდი ძალით გიტევენ და მეტ პრობლემას გიქმნიან. ბუნებრივია, "რეალიც" დიდი ძალით უტევს, მაგრამ ამ თვალსაზრისთ "ბარსელონა" უკეთ გამოიყურება. თუ "სანტიაგო ბერნაბეუზეც" ისევე ვითამაშებთ, როგორც "ვისენტე კალდერონზე" ვიასპარეზეთ, გამარჯვების დიდი შანსი გვექნება.

**- პატარა ბენხამინი (აგუეროს შვილი) როგორ არის?**

- ბენხამინი ძალიან პატარაა. ჯერ ერთი თვეც არ შესრულებია, მაგრამ ისე გავთამამდი, ბავშვი სტადიონზე მივიყვანე. ის ფეხბედნიერი ადამიანი აღმოჩნდა და „ბარსელონას" დამარცხებაში დაგვეხმარა. რომ გაიზრდება, იმ დიდ შეხვედრაზე მოვუყვები და ვეტყვი, რომ „ბარსას" კარში ორი გოლი მისმა სიყვარულმა გამატანინა. დარწმუნებული ვარ, ბენხამინი ამით ცხოვრების ბოლომდე იამაყებს.

**- შვილს „სანტიაგო ბერნბეუზეც" ხომ არ მიიყვანთ?**

- ყველანაირად ვეცდები, ბენხამინი „ბერნაბეუზეც" შევიყვანო. იმედია, ხელს არ შემიშლიან. ჩემი შვილი საკმაოდ კარგი ბავშვია, ძალიან იშვიათად ტირის და თითქმის ყოველთვის ძინავს. აბსოლუტურად არავის აწუხებს (იცინის). იმ დღესაც ათიათასობით ადამიანი ყვიროდა და ხმაურობდა, მაგრამ გატრუნული იყო. „სანტიაგო ბერნაბეუზე" აუცილებლად უნდა შევიყვანო, რადგან მას იღბალი და წარმატება მოაქვს.

**- ჯანინას ბავშვის მოვლაში ეხმარებით?**

- შეძლებისდაგვარად. თუ დრო მაქვს, საფენებს ყოველთვის მე ვუცვლი. ერთხელ სულ ამოვითხვარე, მაგრამ თუ შვილის გაჩენა გინდა, მისი მოვლაც უნდა შეგეძლოს. ძალიან კარგი ძიძა ვიპოვეთ. გულთბილი და მზრუნველი ადამიანია, მაგრამ ვცდილობთ, ბავშვი მხოლოდ მას არ შევატოვოთ და მშობლების სითბო ვაგრძნობინოთ.

გამოხმაურება

# მოურინიო: ინტელექტუალური პროსტიტუცია

## სპალეტის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს

გასულ უქმეებზე „ინტერმა" „რომას" უმასპინძლა და ძლივს გადაურჩა ნაგებას. შეხვედრის 63-ე წუთზე სტუმართა კარში 11-მეტრიანის დანიშვნას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. იმ მომენტისათვის „ჯალოროსი" 3:1-ს იგებდა. იტალიურ გაზეთებში ვკითხულობთ: პენალტი რომ არა, მილანური გრანდი თამაშის გადარჩენას ვერ მოახერხებდაო. ასეთმა შეფასებამ **ჟოზე მოურინიო** წყობიდან გამოიყვანა:

„ეს საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციის მცდელობას ჰგავს. ზოგადად, ეს ძალიან დასაფასებელი საქმიანობაა, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო იმ საქმესთან, რომელსაც მე ვაკეთებ. მე კი მოგეხსენებათ, ფეხბურთში ვმოღვაწეობ. არ დაგიმალავთ, ვერ ვიტან ინტელექტუალურ პროსტიტუციას. მე პატიოსნება მირჩევნია. ბოლო დღეებში რატომღაც არავის დაუწერია, რომ რომა, საუცხოო ფეხბურთელების ყოლის მიუხედავად, სეზონს ტიტულების გარეშე ასრულებს. არავის გახსენებია, რომ „მილანს" ჩვენზე 11 ქულის ნაკლები აქვს და რომ ეს კლუბიც უტიტულოდ რჩება. არაფერი უთქვამთ „იუვენტუსზე", რომელსაც მსაჯების შეცდომების გამო არა ერთი ქულა მოიხვეჭა. მინდა, შეგახსენოთ, რომ მსაჯის შეცდომა ჩვენ მხოლოდ ერთხელ დაგვეხმარა: „სიენასთან" მატჩისას."

„ინტერთან" მატჩისას რომაელმა გულშემატკივარმა უღირსი საქციელით გამოიჩინა თავი. ისინი თამაშის მსვლელობისას რასისტულ ლოზუნგებს სკანდირებდნენ. ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი ფეხბურთელისათვის იყო განკუთვნილი შეურაცხმყოფელი შეძახილები. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ არ დააყოვნა და ჯალოროსი 8 ათასი ევროთი დააჯარიმა.

დაისაჯა რომაელთა თავკაცი **ლუჩანო სპალეტიც**. ის მეოთხე მსაჯს ეჩხუბა. მსაჯმა მოხსენების ბარათში ჩაწერა, რომ მწვრთნელმა მას შეაგინა. არბიტრის აუგად მოხსენიებისათვის სპალეტის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. მომდევნო შეხვედრას ის ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

### კობოლი ჯილი: ინტერს ინდობენ

„იუვენტუსის" პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი ჯილის** „ინტერის" მიმართ პრეტენზიები დაუგროვდა. მას მიაჩნია, რომ მილანური გრანდი ერთადერთია მთელს სერია A-ში, რომელიც მკაცრ სასჯელებს არ უსჯიან: „თუ მეხსიერება არ მღალატობს, თითქმის ერთი წელიწადია, „ინტერის" კარში 11-მეტრიანი არ დანიშნულა. არ მინდა, იფიქროთ, მსაჯებს მიკერძოებულობაში ვდებდე ბრალს. მიმაჩნია, რომ მათ ეს შეცდომებით მოსდით."

**შალვა ბიბილაშვილი**

დაპირისპირება

# საჩემპიონო ტიტულს ვერავინ წაართმევს

## გვარდიოლა სამეფო კლუბის პრეზიდენტის წინააღმდეგ

**პეპ გვარდიოლამ** ტრადიცია დაარღვია და მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ კამპანიაში ჩაერთო. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს დაპირისპირება კატალონიური გრანდის მთავარ მწვრთნელს არ წამოუწყია. ყველაფერი სამეფო კლუბის პრეზიდენტის, **ვისენტე ბოლუდას** ამ განცხადებას მოჰყვა: "ყველა ხედავს, რომ მადრიდის "რეალმა" საკმაოდ ღრმა კრიზისი დაძლია და არაჩვეულებრივად ათამაშდა. ჩვენ ახლა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ და ამას ფაქტობრივად, ყოველ უქმეებზე ვამტკიცებთ. "ბარსელონასთან" არსებული ჰანდიკაპი 8 ქულით შევამცირეთ, თუმცა თუ პრაგმატულად ვიმსჯელებთ, მივხვდებით, რომ ჩვენს შორის სხვაობა სულ რაღაც 1 ქულაა. განვმარტავ, ამას რატომ ვამბობ. მოგეხსენებათ, "ბარსას" "სანტიაგო ბერნაბეუზე" აქვს სათამაშო. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ამ მატჩს ჩვენ მოვიგებთ. შესაბამისად, 4-ქულიანი სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდება. ასე რომ, ჩვენ პრიმერა დივიზიონის უპირველესი ფავორიტები ვართ."

დაგვეთანხმებით, ძალიან ხმაურიანი განცხადებაა. ვისნტე ბოლუდა კატალონიელების თავმოყვარეობას შეეხო და გასაკვირი არ არის, რომ პეპ გვარდიოლამ ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და "რეალის" პრეზიდენტი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა: "სენიორ ბოლუდა იაფფასიან პოპულისტურ ფანდს იყენებს. მას ყურადღება გადააქვს, რადგან სამეფო კლუბს ჩემპიონთა ლიგაში უმძიმესი მდგომარეობა აქვს. "ლივერპულთან" მატჩი მოახლოვდა. ხელმძღვანელობა მშვენივრად ხვდება, რომ საჩემპიონთალიგო მიზნებს სერიოზული საფრთხე ემუქრება. გულშემატკივრებმა სასოწარკვეთილება რომ არ იგრძნონ, მათი განწყობის ამაღლებაა საჭირო. ამისათვის "ბარსას" დაკნინება საუკეთესო საშუალებაა. მადრიდელ ინჩასებს ყველაზე მეტად ჩვენს სისუსტეზე და მათ უპირატესობაზე საუბარი სიამოვნებთ. სხვა ახსნას უბრალოდ, ვერ ვპოულობ. როგორ შეიძლება, ადამიანი "ბარსელონას" დამარცხებაში 100 პროცენტით იყოს დარწმუნებული? ეს რომ ყურადღების გადატანის მცდელობა არ იყოს, ვიტყოდი, ვისენტე ბოლუდა ბოდავს-მეთქი. მადრიდელებმა რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, ვერაფერს დაგვაკლებენ. მე 2008/09 სეზონის საჩემპიონო ტიტულს ვერავინ წაართმევს. ეს გამორიცხულია. თავს დავდებ და სრული სერიოზულობით განვაცხადებ, რომ "ბარსა" ესპანეთი ჩემპიონი გახდება.

გვერდი მოამზადა **ილია ნიკოლაიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ — უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

# არსენალს ნულები და გატანჯული რომა

„რომაში“ მიიჩნევენ, რომ ეს გუნდი მსაჯების გამო ვერ ხდება იტალიის ჩემპიონი და ამავე მიზეზით ვერც ვერასდროს გახდება; სილვიო ბერლუსკონი წელს რატომღაც ზედმეტად დიპლომატიურია; ინგლისსა და ესპანეთში პირველ შემადგენლობებს უფრო მნიშვნელოვანი მატჩებისთვის ასვენებენ, მაგრამ შედეგს მაინც ვერ იმკიან; ვაცლავ სვერკოში საფრანგეთში თავიდან დაიბადა; „არსენალი“ კი უკვე „არსენულია“.

თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...

## სერია A

### გულითადი სალამი ტონგელ ხალხს ანუ, როგორ დაისაჯა არბიტრი რიცოლი

თამამად ვიტყვით, რომ „ინტერი“-“რომა“ (3:3) იტალიის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი გამოვიდა. მაგრამ, როგორც იტალიელებს სჩვევიათ, მეორე დღეს აპენინებზე იმ ფანტასტიკურ სპექტაკლზე კი არ საუბრობდნენ, რომელიც ამ ორმა გუნდმა „სან სიროზე“ დადგა, არამედ ერთ კონკრეტულ მომენტზე, რომელსაც შეგვიძლია, სკანდალური ვუწოდოთ. დისკუსია მილანელთა თერთმეტმეტრიანს შეეხო, რომელმაც „ინტერს“ მისცა იმის საშუალება, რომ სხვაობა 1:3-დან, 2:3-მდე შეემცირებინა. მოკლედ, „რომას“ კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც არ უნდა დანიშნულიყო - გამეორებაზე თვალნათლივ ჩანს, რომ **მარიო ბალოტელიმ** ისიმულანტა. ეს ფაქტი კი იმის საბაბი გახდა, რომ რომაელთა თავკაც **ლუჩანო სპალეტის** არბიტრ **ნიკოლა რიცოლისთვის** იდიოტი ენოდებინა, ხოლო ფედერკალჩოს მისთვის სერია A-ში დისკვალიფიკაცია მიეცა. სპალეტი ვახსენეთ და აი, მისი სიტყვებიც: *„საკუთარი თავი უკვე ძალიან მეცოდება იმის გამო, რომ აქ, მილანში, მსაჯები ყოველთვის აბუჩად მიგდებენ მეც და ჩემს გუნდსაც“!*

**დანიელე დე როსიმ** კი უფრო კონკრეტულად ისაუბრა: *„თუ რიცოლი იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯია, მაშინ მე დიეგო მარადონა ვარ და არივედერჩი, იტალიურო ფეხბურთო!“* - თქვა დაბადებით რომაელმა დე როსიმ და იქვე დასძინა, - *რომასთან“ ერთად ჩემპიონობა ჩემი უდიდესი ოცნებაა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ასეთი მსაჯობით ეს შეუძლებელია!“* ისე, დიდი ხნის ცნობილი ამბავია, რომ „ინტერს“ დე როსის გადაბირება უნდა და თუ გადავა, იქ სკუდეტოს მოპოვების აშკარად უკეთესი შანსი ექნება.

იტალიელი კომენტატორები თავიანთი ენაკვიმატობით ნამდვილად გამორჩეულები არიან. მცირე ჩართვა ფასიანი „სქაი იტალიას“ პირდაპირი ეთერიდან: ეს-ესაა, „კატანიამ“ მესამე გოლი გაიტანა (მასკარა, 50 მეტრიდან) და კომენტატორი ყვირის: *„რა გოლი, ღმერთო ჩემო, რა გოლი გავიდა! ამ კვირაში ამ გოლს მთელი მსოფლიო ნახავს. მასკარას გოლს ტონგაშიც კი ნახავენ და ტონგელი ხალხიც აღფრთოვანდება ამ მართლაც გენიალური გოლით!“* კადრი წყდება და ახლა უკვე „სიენასა“ და „ჯენოას“ მატჩში ვერთვებით, ბოლო წუთებია და კომენტატორი ამბობს: *„იმედი მაქვს, რომ ეს რეპორტაჟი ან ამ მატჩის მიმოხილვა ტონგაში არ გადაიცემა. იმდენად უინტერესო და ამაზრზენი შეხვედრაა, რომ ეს მატჩი ტონგელებმა რომ ნახონ, ისედაც მოწყენილები კიდევ უფრო მოიწყენენ. არა, ამ მატჩის ყურება ჯანმრთელობისთვის საზიანოა!“*

მას მერე, რაც „მილანის“ პატრონი **სილვიო ბერლუსკონი** პოლიტიკაზე უფრო ინტენსიურად ზრუნავს, ვიდრე „მილანზე“, მისი განცხადებები ფეხბურთის შესახებ გაცილებით დიპლომატიური გახდა. „სამპდორიასთან“ წაგებული მატჩის შემდეგ (1:2) ბერლუსკონიმ თქვა: *„სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია!“* სხვა დროს „სამპდორიასთან“ ფრის შემდეგაც კი თმას დაიპუტავდა, მერე კი ისევ მიიწებებდა. *„ესეც არ იყოს,* - აგრძელებდა ბერლუსკონი, - *ბოლო დროს ჩვენ აბსოლუტურად ყველა ტიტულის მოგება შევძელით.“* ფაქტია, რომ ამ სეზონში „მილანის“ ტიტულების უდიდეს მუზეუმს არაფერი აღარ შეემატება.

## პრემიერლიგა

### BORING, BORING, ARSENIL

იმ დროს, როცა „ლივერპული“ „მიდლსბროსთან“ 0:2-ზე წაგებით ჩემპიონობაზე ოცნებას გამოეთხოვა, **არსენ ვენგერის** „მოკლე პასების ხელოვანი“ შეგირდები საკუთარ თავს დაემშვიდობნენ. თვითონ განსაჯეთ, „ნიუს ოფ ზე უორლდმა“ ლონდონელთა 0:0 „ფულჰემთან“ (საკუთარ მოედანზე) ასე დაასათაურა: „Boring, Boring, ArseNIL“. ეს იყო ზედიზედ მეოთხე უგოლო ფრე „არსენალისთვის“. უპრიანია, შეგახსენოთ, რომ ბოლოს ასეთ „წარმატებას“ 1994 წელს **ჯორჯ გრემმა** მიაღწია, რომელიც მერე კორუფციის გამო გაათავისუფლეს. ფაქტია, რომ ვენგერს ასეთი საფრთხე ჯერ არ ემუქრება და კრიზისს ალბათ გაუძლებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „მეთოფეების“ მწვრთნელს, შესაძლოა, უფრო უარესი რამ ემუქრებოდეს: მონაწილეობა უეფას თასზე.

სასაცილო ამბავი დაემართა „ასტონ ვილას“, რომელსაც ასევე არ უნდა, რომ უეფას თასის საგზურს დასჯერდეს და ჩემპიონთა ლიგას ეპოტინება. რაც უნდა იყოს, უეფას თასს თვით **ფრანც ბეკენბაუერმა** უწოდა „წაგებულების ტურნირი“. **მარტინ ონილმა** უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრაში, მოსკოვის ცსკა-სთან მოედანზე მეორე შემადგენლობა გაიყვანა, პირველი კი „სტოკ სიტისთან“ მატჩისთვის დაასვენა. საბოლოოდ, ონილმა ასეთი შედეგი მიიღო: „ასტონ ვილა“ უეფას თასს გამოეთიშა, კვირას კი ორბურთიანი უპირატესობა ბოლო ორ წუთში გაანიავა და 2:2-ს დასჯერდა. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ „ასტონ ვილას“ 295 ფანი რუსეთში აბსოლუტურად ტყუილად გაჰყვა. თუმცა კლუბმა ერთგული ქომაგები უყურადღებოდ არ დატოვა: ონილმა 295-ივე ფანი გუნდთან ერთად ვახშამზე დაპატიჟა.

ასეთი გალა-ვახშმის მოწყობის უფლება თავს ვერ მისცემს **ჰარი რედნაპი**, რადგან დონეცკის „შახტართან“ საშინაო მატჩს 30 000 მაყურებელი დაესწრო. მათ იხილეს, თუ როგორ ცდილობდა „ტოტენჰემი“ სარეზერვო შემადგენლობით წარმატების მიღწევას. საბოლოოდ, მატჩი 1:1 დასრულდა და „მამლები“ უეფას თასიდან გავარდნენ. რედნაპმა პირველი შემადგენლობა „მანჩესტერთან“ ლიგის თასის ფინალისთვის დაასვენა...

## პრიმერა დივიზიონი

### სუიციდი ბასკურად

„რეალის“ ვარსკვლავმა **გუტიმ** პარასკევს ძალიან ხმამაღალი განცხადება გააკეთა: ამ უქმეებზე „ატლეტიკოს“ ფანი ვარო. რაც ყველაზე საინტერესოა, როხიბლანკოებმა გუტის ქომაგობა გაამართლეს და „ბარსელონა“ უნიკალურ მატჩში 4:3 დაამარცხეს. შესაბამისად, „ბარსას“ უპირატესობა 4 ქულამდე შემცირდა. გამარჯვების გოლი **კუნ აგუეროს** ანგარიშზეა, რომელიც მან მატჩის მიწურულს გაიტანა.

*„ჩემი ვაჟი ჩემს თამაშს პირველად დაესწრო და როგორც ხედავთ, ფეხბედნიერი აღმოჩნდა,“* - განაცხადა ნამატჩევს მარადონას სიძემ, რომელსაც შვილი ახლახან შეეძინა. „ატლეტიკოს“ დაცვა რომ არ ჰყავდა, ეს ისედაც ვიცოდით. ახლა კი შევიტყვეთ, რომ თურმე „ბარსელონასაც“ აღარ ჰყოლია.

„რეალი“ კი რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდა „ბარსელონასთან“ მიახლოებას, ყველა თამაშს იგებდა, მაგრამ მადრიდელები კატალონიელებს სათოფეზე ვერ ეკარებოდნენ, რადგან „ბარსაც“ იგებდა ხოლმე. მოგებათა სერია კი „ბეტისთან“ 2:2-მდე გაგრძელდა (თებერვლის შუა რიცხვები), რის შემდეგაც „ბარსელონას“ დაღმასვლა დაიწყო. თვითონ განსაჯეთ, კატალონიურმა გრანდმა მას მერე 3 თამაშში მხოლოდ 1 ქულა აიღო, „რეალმა“ კი - ცხრა! *„დღეს ჩვენ უფრო პრივილეგირებულ სიტუაციაში ვართ,“* - აცხადებს მადრიდელთა კაპიტანი **რაული**. „ბარსას“ ვარსკვლავი **ჩავი** კი აღიარებს, აშკარად კრიზისში ვართო.

დღეს ბილბაოს „ატლეტიკი“ და „სევილია“ ერთმანეთს თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან. უქმეებზე კი ეს გუნდები პრიმერადივიზიონში შეეტოქნენ. ზემოთ ხსენებული ორი მწვრთნელის დარად, ბასკური კლუბის მთავარ მწვრთნელ **ხოაკინ კაპაროსსაც** მოუვიდა გენიალური იდეა და მოედანზე მეორე შემადგენლობა გაიყვანა, რითაც ერთი მხრივ ალბათ პირველი შემადგენლობის დასვენება სურდა, მეორე მხრივ კი სევილიელი ვიზავის შეცდომაში შეყვანა. „ბილბაოს“ მწვრთნელმა მიზანს მიაღწია: პირველი შემადგენლობა დაასვენა და სევილიელი ოპონენტიც გაურკვევლობაში დატოვა, მაგრამ წააგო: 0:2. შესაბამისად, ორშაბათს „მარკა“ წერდა: Suizid! კაპაროსი კი თავს იცავს, ოთხშაბათისთვის ძირითადი ფეხბურთელების დასვენება, უბრალოდ, გარდაუვალი იყოო. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი: ნახევარფინალი დღესაა.

## ბუნდესლიგა

### კლინსმანი ბჭობს, მაგათი იცინის

ორი კვირაა, **ფელიქს მაგათის** „მგლები“ ლიდერს ლიდერზე ამხობენ. ჯერ იყო და, „ჰერტა“ „დაკბინეს“ და გალიდერებული დედაქალაქელები ცოტა ხნით ისევ მიწაზე დააბრუნეს, ახლა კი „ჰამბურგი“ დაგლიჯეს მისსავე მოედანზე (3:1) და ტახტიდან ისევ ჩამოაგდეს, სადაც ისევ „ჰერტა“ ავიდა. ამასობაში, თვითონ „ვოლფსბურგი“ ნელ-ნელა, მზაკვრულად უახლოვდება პირველ ადგილს, რომლამდეც მხოლოდ 4 ქულაღა აშორებს. ერთი სიტყვით, ბუნდესლიგაში ლიდერების წინდებივით ცვლა გრძელდება - ამ კვირაში ისევ „ჰერტა“ ზეიმობს და არავინ იცის, ვინ იქნება შემდეგი, რადგან პირველიდან მეხუთე ადგილამდე სხვაობა 4 ქულას შეადგენს. მეხუთე პოზიციაზე კი, ალბათ, უკვე აღარ გაგიკვირდებათ და „ბაიერნია“. „სპორტინგის“ გაცამტვერების შემდეგ, აღტყინებული ფანები რეკორდმაისტერმა ისევ დააშოშმინა - ათკაციან „ვერდერთან“ მიღწეული ფრით. გერმანიის ჩემპიონატზე ბევრს კი ვბჭობთ და სალაპარაკო მართლაც ბევრია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაიერნისთვის“ ოთხქულიანი ჩამორჩენა ძალიან ცოტაა. საკმარისია, ზედიზედ ორ ტურში ყველა კონკურენტი უცებ გამოშტერდეს (რაც სავსებით რეალურია), რომ ბავარიელები პირველ ადგილზე წამოსკუპდებიან. სწორედ ამიტომ დაეჯერება **იურგენ კლინსმანს**, რომელიც ამბობს, მჯერა, რომ ამ სეზონში მაგრად გავიხარებთო. არადა, ფანები უკვე იმ ზომაზე არიან მისულები, რომ ფიქრი დაიწყეს, კლინსი ან დაგვაქცევს, ანაც აგვაშენებსო და უფრო პირველი მოსაზრებისკენ იხრებიან.

„ჰოფენჰაიმში“ აშკარად პრობლემებია. ტრიუმფალური პირველი წრის შემდეგ, გუნდი, მწვრთნელი, მენეჯერი და თვით დიდი მეცენატიც შედარებით თავშეკავებულები გახდნენ, რადგან ერთი მხრივ დოპინგსკანდალის გაღვივებისა ეშინიათ („ლელო“ ამ თემაზე წერდა), მეორე მხრივ კი, თვითონაც ხედავენ, რომ „ჰოფე“ ახლა შესანიშნავი, სუპერშემტევი და სწრაფი ფეხბურთის გამო კი აღარ არის ყურადღების ცენტრში, არამედ რაღაც „გვერდითი მოვლენების“ გამო, რაც „სოფელში“, რა თქმა უნდა, არავის მოსწონს. მხოლოდ ერთი მოგება ბოლო შვიდ თამაშში - „ჰოფენჰაიმი“ ველარ „ჰოფენჰაიმობს“. ცხრილში კი, **რალფ რანგნიკის** შეგირდები მესამე ადგილზე იმყოფებიან. როგორც ჩანს, „სოფლელები“ გოლების გატანას სადღაც მეჩვიდემეტედან ოცდამეორე ტურამდე გადაეჩვივნენ. გუნდს **ვედად იბიშევიჩი** იმაზე საგრძნობლად დააკლდა, ვიდრე „ჰოფეს“ ხელმძღვანელებს ეგონათ. რანგნიკი კი ამაოდ ცდილობს პოსტიბიშევიჩის ერაში იდეალური ტაქტიკის მიგნებას.



რომაელებმა რიცოლისთან ვერაფერი გააწყვეს

## ლიგა 1

### ობამას კლონ ოაროს ფენომენი

პსჟ-ს ფანებმა **გიიომ ოაროზე** გააფანატეს! პარიზელებმა „ნანსი“ 4:1 გაანადგურეს და თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა. დღეისათვის „ბარაკ ობამას კლონს“ უკვე 15 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას. პსჟ კი ამ ხუმრობა-ხუმრობაში ჩემპიონობას უმიზნებს. სეზონის დამთავრებამდე 12 ტურია დარჩენილი და დედაქალაქელები „ლიონს“ 4 ქულითღა ჩამორჩებიან. ჟურნალისტები მატჩის შემდეგ გმირს ამაოდ ელოდებოდნენ. პსჟ-ს ვარსკვლავს ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს და თითქმის ყველა პრესკონფერენციას თავს არიდებს. აი, ამით კი ნაღდად არ ჰგავს აშშ-ის პატივცემულ პრეზიდენტს.

როგორც ჩანს, „სოშომ“ **ვაცლავ სვერკოშის** გადაბირებით, წლის დასაწყისში ტოპტრანსფერი განახორციელა. ფაქტია, რომ თავდამსხმელმა გასულ უქმეებზე „ნიცასთან“ 1:0-ზე მოგებულ შეხვედრაში მეოთხე გოლი გაიტანა მეშვიდე თამაშში. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „სოშოს“ ელიტაში ადგილის შენარჩუნების იმედი სწორედ სვერკოშმა გაუჩინა. ვაცლავი ზაფხულში რომ გვეყიდა, ახლა ელიტაში ადგილის შენარჩუნება უკვე განაღდებული გვექნებოდაო, დანანებით აღნიშნავს „სოშოს“ მთავარი მწვრთნელი **ფრენსის ჟილო**. მოგეხსენებათ, სვერკოში ბუნდესლიგაში თამაშობდა და იქ მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ ღირსებას იცავდა. აღსანიშნავია, რომ ის ერთადერთი ექს-ბუნდესლიგელია, რომელმაც საფრანგეთში იმედები გაამართლა. **ივან კლასნიჩმა** (ნანტი), **სიორენ ლარსენმა** (ტულუზა), **რობერტ ვიტეკმა** (ლილი) და **მუსტაფა კუჩუკოვიჩმა** ჯერჯერობით თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მონაკო“ ქაოსშია. შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. ხუთი წლის შემდეგ კი მონაკოელები მე-12 ადგილზე არიან და გასავარდნ ზონას მხოლოდ 3 ქულით უსწრებენ. მთავარ მწვრთნელ **რიკარდოსთვის** კი ყველა მატჩი თითქოს უკანასკნელი შანსია, მაგრამ ის პოსტზე რჩება. თუმცა როგორც ჩანს, ამდენი წარუმატებლობა ხელმძღვანელებსაც ყელში ამოუვიდათ. პარასკევს პრეზიდენტმა **ჟერომ დე ბონტინმა** თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება გააკეთა და ოფიციალურ მიზეზად ოჯახური პრობლემები დაასახელა. სინამდვილე კი სხვაგვარია: დე ბონტინი **პრინც ალბერს** გულზე არ ეხატება! ის პირდაპირ ამბობს, დე ბონტინმა დაპირება ვერ შეასრულა, გუნდმა რეგრესი განიცადა და კარგი ფეხბურთელებიც აღარ გვყავსო. ასეა, მდიდარ მონაკოს წელს ძალიან სუსტი გუნდი ჰყავს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# ბექჰემი სეზონის ბოლომდე, ვიდიჩი ახალი სეზონიდან

## ანჩელოტიმ, რონალდინიო ზარმაციაო

„მილანის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტი** რომ მეტად მძიმე მდგომარეობაშია, კარგად მოგეხსენებათ. პრესის მხრიდან მასზე ძალიან დიდი ზეწოლაა, რაც, დაგვეთანხმებით, რთული ასატანია. განსაკუთრებით „გაძეტა დელო სპორტი“ აქტიურობს. ამ ავტორიტეტულ გამოცემას თუ ვენდობით, ანჩელოტის წასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილიც გახლავთ. დღეს, „გაძეტამ“ „მილანს“ და მის დამრიგებელს მორიგი სტატია მიუძღვნა და ახალი ინფორმაციები გაავრცელა.

**ფრანკ რაიკაარდთან** მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ გუშინაც გამცნეთ, დღეს კი ჰოლანდიელი სპეციალისტის აგენტის პოზიციას გაგაცნობთ. გუშინ **პერი ოვერეემმა** პრესასთან გასაუბრების სურვილი თავად გამოთქვა და პატარა ბრიფინგიც მოაწყო. ამ ფაქტს იტალიელმა ჟურნალისტებმა „მილანისთვის“ საკუთარი თავის შეთავაზება დაარქვეს, თუმცა უმჯობესია შეფასებებისგან თავი შევიკავოთ და ოვერეემს მოვუსმინოთ: *„ფრანკის „მილანში“ შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებულმა ხმებმა ჩემამდეც მოაღწია და მინდა, ამ საკითხზე პოზიცია დავაფიქსირო.*

*„მილანთან“ დიდი ხანია გვაქვს კონტაქტი და საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა. ეს ხდება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე საუბარი არც კი ყოფილა. ასე რომ, ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე გავრცელებულ ინფორმაციას, კატეგორიულად უარვყოფ. ისე კი, თუ „როსონერის“ მესვეურები ასეთი წინადადებით მოგვმართავენ, მას ძალიან დიდი ყურადღებით განვიხილავთ. „მილანი“ დიადი გუნდია და თუ ეს ინტერესი დადასტურდა, მხოლოდ გაგვიხარდება. რაიკაარდს ძალიან მოსწონს იტალიის სერია A და ლომბარდიელთა წინადადებას დიდი ინტერესით შეხვდება“.*

**ადრიანო გალიანი** კი იხტიბარს არ იტეხს და ჯიუტად აცხადებს, რომ ანჩელოტის მოხსნაზე საუბარი გადამეტებულია. მან კვლავ გაიმეორა, რომ კარლეტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ გუნდი ეროვნულ პირველობაზე სამეულში ვერ მოხვდება. რაც შეეხება თავად კარლოს, ის სიმშვიდეს ინარჩუნებს და სამომავლო გეგმებზე საუბრობს. გუშინ მან ჟურნალისტების რამდენიმე უხერხული კითხვა უპასუხოდ დატოვა, გუნდში არსებულ მდგომარეობაზე ზოგადად ისაუბრა, შემდეგ კი **დევიდ ბექჰემსა** და მის წასვლა-არწასვლის საკითხზე ლამის დისერტაცია დაიცვა:

*„ოპტიმალური ფორმისგან შორს ვართ და ეს სხვებზე უკეთ მე ვიცი, თუმცა ვითარება კონტროლს ექვემდებარება და სიტუაციის დრამატიზება ნამდვილად არ ღირს. უეფას თასიდან გამოვარდნამ ყველას დაგვწყვიტა გული, თუმცა ის, რაც ამ ფაქტს პრესაში მოჰყვა, მაინც გადამეტებულად მეჩვენება. ჩვენი მიზანი არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ძველ სიმაღლეზე დაბრუნებაა. სამწუხაროდ, დაშავებულ ფეხბურთელთა მთელი არმია გვყავს, რაც ასევე ძალიან გვიშლის ხელს წარმატების მიღწევაში. იმედია, ტრავმირებულები მალე შემოგვიერთდებიან და გუნდს ჩავარდნის დაძლევაში დაეხმარებიან. რჩება თუ არა დევიდ ბექჰემი? - ამაზე პასუხი ჯერ კიდევ არ გვაქვს და ვერაფერს გეტყვით. ჩემი სურვილია, რომ დარჩეს და იმედია, ასეც იქნება. დევიდმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მან ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. შესაძლოა, ის არ არის ისეთი სწრაფი, როგორიც კაკა, მაგრამ ტექნიკური არსენალით და ტაქტიკური განსწავლულობით ბრაზილიელს არაფრით ჩამოუვარდება. ეგ კი არა, შესაძლოა აღემატება კიდეც. მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია შესული და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება“.*

ანჩელოტიმ **რონალდინიოზეც** ისაუბრა და მისი თამაშის ხარისხით უკმაყოფილება გამოთქვა: *„სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, არაერთ უნიჭიერეს ფეხბურთელთან მიმუშავია და ვადასტურებ, რომ გაუჩო ყველასგან გამორჩეულია. მაგრამ, ერთია ტალანტი და მეორე მარგი ქმედების კოეფიციენტი. ბოლო დროს, რონის სათამაშო კონდიციით არცთუ კმაყოფილი ვარ, რასაც ღიად ვაცხადებ. ძალიან მინდა, რომ რონალდინიო მუდმივად სასტარტოში მყავდეს, მაგრამ ხშირად თავად ბრაზილიელი არ მაძლევს ამის საშუალებას. მისი მთავარი პრობლემა სიზარმაცეა. ვარჯიშებზე ბოლომდე არ იხარჯება, რაც მის ფიზიკურ ფორმაზე უარყოფითად აისახება. არადა, „მილანში“ არაერთი მაგალითი ჰყავს - იმ ფეხბურთელებს ვგულისხმობ, რომლებიც ასაკის მიუხედავად, დიდი ენთუზიაზმით ვარჯიშობენ. შეუძლია შეხედოს პაოლო მალდინის და კლარენს ზეედორფს, რომლებიც ყოველდღიურად თავდაუზოგავად შრომობენ“.*

ანჩელოტის ამ სიტყვებს იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ბევრმა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის არსებულ კონფლიქტზეც დაიწყო საუბარი. ჯერჯერობით გაუჩო დუმს და კარლეტოს სიტყვებზე კომენტარი არ გაუკეთებია. ამასობაში, ხმა აიმაღლა **ალეშანდრე პატომ** და გუნდის თამაშით უკმაყოფილება გამოთქვა. მისი გამოსვლის პათოსი დაახლოებით ასეთი გახლდათ: რაც უნდა კარგად ვითამაშო, შედეგს მაინც ვერ ვაღწევთ. მოვუსმინოთ ახალგაზრდა ბრაზილიელს:

*„გუნდის თამაშით იმედგაცრუებული ვარ და ეს მგონი ბუნებრივიც არის. არ აქვს მნიშვნელობა, გამაქვს გოლი, თუ ვერა, გუნდი მაინც მარცხდება. ჩემს გოლებს ყოველგვარი აზრი ეკარგება, რადგან ქულების აღებას ვერ ვახერხებთ. სკუდეტოს მოპოვების თეორიული შანსი ჯერ კიდევ გვაქვს, თუმცა მხოლოდ თეორიული. პირადად მე, ძნელად წარმომიდგენია, რომ „ინტერს“ 12 ქულა ამოვუქაჩოთ. ბევრს „იუვენტუსი“ ავიწყდება, არადა, ტურინელებიც გვარიანად გვისწრებენ და მათი დაწევაც ურთულესი საქმე იქნება. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ კრიზისს თავს დავაღწევთ და თამაშის ხარისხს გავაუმჯობესებთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შედეგზე ფიქრი. სირთულეები სახეზეა, თუმცა მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოვხვდებით და მომავალ სეზონში ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში ვიასპარეზებთ. ჩემი აზრით, ამ სეზონში სწორედ ეს უნდა იყოს „მილანის“ მიზანი“.*

„როსონერის“ გარშემო სატრანსფერო სიახლეც უხვადაა. ზემოთ, ანჩელოტიმ ბექჰემსა და მის დარჩენა-არდარჩენის საკითხზე ისაუბრა, თუმცა იმ დროისთვის მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ როგორ გადაწყდებოდა ინგლისელის საკითხი. გუშინ, გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანისა“ და „გალაქსის“ მესვეურები როგორც იქნა შეთანხმდნენ. შეთანხმება კომპრომისული და უპრეცედენტოა. აქამდე მსგავსი რამ არ მომხდარა და შესაძლოა, აღარც მოხდეს. ბექჰემი სეზონის ბოლომდე „მილანში“ დარჩება და მხოლოდ ზაფხულში მიაშურებს „გალაქსის“. ანუ, ლოს ანჯელესელებს შუა სეზონში შეუერთდება. ერთი სიტყვით, ინგლისელი მეგავარსკვლავი ჯერ არსად მიდის და თამაშს „მილანში“ აგრძელებს. როგორც იტალიელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, საერთოდ დაბრუნდება თუ არა დევიდი ამერიკაში, ამასაც დიდი კითხვის ნიშანი აქვს. ფაქტია, რომ „მილანი“ ფეხბურთელის გაშვებას არაფრისდიდებით არ თანხმდება. თანაც, „გალაქსის“ გულშემატკივრებმა ინგლისელი მოღალატედ შერაცხეს და მისი დაბრუნების სურვილი სულაც აღარ კლავთ.

გუშინ „მილანთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი სატრანსფერო სიახლე გავრცელდა. „გაძეტას“ ცნობით, ზაფხულში „როსონერის“ მესვეურთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე **ნემანია ვიდიჩი** იქნება. კვალიფიციური უკანახაზელი ლომბარდიელებს ჰაერივით სჭირდებათ და ამაზე უკვე ყველა თანხმდება. ამ სეზონში გუნდის წარუმატებელი ასპარეზობის მთავარი მიზეზი სწორედ დაცვის ხაზის სუსტი თამაშია და პირველ რიგში, ეს რგოლი საჭიროებს გაძლიერებას. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ დაწყებულა, თუმცა ეს დროის ამბავიაო, გვარწმუნებს ჟურნალისტი.

სულ ბოლოს კი კაკას საკითხსაც შევეხოთ. ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა, გალიანის რიკის „რეალში“ გადასვლის შესაძლებლობა დაედასტურებინოს. ამ საკითხზე გუშინ თავად გალიანიმ ისაუბრა და გავრცელებულ ხმებს ჭორი უწოდა:

*„**კაკას** მადრიდში გაშვებას არ ვაპირებთ და ძალიან გთხოვთ, ამ თემას წინ ნულარ წამოსწევთ. ახლოვდება თუ არა ზაფხული, იწყება საუბრები კაკას შესაძლო გადასვლაზე ესპანურ კლუბში. რიკი „მილანში“ კიდევ ძალიან დიდხანს ითამაშებს და ბევრ ტიტულსაც მოიგებს. ეჭვი მაქვს, რომ ამ ხმებს თავად „რეალის“ წარმომადგენლები ავრცელებენ - მინდა ვურჩიო მათ, რომ კაკაზე ოცნებას თავი დაანებონ და სხვა, გაცილებით უფრო რეალური ფიქრებით დაკავდნენ. მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებთ, წინ დიდი გეგმები გვაქვს და წამყვან ფეხბურთელებთან განშორებას ნამდვილად არ ვაპირებთ“.*

**ლაშა წიკლაური**







ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# გაუგებრობათა მოკლე ისტორია

## პერის წასვლა: ბენიტესისა და ჰიკსის გამარჯვება და ჟილეტის მარცხი?



რაფა ბენიტესს ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების მხარდაჭერა უმაგრებს ზურგს

როგორც ჩანს, ზამთრის მიწურული "ლივერპულისთვის" კრიტიკული პერიოდია. ამ დროს გუნდი, როგორც წესი, წარმატებულ ევროპულ კამპანიას იწყებს და უარს ამბობს პრემიერლიგაში საჩემპიონო ამბიციაზე. მაგრამ ეს პერიოდი „ლივერპულისათვის" კიდევ ერთი მიზეზის გამოა საგულისხმო: სწორედ ამ დროს კლუბის მაღალ ეშელონებში კულმინაციას აღწევს ხოლმე გაურკვეველი პროცესები.

წლევანდელი მძიმე დღეები **რაფაელ ბენიტესის** გადაყენებაზე საუბრით დაიწყო. თუმცა გადაწყდა, რომ რაფა „ენფილდზე" დარჩება, გუნდს კი სპორტული დირექტორი, **რიკ პერი** დატოვებს. ბენიტესი უცნაური მწვრთნელია. მან ინგლისში ხელშესახებ წარმატებებს მხოლოდ სათასო ტურნირებში მიაღწია. უცნაურია კიდევ იმიტომ, რომ ის ალბათ ყველა დროის რეკორდსმენია მისი გადადგომის მსურველთა იმედების გაცრუებაში. ძნელი წარმოსადგენია, რამდენჯერ გააგდებდნენ ესპანელს ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, "ლივერპულის" ბოსი **რომან აბრამოვიჩის** სტილის ფუნქციონერი რომ ყოფილიყო.

არ არის საჭირო, დიდი ანალიტიკოსი გერქვას, რომ დაასკვნა: თუ მწვრთნელი ღიად აფიქსირებს უკმაყოფილებას დამქირავებლების მიმართ, მუდმივ ქიშპობაშია მათი ნდობით აღჭურვილ ადამიანებთან, არ აქვს გრანდიოზული წარმატებები, დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობს ახალ, სარფიან კონტრაქტზე და კატეგორიულად ითხოვს უფლებამოსილების გაზრდას, ასეთ მწვრთნელთან თანამშრომლობა ძალიან ძნელია, მაგრამ მოდით, ყველაფერს ბენიტესს ნუ დავაბრალებთ. თავად განსაჯეთ:

1. **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჟილეტი**, ადამიანები, რომელიც კლუბის წილს თანაბრად ფლობენ, ბოლო ერთი წელია ერთმანეთს აღარ ელაპარაკებიან;

2. ჟილეტი არ მალავს, რომ კლუბის პრობლემებმა დაღალა და თავისი წილის გაყიდვა სურს;

3. ჰიკსი გამოტყდა, რომ ის "ლივერპულის" სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა **იურგენ კლინსმანთან**;

4. ჰიკსმა საჯაროდ, პრესის საშუალებით, მიწასთან გაასწორა რიკ პერი, მის საქმიანობას კატასტროფა უწოდა და მოუწოდა, გადამდგარიყო;

5. პერის არანაკლები რისხვა დაატეხა ბენიტესმაც და მას ბრალი დასდო, რომ სატრანსფერო ბაზარზე გაუმართლებლად ნელა მოქმედებდა, რის გამოც კლუბისთვის საჭირო ფეხბურთელებს სხვები ყიდულობდნენ...

კონფლიქტებს მრავალი მიზეზი აქვს: 2009 წლის ზაფხულზე კლუბის მესაკუთრეებს "როიალ ბენკ ოფ სკოტლენდისთვის" 350 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთ. შექმნილი ფინანსური კრიზისის პირობებში ამერიკელებს გაუჭირდებათ, ბრიტანული ბანკი კლუბში ფულის რეინვესტირებაზე დაითანხმონ. მით უფრო, რომ ბანკის ხელმძღვანელობა ამ დათმობაზე ერთხელ უკვე წავიდა. თუკი ჰიკსი და ჟილეტი დასახელებული თანხის გადახდას ვერ შეძლებენ, ისინი იძულებულნი გახდებიან, ეძებონ ახალი ინვესტორი, რომელიც მათ ფულს ასესხებს, ან მათ თავიანთი წილების დათმობა მოუხდებათ. გასულ ზაფხულს მათ მყიდველი პრაქტიკულად ნაპოვნი ჰყავდათ. ლაპარაკია ქუვეითელ **ნასერ ალ ჰოფარიზე**. ეს ადამიანი, მართალია, არაბია, მაგრამ ის არ არის ჩვენს სტერეოტიპებში დამკვიდრებული ნავთობის წყალობით გამდიდრებული ბიზნესმენი. მას ქონება სწორედ თავისი ცოდნითა და ალღოთი აქვს მოპოვებული. ივლისში გარიგება უკვე მზად იყო, როცა ალ ჰოფარიმ ჟილეტთან შეუთანხმებლობის გამო პირი იბრუნა, რამაც ჰიკსი წყობიდან გამოიყვანა.

ერთი თვის წინ ნასერ ალ ჰოფარი ხელახლა გამოჩნდა. ის კლუბის ბაზასაც კი ეწვია და "ლივერპული"-"ჩელსის" შეხვედრას დაესწრო (2:0), თუმცა მისი ახალი შეთავაზება შარშანდელზე 110 მილიონით ნაკლებია, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან აბუდაბელი არაბებისგან განსხვავებით, მან ფულის დათვლაც იცის და მისი ყადრიც. ის საფეხბურთო კლუბს პოლიტიკური და პიარ-ლონისძიებებისთვის არ ყიდულობს. ეს მისთვის ჩვეულებრივი ბიზნესია და მისგან მოგებას ელის. დრო და სიტუაცია კი სწორედ ალ ჰოფარიზე მუშაობს. ამერიკელებს უკეთეს წინადადებას არავინ სთავაზობს და არსებობს ეჭვი, რომ არც არავინ შესთავაზებს, თანაც 350 მილიონის საშოვნელად დრო უფრო და უფრო ცოტა რჩება. თუ ყოფილი მეგობრები ალ ჰოფარის წინადადებას მიიღებენ, ისინი სუფთა 30 მილიონი გირვანქის მოგებას ნახავენ. შეიძლება, ეს არ არის ის თანხა, რასაც ისინი ელოდნენ, მაგრამ წაგებას ნამდვილად ჯობია.

ექსპერტებს მოვლენათა ამგვარი განვითარება მაინც ვერ წარმოუდგენიათ. მიზეზი ბანალურია: ტომ ჰიკსს "ლივერპულში" თავისი წილის გაყიდვა არ სურს. როგორც ჩანს, მას თავისი გათვლები აქვს და მის წილ ვალსაც იცის, როგორ მიხედოს. რიკ პერის გუნდიდან წასვლის გამოცხადების შემდეგ, მას "ენფილდზე" დარჩენის კიდევ უფრო დიდი სურვილი გაუჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ პერის წასვლა ჰიკსისა და ბენიტესის გამარჯვებაა ჟილეტისა და პერის ჯგუფზე. ბენიტესი თავს იმართლებს: ჩემ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებში პერის გუნდიდან გაშვება არ შედიოდაო. არადა, სინამდვილეში ის ისეთი უფლებების გადაცემას ითხოვდა, რომლის გარეშე რიკ პერი გუნდში უფუნქციოდ რჩებოდა.

ბენიტესის უმთავრესი იარაღი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების მხარდაჭერაა. რიკ პერი ჩვეულებრივი საფეხბურთო ჩინოვნიკია, რომელსაც ასეთი მხარდაჭერა არ გააჩნია. ის „ლივერპულში" 1998 წლის ზაფხულში, კლუბის მაშინდელი მეპატრონის, **დევიდ მურსის** ინიციატივით დაინიშნა. პერი აქტიურად იყო ჩართული ბენიტესთან გაჩაღებულ მოლაპარაკებებში, როდესაც ამ უკანასკნელის მიწვევის საკითხი განიხილებოდა. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ პერის წასვლით, პრობლემების უმეტესი ნაწილი გადაიჭრა? „ლივერპულის" უახლესი ისტორია გვასწავლის, რომ ასეთი დასკვნების გაკეთება ნაადრევია. პერის შემდეგ აუცილებლად მოინახება სხვა მიზეზი, რომელიც კლუბის მაღალჩინოსნების ურთიერთობაში მორიგ ბზარს გააჩენს. შესაძლოა, ეს მიზეზი რაფა ბენიტესი აღმოჩნდეს. მწვრთნელს ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. ესპანური სააგენტოები კი მას უკვე „რეალის" მომავალ მწვრთნელად ასაღებენ...

ერთი სიტყვით, „ლივერპულის" გულშემატკივარი მოსაწყენად ვერ მოიცლის...

**შალვა ბიბილაშვილი**

ესპანეთის ნაკრები

# რაული ეროვნულ გუნდში უნდა დაბრუნდეს

## გულშემატკივრები და ჟურნალისტები ერთ აზრზე არიან, სელექსიონს გონსალეს ბლანკო სჭირდება



რაულ გონსალეს ბლანკო

**რაული** კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. მოგეხსენებათ, ამ მცირე ხნის წინ მან **დონ ალფრედო დი სტეფანოს** რეკორდი დაამხო და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რამდენიმე დღეში გონსალეს ბლანკომ ლეგენდარული არგენტინელის კიდევ ერთი მაჩვენებელი გააუმჯობესა და ამის წყალობით პრიმერა დივიზიონში "რეალის" მოთამაშეებს შორის ყველაზე მეტი გატანილი გოლი დაუგროვდა. გულშემატკივრები საკუთარი თვალით ხედავენ, რომ რაული არაჩვეულებრივად ასპარეზობს და სამეფო კლუბის წარმატებებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. 31 წლის მადრიდელი ფანტასტიკურ ფორმაშია. ყოველივე ამის გათვალისწინებით დღის წესრიგში ძველი საკითხი კიდევ ერთხელ დადგა. უნდა ითამაშოს თუ არა რაულმა ესპანეთის ნაკრებში? ეს არის კითხვა, რომელიც ესპანეთის საფეხბურთო წრეებში ახლა ყველაზე ხშირად გაისმის. წამყვანმა სპორტულმა გამოცემებმა ვებგვერდების საშუალებით მასშტაბური გამოკითხვა მოაწყვეს. პასუხი ყველგან ერთნაირია. მკითხველების აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ გონსალეს ბლანკო "სელექსიონში" უნდა დაბრუნდეს. ამ საკითხზე თავად ფეხბურთელი ფრთხილად საუბრობს: *"ყოველთვის ვცდილობ, ესპანეთის ნაკრებს ზიანი არ მივაყენო. ეს ჩემი მხრიდან ყოველმხრივ გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. ბუნებრივია, ეროვნულ გუნდში თამაში ჩემი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია, მაგრამ თუ არ მიმიწვევენ, ამის გამო სკანდალს არ მოვაწყობ. არ მინდა, ჩემ გამო გუნდში დაძაბულობა გამეფდეს. მე რომ პრესკონფერენცია მოვიწვიო და განვაცხადო, უსამართლობის მსხვერპლი ვარ-მეთქი, სიტუაცია აუცილებლად დაიძაბება. ეს კი სელექსიონს სერიოზულად დააზარალებს. ვისენტე დელ ბოსკეს მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს. ფეხბურთელები მან თავისუფლად უნდა შეარჩიოს. თუ მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ "სელექსიონში" დაბრუნებას ვიმსახურებ, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები".*

აღსანიშნავია, რომ გულშემატკივრების მოსაზრებას ავტორიტეტული მიმომხილველებიც იზიარებენ. "დიარიო მარკას" ინიციატივით, ჟურნალისტების ფართო ფორუმი მოეწყო. მადრიდული გაზეთის საკონფერენციო დარბაზში სხვადასხვა გამოცემისა თუ ტელეარხის 120 ჟურნალისტი შეიკრიბა. ჩვენმა კოლეგებმა რაულის მიღწევებსა და სანაკრებო პერსპექტივებზე ისაუბრეს. ბოლოს მათ კენჭი ყარეს და დაადგინეს, რომ შეკრებილი 120 ჟურნალისტიდან რაულის სელექსიონში დაბრუნებას 118 ადამიანი ემხრობა.

ბუნებრივია, ასეთი მასშტაბური აგიტაციის შემდეგ ჟურნალისტები ნაკრების მთავარ მწვრთნელს დაუკავშირდნენ და ვისენტე დელ ბოსკეს კომენტარის გაკეთება სთხოვეს. ესპანეთის ეროვნული გუნდის თავკაცმა ასეთი რამ განაცხადა: *"გულწრფელად გეტყვით, ამ საკითხზე საუბრით დავიღალე. როდემდე შეიძლება ერთი და იგივე გავიმეორე. რაულის ნიჭი ეჭვქვეშ არასოდეს დამიყენებია. პირიქით, მე მას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. დამოკიდებულება ახლაც არ შემიცვლია. გონსალეს ბლანკო ძალიან მიყვარს, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს მისი კონკურენტები უკეთეს ფორმაში არიან. საზოგადოების მოთხოვნას ძალიან დიდ პატივს ვცემ, თუმცა ნაკრების წარმატებულ თამაშზე პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ამიტომ საზოგადოებრივი აზრის მძევალი ვერ გავხდები. მე ჩემი შეხედულებითა და შეფასებით ვხელმძღვანელობ. როგორც კი დავრწმუნდები, რომ რაული კონკურენტებზე უკეთ გამოიყურება, მაშინვე გამოვიძახებ. ვგონებ, ყველაფერი მარტივადაა. რაულს ხშირად ვესაუბრები ხოლმე. ის უდიდესი პროფესიონალია და ყველაფერს ძალიან კარგად ხვდება. შესაძლოა, არ მეთანხმება, მაგრამ ამის გამო სკანდალს არ აწყობს. ეს ძალიან დასაფასებელია. შეუძლებელია მისი საქციელით არ აღფრთოვანდე. რაული მუდმივად გვიმტკიცებს, რომ სელექსიონი მისთვის უძვირფასესი გუნდია. ნურავინ იფიქრებს, რომ მე მის გარჯას არ ვაფასებ. ამ ადამიანისთვის ნაკრების კარი ყოველთვის ღიაა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

სკანდალი

### ლოტიტო ციხეში

„ლაციოს" პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს** ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მიზეზი 2005 წელს მომხდარი ფაქტია. ლოტიტოს ოთხი წლის წინ რომაული კლუბის აქციებით მაქინაციებში მონაწილეობა წაუყენეს ბრალად. „ლაციოს" ჯარიმის სახით, 65 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს. ლოტიტოს გარდა, საპყრობილეში მიაბრძანეს იტალიელი ბიზნესმენი **რობერტო მეცარომა**, თუმცა ის პრეზიდენტისაგან განსხვავებით, ციხეში მხოლოდ 20 თვეს გაატარებს. პატივცემული ჯენტლმენები დანაშაულში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფენ. მათ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება აქვთ გადაწყვეტილი.

ძიუდო

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

# მწვრთნელმა ნაკრების ფავორიტები დაასახელა

**ქართველმა ძიუდოისტებმა ევროტურნირების პირველი წყება მოილიეს და ახლა კონტინენტის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ამ შეჯიბრებას, მოგეხსენებათ, 24-26 აპრილს თბილისი უმასპინძლებს. ჩვენი ფალავნები 11 მარტს ბაკურიანში 18-დღიან შეკრებაზე გაემგზავრებიან, დასკვნით ეტაპს კი ბორჯომში გაივლიან.**

**რა მდგომარეობაა დღეისთვის ნაკრებში, ამის შესახებ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი გვესაუბრება:**



— ბოლო წლებში ქართველმა ძიუდოისტებმა ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე უკან დახევის უფლება არ გვაქვს. სპორტის სასახლეში ქომაგებს ლამაზი ჭიდაობა უნდა ვაჩვენოთ, ცხადია, საბოლოოდ მედლებით დამშვენებული.

კონტინენტის პირველობისთვის მზადების პროცესში ხუთ მნიშვნელოვან ტურნირზე ორმოცამდე ძიუდოისტი გამოვცადეთ. გულდასმით ვაკვირდებოდით, ვინ რისი შემძლეა. დღეს შემიძლია გითხრათ, რომ ეროვნული ნაკრების ძირითადი ბირთვი, ფაქტობრივად, ცნობილია.

დავიწყოთ 60 კილოგრამი წონითი კატეგორიით. აქ უდავო ფავორიტია სახელოვანი ფალავანი **ნესტორ ხერგიანი.** თუმცა ერთი დამაიმედებელი მომენტიც უნდა აღვნიშნო — ნესტორს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდნენ: **ბეთქილ შუკვანი, ლევან ჩუბინიძე** და განსაკუთრებით — **ამირან პაპინაშვილი,** რომელმაც თბილისის მსოფლიოს თასისა და საფრანგეთის დიდი სლემის ტურნირზე ისახელა თავი. პერსპექტიული სპორტსმენია და, ვფიქრობ, საიმედო ცვლა გვეზრდება. თუმცა ხერგიანს ჯერჯერობით კონკურენციას რომ ვერ უწევს, ეს პოლონეთის ტურნირზეც გამოჩნდა. ნესტორს ვარშავისთვის წონის დაკლება კი გაუჭირდა, მაგრამ ტატამზე ძველებური შემართებით იბრძოდა და „ბრინჯაოც" დაიმსახურა. მართალია, მესამე წრეში სომეხ **ოვანეს დავთიანთან** დამარცხდა, მაგრამ საერთო ჯამში ოთხ მეტოქეს სძლია — იაპონელ **ჰიროაკი ჰარაოკას**, გერმანელ **ტობიას ენგლმაიერს,** ჰოლანდიელ **ხეროენ მოორენს** და უნგრელ **ლასლო ბურჟანს,** პაპინაშვილი კი მეორე შეხვედრაში დამარცხდა და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ეტყობა, დაიღალა ან ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლო. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ხერგიანი უკეთ არის მომზადებული და ტრავმამ ხელი თუ არ შეუშალა, ევროპის ჩემპიონატზეც ის იჭიდავებს.

66 კილოში **ზაზა კედელაშვილია** ფავორიტი. მისმა კონკურენტებმა ევროპულ ტურნირებზე თავი ვერაფრით გამოიჩინეს, არადა, საკმაოდ კარგი ახალგაზრდობა გვეზრდება. რაც შეეხება კედელაშვილს, მას მიკროტრავმები აწუხებდა და პოლონეთის მსოფლიოს თასზე ვერ წავიყვანეთ. სერიოზული არაფერია და მალე მწყობრში ჩადგება.

**დავით ქევხიშვილს** (73 კგ) კარგა ხანია, ტრავმები აწუხებს, ამიტომ წლეულს არც ერთ შეჯიბრებაზე არ გამოსულა, თუმცა მსუბუქი ვარჯიშები არ შეუწყვეტია. სამაგიეროდ, თავი დაგვამახსოვრა **თენგიზ პაპოშვილმა.** განსაკუთრებით კარგად პოლონეთში იჭიდავა: ზედიზედ სუფთად სძლია აზერბაიჯანელ **გასიმოვსა** და ამერიკელ **დედპოპოლოს.** ბელგიელი **ბოტეუს** დამარცხებაც შეეძლო, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა — მეტოქემ იუკოთი აჯობა. ნაკრებში ვინ დაიბევებს ადგილს — ქევხიშვილი თუ პაპოშვილი, ეს საწვრთნელ შეკრებებზე გამოჩნდება.

საბედნიეროდ, ბოლო დროს ჯანსაღი კონკურენციაა 81 კილოში, რომელიც კარგა ხანია, ჩვენთვის „ჩაგდებულ" წონად ითვლება. ტურნირებზე ნაჩვენები შედეგებით აქ **ლევან წიკლაური** დაწინაურდა და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ის დაიცავს. თუმცა გულდამშვიდების უფლება არ ექნება, რადგან კვალში უდგანან **გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, საბა გავაშელიშვილი, ხვიჩა ხუციშვილი** და მათ სუნთქვას გრძნობს. პოლონეთში მსაჯებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ და თავადაც უფრო ფხიზლად ყოფილიყო, უმედლოდ არ დარჩებოდა. გონგამდე 15 წამით ადრე რუს შადოვთან „ბრინჯაოსთვის" ორთაბრძოლას იგებდა, მაგრამ დროის ეს მცირე მონაკვეთი საკმარისი აღმოჩნდა, ჯილდო მეტოქისთვის დაეთმო.

ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის **ირაკლი ცირეკიძის** 100 კილოში ანაცვლების შემდეგ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში უკონკურენციოა **ვარლამ ლიპარტელიანი.** მართალია, **გოგოჭურმა** უნგრეთში მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ ოსტატობით იგი ლიპარტელიანს ვერ გაუტოლდება. რაც შეეხება ცირეკიძეს, მისთვის უჩვეულო წონაში მან უნგრეთის ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა, პოლონეთში კი არ უჭიდავია, რადგან გაცივდა და სიცხიანი ტატამზე ვერ გავიდოდა. ამიტომ მცდარია ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მას ვარშავაში **სარნაცკისთან** წაეგოს. ამჟამად ირაკლის მომზადების დონეს თუ გავითვალისწინებთ, სასურველს აშკარად ჩამოუვარდება. ამდენად, ევროპის ჩემპიონატზე მისი გამოყვანა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია — წონაში ადაპტაცია სჭირდება. ბევრად უკეთეს სპორტულ ფორმაშია **ლომერ ჟორჟოლიანი,** რომელმაც პოლონეთში მესამე ადგილი დაიკავა. არადა, ჩემპიონობაც შეეძლო.

გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა მძიმე წონაში: **ზვიად ხანჯალიაშვილი** საქართველოს ჩემპიონია, თბილისის ტურნირზე მეხუთე იყო, უნგრეთში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. **ადამ ოქრუაშვილმა** კი პირიქით — თბილისის მსოფლიოს თასი მოიგო და პოლონეთში მეხუთე ადგილი დაიკავა. მათზე გამოცდილი და ტიტულოვანია **ლაშა გუჯეჯიანი,** რომელიც ტრავმების გამო ჯერჯერობით სათანადოდ არ არის მომზადებული. ასე რომ, ამ სამეულიდან ვის ვანდობთ ამჯერად ნაკრებში ადგილს, ესეც საბაზო საწვრთნელი შეკრებებისას გამოჩნდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბიჭებმა ძალიან მოიწადინეს და ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა სპორტის სასახლეში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ქომაგები გაახარონ. ვფიქრობ, რომ ასეც იქნება.

**ვაჟა დანელია**

სამთო-თხილამურობა

# ახალგაზრდები ათეულს უტრიალებენ

საქართველოს ნაკრების წევრები სამშობლოში იმყოფებოდნენ და გუდაურსა და ბაკურიანში სამთო-თხილამურებში ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, ახალგაზრდა მოთხილამურეთა ნაწილი პოლონეთში ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე იყო მივლენილი, სხვები აგრძელებდნენ საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლას. **ელენე გედევანიშვილის** უმცროსი ძმა **დიმიტრი** ამერიკაში ვარჯიშობს, ის ახლახან 16 წლის გახდა. თვის ბოლოს, ქალაქ სტოუვში დიმიტრიმ სამ ახალგაზრდულ შეჯიბრებაში იასპარეზა. პირველად გიგანტ სლალომში დიმიტრი გედევანიშვილმა მე-17 ადგილი დაიკავა (ფინიშამდე 60-მა მონაწილემ მიაღწია). კიდევ ერთ გიგანტ სლალომში ჩვენებურმა ოდნავ დაკარგა პოზიციები, 26-ე ადგილი იმყოფინა. ყველაზე უკეთ მან შეჯიბრების მესამე დღეს სლალომში იასპარეზა. ორი ჩასრიალების ჯამში გედევანიშვილი მე-11 ადგილზე გავიდა.

საქართველოს ნაკრების წევრი **ჯაბა გელაშვილი** 7 მარტს გახდება 16 წლის, იგი ავსტრიულ სათხილამურო სკოლაში სწავლობს. პოლონეთში ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მე-20 ადგილის დაკავების (სლალომი) შემდეგ ჯაბამ იტალიაში დიდების ტურნირში სცადა ბედი. ფალკადეში ორი გიგანტური სლალომი გაიმართა. პირველ დღეს ჩვენებური მე-10 ადგილზე გავიდა, მეორე დღეს - მე-16 იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

ლეგიონერები

# ქართველების ორი ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მეორე ჯგუფური ეტაპი დაიწყო. რანგით უფრო მაღალ, მეორე დივიზიონში გადასვლისათვის ბრძოლას ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი აგრძელებს. შეგახსენებთ, რომ 24 გუნდი ექვს ჯგუფადაა განაწილებული. პლეი ოფში მეოთხედფინალიდან ბრძოლას ჯგუფებში გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მაჩვენებლის მეორეადგილოსანი გააგრძელებს.

ჯგუფში ორი მათგანი ასპარეზობს: „კაორი" და „ექსი". **ილია ზედგინიძის** „ექსმა" პირველ ტურში შინ მიიღო „ბედარიდე" და 14:5 დაამარცხა. ზედგინიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

საშინაო მატჩი გამართა „ლიმოჟთან" და „ექსისგან" განსხვავებით მარცხი განიცადა **ნიკოლოზ მაღალდაძისა** და **შოთა მელიქიძის** „კაორმა" - 7:23. მაღალდაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 43-ე წუთზე, როცა მისი გუნდი 0:20-ს აგებდა, მეტოქეს ლელო გაუტანა. 53-ე წუთზე კი ის შეცვალეს. მელიქიძე განაცხადში არ იყო.

პირველივე ტურში მარცხი განიცადა E ჯგუფში მოასპარეზე **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, ირაკლი გუნდიშვილისა** და **იგორ ბარბაქაძის** „პერიგომ". ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად წააგო მინიმალური ანგარიშით „ვანთან" - 11:12. ნინიძე თამაშში 79-ე წუთიდან ჩაერთო. გუნდიშვილი და ბარბაქაძე განაცხადში არ იყვნენ. ზიბზიბაძემ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა.

ამავე ჯგუფში „დიჟონმა" შინ დაამარცხა „ლანჟონი" - 40:12.

ჯგუფში ერთმანეთის პირისპირ ქართველ მორაგბეთა გუნდები დადგნენ. **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა" შინ დაამარცხა **მერაბ კვირიკაშვილის, შალვა სუთიაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მასი" - 35:19. პარიზელებმა თამაში საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და 23-ე წუთისთვის ანგარიშში დაწინაურდნენ - 19:3. ცხრამეტივე ქულა „მასის" მერაბ კვირიკაშვილმა მოუტანა - ერთი ლელო, 4 საჯარიმო და გარდასახვა.

თუმცა მერე, მასპინძლებმა მაინც შეძლეს მისი განეიტრალება და სტუმრებმა მონაგარს ველარაფერი შემატეს. კვირიკაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. დადუნაშვილი 59-ე წუთზე შეცვალეს. გიგაური თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო. სუთიაშვილს და აბუსერიძეს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამავე ჯგუფში „ობენა" შინ დამარცხდა „ლანამეზანთან" - 15:18.

ასევე ხუთი „ქართული გუნდი" აგრძელებს ბრძოლას ფედერალ 1 დივიზიონში დარჩენისათვის. აღზევებისთვის მებრძოლებისგან განსხვავებით ამ ეტაპზე რეგულარულ გათამაშებაში მოპოვებული ქულებიც გადაჰყვებათ. ამიტომ ერთადერთი „დომონის" გარდა ჩვენებურთა ყველა გუნდი თავიანთი ჯგუფის ლიდერია.

ჯგუფში გასვლით შეხვედრაში დამარცხდა „კარკუირანთან" **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი" - 12:19. ნიკოლაენკომ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ბოლღაშვილი 68-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში, „მონლუსონმა" სტუმრად დაამარცხა „ვილერბანი" - 15:8.



მერაბ კვირიკაშვილი (მარცხნივ)

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლილი - 33 ქულა, 2. მონლუსონი - 32, 3. ვილერბანი - 21, 4. კარკუირანი - 18.**

ჯგუფში ერთპიროვნულად ლიდერობს და ფაქტობრივად არაფერი ემუქრება **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერს". ჩვენებურთა ეს გუნდი მეორეადგილოსან „მონმელიანს" 15 ქულით უსწრებს. სენ ნაზერელებმა სტუმრად შეძლეს „აგეტმოს" დამარცხება მინიმალური ანგარიშით - 27:26. ელოშვილმა ტავიდან ბოლომდე ითამაშა. ესაკია განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში „არჟელემ" შინ დაამარცხა „მონმელიანი" - 17:13.

სატურნირო მდგომარეობა: **1. სენ ნაზერი - 41 ქულა, 2. მონმელიანი - 26, 3. არჟელე - 22, 4. აგეტმო - 16.**

ჯგუფში **ალექსანდრე მარგველაშვილის, ზურაბ მჭედლიშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონმა" საკუთარ მოედანზე სძლია **დიმიტრი ბასილაიას** „მორლაას" - 22:16. მარგველაშვილმა და მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს. ნემსაძე და ბასილაია განაცხადში არ იყვნენ.

ამავე ჯგუფში „ლურდმა" სტუმრად დაამარცხა „ჟენევიე" - 22:13.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ლურდი - 37 ქულა, 2. მორლაა - 30, 3. დომონი - 25, 4. ჟენევიე - 7.

ჯგუფს სათავეში **დავით გასვიანის** „ლე ბუგე" უდგას, რომელმაც მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში მარცხი განიცადა სტუმრად აუტსაიდერ „ბორეპერისთან" - 20:33. გასვიანი მე-20 წუთზე შეცვალეს. აქვე „ნუარმა" შინ სძლია „ლონსს" - 25:16.

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლე ბუგე - 32 ქულა, 2. ნუარი - 29, 3. ლონსი - 24, 4. ბორეპერი - 20.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

გამოიწერეთ

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულია: ბაკურიანიდან პირდაპირ ვაშინგტონში

## ზაზა უშეცდომოა



**ზაზა ფაჩულიამ** კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა "თეორემა", რომელშიც ნათქვამია, რომ ქართველი ცენტრი ყველაზე უკეთ "ვაშინგტონ ვიზარდსთან" თამაშობს. მან დედაქალაქელებთან გასვლით შეხვედრაში სნაიპერისთვის დამახასიათებელი სიზუსტით ისროლა, 2-დან 2 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო გამოიყენა, 18 წუთში ანგარიშზე 10 ქულა და 5 მოხსნა ჩაიწერა.

მან ათივე ქულა მნიშვნელოვან ეპიზოდებში მიითვალა. ჯერ ორი ზუსტი საჯარიმოთი პირველი პერიოდი "ატლანტას" სასარგებლოდ დახურა – 24:20. მეორე მეოთხედში დაცვაში მოხსნებზე ნაყოფიერად იმუშავა, მეტოქეს ბურთი არ ჩააგდებინა და მორიგი ორი საჯარიმოთი "ჰოქსი" 35:26 დააწინაურა. მასპინძლებმა **ანტუან ჯეიმისონის** წყალობით თამაში მაინც გამოასწორეს და მესამე პერიოდში ანგარიში გაათანაბრეს – 61:61. სწორედ ამის შემდეგ გამოცოცხლდა "ატლანტა" და 22:8 გაქცევა მოაწყო. ამერიკულ პრესას თუ ვენდობით, ამ სპურტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ზაზა იყო. 22-დან 6 ქულა სწორედ ფაჩულიამ ჩააგდო. მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა** ქართველი მატჩის დასრულებამდე 4:25 წუთით ადრე შეცვალა. ჯორჯიელებს შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ – 98:89.

ზემოხსენებული "თეორემა" მხოლოდ ჩვენ არ დაგვიმტკიცებია, "ვაშინგტონთან" ზაზას კარგ გარჯაზე დედაქალაქური გაზეთის ჟურნალისტმაც დაწერა. ვიდრე ამ სტატიის თარგმანს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ ფაჩულიას ქულათა რეკორდი სწორედ "ვიზარდსთან" აქვს დამყარებული – 2006 წლის 7 მარტს 27 ქულა ჩააგდო. ახლა სტატიას მივხედოთ: *"მიმდინარე სეზონში ზაზა ფაჩულიამ "ვაშინგტონის" წინააღმდეგ სამი მატჩი ჩაატარა და სამჯერვე ეფექტური სტატისტიკა დააფიქსირა. მას ჩვენს გუნდთან 3 შეხვედრაში 35 მოხსნა აქვს, რომელთაგან 17 შეტევითია. შეგახსენებთ, რომ ფაჩულია საქართველოს რესპუბლიკიდანაა და თოვლი პირველად ატლანტაში ნახა."*

როგორც ჩანს, ამის დამწერ ამერიკელს ფიზიკურ რუკაზე საქართველო არ უნახავს, თორემ შენიშნავდა, რომ კავკასიონის მთების მწვერვალები თეთრადაა შეფერილი. ზაზა კი თოვლის არა პირველად ხილვამ, არამედ 1-ელ მარტს ატლანტაში წამოსულმა ნალექმა გააკვირვა. ამ ქალაქში ხომ დიდი ხანია თოვლი არავის უნახავს.

*"ატლანტაში ისეთი თოვლი მოვიდა, თავი ბაკურიანში მეგონა. მეოთხე წელიწადია აქ ვარ და პირველად მოთოვა, თანაც პირველ მარტს,"* – გვითხრა ზაზამ.

ბოლოს, დავძენთ, რომ "ვაშინგტონთან" დაპირისპირება "ატლანტასთვის" სეზონის მე-60 მატჩი იყო. 34 მოგებით და 26 მარცხით "ბაკურიანელები" აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზე არიან. "ჰოქსს" მორიგი შეხვედრა 4 მარტს ელის, "ნიუ იორკს" "მედისონ სკვერ გარდენში" ესტუმრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ვაშინგტონი–ატლანტა 89:98**

ზაზა ფაჩულია: 18 წუთი, 10 ქულა, 5 მოხსნა, 1 ფოლი

**I პერიოდი**

02:17 ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
00:20 საჯარიმოები: 2\2 (2ქ, 24:20)

**II პერიოდი**

11:41 მოხსნა: შეტ-0, დაც-1
08:43 მოხსნა: შეტ-0 დაც-2
08:02 მოხსნა: შეტ-0, დაც-3
07:27 მოხსნა: შეტ-0, დაც-4
07:22 საჯარიმოები: 2\2 (4ქ, 35:26)
06:39 ზაზა სმითმა შეცვალა

**III პერიოდი**

04:25 ზაზამ სმითი შეცვალა
01:00 ორქულიანი: 2 ქ (69:63)
00:49 ფოლი: 1
00:35 მოხსნა: შეტ-0, დაც-5

**IV პერიოდი**

09:17 ორქულიანი: 8ქ (77:65)
07:17 საჯარიმოები: 2\2 (83:69)
05:42 ზაზა ჰორფორდმა შეცვალა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

# სადებიუტო მატჩში მარცხს ახლაც განვიცდი

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ვლადიმერ ბოისამ** "ზადარის" მაისურა გასულ უქმეებზე მოირგო. მან ესპანური "მანორკა" ერთი კვირის წინათ დატოვა და ტრანსფერიც იმდენად სწრაფად განხორციელდა, რომ ყველა აგვაბნია. მაგალითად, ადრიატიკის თასზე სერბეთის ფმპ-ისთან მატჩის განაცხადში 44 ნომრად **დეიან ივანოვი** ეწერა, რომელმაც ბოლო წუთებზე არაერთი საჯარიმო ჩააგდო, თუმცა თანაგუნდელებს გამარჯვება მაინც ვერ მოუტანა. ოქმში ივანოვის გასწვრივ 25 ქულა დაიწერა.

იკითხავთ, რაში გვაინტერესებს ივანოვის სტატისტიკა? თურმე, ეს ივანოვი ბოისა ყოფილა. ჩვენ კი ვოვას დავუკავშირდით და ვკითხეთ – "ზადარში" როდის ითამაშებო?

*"უკვე ვითამაშე, - დაგვამშვიდა ვოვამ, - ფმპ-ისთან მოედანზე 13 წუთი გავატარე და ადრიატიკის ლიგის ოფიციალურ საიტზე 25 ქულა შეცდომით დაწერეს – სინამდვილეში 12 ქულა ჩავაგდე. ივანოვიც მე ვარ... ოქმში ბულგარული გვარის ნაცვლად ბოისა უნდა დაეწერათ. მოკლედ, ყველაფერი უკუღმა ეწერა."*

უფრო დაწვრილებით ფმპ-"ზადარის" მატჩსა და ვოვას სამომავლო გეგმებზე მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ერთი კვირა არცაა, რაც "ზადარში" ჩაირიცხე. ახალ გუნდზე რა შეგიძლია თქვა?**

- "ზადარს" შუა სეზონში დავემატე. ამიტომ გუნდთან აკლიმატიზაციისთვის დრო დამჭირდება, თუმცა, ვეცდები, თანაგუნდელებთან რაც შეიძლება მალე შევთამაშდე. ამ საქმეში მთავარი მწვრთნელი, ზმაგო საგადინი დამეხმარება, რომელთან ერთად სლოვენიის "ოლიმპიაში" ვთამაშობდი და მის მსოფლმხედველობას კარგად ვიცნობ. სამწუხაროდ, ჩემს სადებიუტო შეხვედრაში დავმარცხდით, რაც შეიძლება ფინალურ ოთხეულში ვერგასვლად დაგვიჯდეს, თუმცა ძალებს არ დავიშურებთ, რომ მეხუთედან მეოთხე ადგილზე ავინაცვლოთ.

**- "ზადარი" შიდა ჩემპიონატში "ციბონასთან" ბრძოლისას გაარკვევს გაისად ვინ ითამაშებს ევროლიგაზე. თქვენს გუნდს რა შანსები აქვს?**

- ჯერ არც "ზადარი" და არც "ციბონა" ხორვატიის ჩემპიონატში არ ჩართულა. ამიტომ შიდა დაპირისპირებაზე საუბარი ნაადრევია. მანამდე ადრიატიკის ლიგაში და ევროთასზე გვაქვს სათამაშო. ევროთასზე ორი მოგება გვიწერია და თუ მორიგ მატჩშიც გავიმარჯვეთ, მეოთხედფინალს ძალიან მივუახლოვდებით. ფინალური რვაეულის მატჩები ტურინში იმართება და იტალიაში სტუმრობის დიდი სურვილი მაქვს.

**- ევროთასის ბოლო ტურში "ზადარმა" რუსული "უნიქსი" ყაზანში დაამარცხა. ამ შეხვედრაზე რა აზრისა ხარ?**

- ვფიქრობ, "უნიქსის" ჯერ შინ, შემდეგ სტუმრად დამარცხება მეტად რთული საქმეა. მოხარული ვარ, რომ ჩემი თანაგუნდელები ამ საქმეს ჩემ გარეშე მოერივნენ. დარწმუნებული ვარ, ყველა ზადარელმა გული ჩადო. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატებას ვერ მიაღწევდა.

**- ფმპ-ისთან მატჩში საკუთარი დებიუტით კმაყოფილი ხარ?**

- ამ შეხვედრაში წაგებას დღესაც განვიცდი. სერბების დამარცხება, სატურნირო თვალსაზრისით ძალიან გვჭირდებოდა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. ამის ფონზე ნამდვილად არ მაქვს საკუთარი თამაშის შეფასების სურვილი და ხალისი. მთავარი არა კონკრეტული კალათბურთელის მონაგარი, არამედ გუნდის გამარჯვებაა. ისევე, როგორც დანარჩენები, მეც ვეცდები, ფმპ-ისთან დაშვებული შეცდომები გამოვასწორო და ფინალურ ოთხეულს მივაღწიო.

**- ახალ ქალაქზე რისი თქმა შეგიძლია?**

- ლამაზი ქალაქია. თუმცა ჩემთვის მთავარი ხალხია, კერძოდ – გულშემატკივარი. ვიცი, რომ "ზადარს" ბევრი ერთგული ქომაგი ჰყავს და მათ წინაშე თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნება. პირველ საშინაო მატჩს მოუთმენლად მოველი...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილმა ძირითადს უწია

ტეხასის შტატის ქალაქ მაკალენში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (1191) შეძლო ძირითად ბადეში გაღწევა. ნიკამ წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ბატალიები, მე-12 ნომრად განთესილმა ქართველმა მესამე, ფინალურ წრეში იოლად დაამარცხა მე-4 ნომრად განთესილი **ნიკოლაუს მოზერი** (791) - 6:3, 6:0. მოზერს ავსტრიული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ, ის 18 წლისაა (ახალგაზრდებში მსოფლიოს საუკეთესო 20-ეულში შედიოდა) და ნიკას რეიტინგში 400 საფეხურით უსწრებს.

მაკალენის ტურნირის პირველ წრეში ბასილაშვილის მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული **ჯეიმონ კრაბია** (1551). 30 წლის კრაბი დღეისათვის საჩოგბურთო სამყაროში ვერაფერს წარმოადგენს, თუმცა იყო დრო, როცა ის წყვილთა თანრიგში მსოფლიოს 30-ე ჩოგანი იყო, ერთეულებში კი - მეორე ასეულში.

ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ უოლტონ ბიჩში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) ძირითად ბადეში გასვლასთან ახლოსაა **მაკა ჩახნაშვილი** (215). მე-6 ნომრად განთესილმა ქართველმა მეორე წრეში ამერიკელ **რიზა ზალამედას** აჯობა - 7:6 (2), 6:4. ფინალურ წრეში მაკა სერბ **ანა იოვანოვიჩს** (270) გადაეყარა, სწორედ იმას, ვისთანაც ერთი



კვირის წინათ გამანადგურებელი ანგარიშით (1:6, 1:6) წააგო.

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში იწყება საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $), რომლის ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავა** (245) ითამაშებს. ჩვენებურის მეტოქე უნგრელი **ანიკო კაპროშია** (225), მსოფლიოს საუკეთესო ასეულის ყოფილი წევრი. წყვილებში შაფათავა ისევ რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** (735) ერთად გამოვა. მათი პირველი მეტოქეები „უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძლები, **სვიატლანა პირაჟენკა** და **ვიქტორია ემიალიანავა**.

ეგვიპტის ქალაქ გიზას ტურნირში (10 ათასი $) მე-6 ნომრად **ოქსანა კალაშნიკოვაა** (387) განთესილი. პირველ წრეში ჩვენებური იტალიელ **ფედერიკა დი სარას** (543) შეხვდება. წყვილთა თანრიგში ოქსანა მაროკოელ **ფატიმა ელ ალამისთან** (524) დუეტში პირველ ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

# ჩხატარაშვილმა ჩემპიონატი დაასრულა და უნივერსიადისთვის ემზადება

**ნიკა ჩხატარაშვილის** "ენადმა" კვიპროსის ჩემპიონატის პლეი ოფში ვერ გააღწია. ენადელებმა „ჰაპოელთან" გასვლაზე სამი ქულით, 62:65 წააგეს. ნიკამ ანგარიშზე 38 წუთში 8 ქულა, 5 მოხსნა, 2 დაფარება და 3 ჩაჭრა ჩაიწერა. წლევანდელი ჩემპიონატი „ენადისთვის" ამ თამაშით დასრულდა.

*"მიუხედავად მარცხისა, კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის თამაშით უკმაყოფილო არაა. ჩვენს გამთამაშებელს შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე ორი საჯარიმო რომ არ აეცილებინა, ვფიქრობ, თამაშს ჩვენ მოვიგებდით. მე და ჩემი გუნდი ვარჯიშს ვაგრძელებთ და მომავალი ჩემპიონატისთვის ვემზადებით,"* – თქვა „ენადის" ქართველმა ფორვარდმა "ლელოსთან" ინტერვიუში.

"ენადისგან" განსხვავებით, ჩხატარაშვილს სეზონი ჯერ არ დაუსრულებია. ის ახლა კვიპროსის უნივერსიადის მოგებაში საკუთარი კოლეჯის გუნდს უნდა დაეხმაროს. გამარჯვების შემთხვევაში ნიკას გუნდი ევროპის უნივერსიადაზე ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ოლიმპიზმი

# საყოველთაო მოძრაობად ვაქციოთ

საქართველო

GEORGIA

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი სამხარეო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების გეგმა შეიმუშავა. ოლიმპიურ მოძრაობაში მთავარია მისი საყოველთაობა. ამიტომ ოლიმპიელები და ოლიმპიური ჩემპიონები სპორტის საყოველთაობის მედროშეებად უნდა იქცნენ. საქართველო კი ოლიმპიური ქვეყანაა და სრული საფუძველი გვაქვს, რომ ოლიმპიზმი, თავისი სულისკვეთებით, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო მოძრაობად ვაქციოთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სეოკ-მა თხოვნით მიმართა სამხარეო ორგანიზაციებს შეიმუშაონ მიზნობრივი სამუშაო გეგმა. სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტ **რამაზ გოგლიძესთან** ჩვენ გავეცანით სეოკ-ის ქუთაისის ორგანიზაციის პროგრამას, რომელიც, ვფიქრობთ, სამაგალითო უნდა გახდეს სხვებისთვის. სეოკ-ის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის პროგრამაში შედის შეხვედრები ოლიმპიურ ჩემპიონებთან და პრიზიორებთან. ოლიმპიურ თემაზე ბავშვთა ნახატების გამოფენა; „ოლიმპიზმი და ლიტერატურა"; სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ასპექტები საქართველოში"; ვიქტორინა — „ვინ უკეთ იცნობს ოლიმპიური თამაშების ისტორიას", ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები და ა.შ.

წლის ბოლოს სეოკ საუკეთესო სამხარეო ორგანიზაციას გამოავლენს.

**თენგიზ თომაშვილი**

ჭადრაკი

# მოჭადრაკეებმა დედებს ტურნირი მიუძღვნეს



ქუთაისის თვითმმართველობისა და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით საჭადრაკო სკოლა „მაიაში" ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ორგანიზაციებს და ბიზნესექტორს შორის, რომელშიც 24-მა მოყვარულმა მოჭადრაკემ იასპარეზა, აქედან ექვსი სუსტი სქესის წარმომადგენელი იყო. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, ცხრა ტურად გაიმართა. მოჭადრაკეები 3 კატეგორიად დაყვეს. გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ მოყვარულ-პროფესიონალებში, მოყვარულებში და ქალებში. კატეგორიების მიხედვით ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა. პროფესიონალები: 1. **იანუარ დონაშვილი 2. თამაზ სვანაძე 3. გოჩა დვალიშვილი.**

მოყვარულები: 1.**ზურაბ ხურციძე 2. მიხეილ კოტიშაძე 3. ნუგზარ კუჭუხიძე.**

ქალები: 1.**შორენა ჯიმშელეიშვილი 2. ნინო გაბუნია 3. თეა ზიბზიბაძე.**

ტურნირში გამარჯვებულები და მონაწილეები იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ნურალიძემ**, ვიცე-პრეზიდენტმა **ერეკლე გიორგაძემ**, ქუთაისის მერმა **ნუგზარ შამუგიამ** და სხვა თანამდებობის პირებმა დააჯილოეს.

*„ეს ტურნირი ტრადიციულად ყოველ წელიწადს იმართება და აქ მოყვარულებთან ერთად ძველი მოჭადრაკეებიც ასპარეზობენ. ყოველნაირად ვცდილობთ, მონაწილეებს კარგი პირობები შევუქმნათ და ტურნირი მაღალ დონეზე ჩავატაროთ. გამარჯვებულები თბილისში მოყვარულთა ტურნირში იასპარეზებენ, რომელსაც წლეულს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ჩაატარებს. ქუთაისურ ჭადრაკში ძალიან დიდი პოტენციალია და გვინდა, რომ ასეთი მასობრივი ღონისძიებებით სპორტის ამ სახეობას მეტი პოპულარობა შევძინოთ.*

*რაც შეეხება სიახლეებს, ცოტა ხნის წინ იმერეთის ჭადრაკის ფედერაციაში მოხდა გარკვეული ცვლილებები. ვიცე-პრეზიდენტებად არჩეულნი არიან ერეკლე გიორგაძე, აკაკი სონგულია და ხვიჩა სებისკვერაძე. შარშან ჩვენი ფედერაცია საუკეთესოდ დასახელდა, რაც დიდი სტიმული და პასუხისმგებლობაა. ვცდილობთ, ჩვენზე გაცემული ავანსები გავამართლოთ. 7 მარტს სანკტ პეტერბურგში იწყება ევროპის ქალთა ჩემპიონატი, სადაც ჩვენი თანაქალაქელები ნანა ძაგნიძე და მერი არაბიძე იასპარეზებენ. არაბიძე ჩემი მოსწავლეა და მასთან ერთად რუსეთში მეც მივემგზავრები. იმედი მაქვს, რომ ეს ტურნირი ჩვენთვის წარმატებული იქნება".* -აღნიშნა "ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე არსენიძემ.**

**დავით პოხრაიძე**
ქუთაისიდან

# ცხრა ქართველის ფრანგული თავგადასავლები...

აგერ, კარზეა მომდგარი წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჭადრაკო ტურნირი - ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის და რაც კი იქამდე საერთაშორისო ტურნირი ტარდება, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილება. ჩვენებურთა გარჯას ნამდვილად ამ კუთხით ვუყურებთ და ვგონებ, არც თავად უარყოფენ ამ მოსაზრებას. სხვა საქმეა, ვინც კი ამ დღეებში სადმე ითამაშა, ყველა მათგანი მიიღებს თუ არა მონაწილეობას ევროფორუმზე, - აქ ხომ ფინანსებია ბევრის განმსაზღვრელი... თუმცა ფული ისეთი რამაა, დღეს რომ არა გაქვს და არც იმედით ივსები, ღვთის წყალობით, შესაძლოა, ხვალ გამოგიჩნდეს. ჰოდა, ამიტომაც, ჩვენც და ჩვენი მოჭადრაკეებიც ნუ ჩავიქნევთ ხელს, იმედით ავივსოთ და დავიჯეროთ, რომ ბუდვაშიც და სანკტ-პეტერბურგშიც მრავალი ქართველი მოხვდება და ევროპული ტიტულისთვის იბრძოლებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ტურნირს ევროპის ჩემპიონატისადმი მოსამზადებელი სტატუსი მივანიჭოთ. დღეს მოგითხრობთ საფრანგეთში, ქალაქ დიუნკერკში მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირის შესახებ, რომელშიც ცხრა ქართველი თამაშობს. გალთა მიწას ესტუმრნენ: **თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი, თორნიკე სანიკიძე, ინგა ჭარხალაშვილი, მალხაზ სულაშვილი, დავით ჯოჯუა, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი** და საფრანგეთში მცხოვრები ქართველი **ნინო მაისურაძე.** ტურნირი საკმაოდ პრესტიჟული და ტრადიციულია, რომელსაც ფინანსური სარგებლის მოტანაც შეუძლია და ამიტომაც გაეშურნენ ასეთ შორ გზაზე ჩვენი ქალ-ვაჟნი. შეჯიბრება ცხრა ტურად, შვეიცარიული სისტემით ტარდება. დღეისათვის ოთხი ტურია ჩავლილი და საბედნიეროდ, ლიდერებში ქართველებსაც ვხედავთ, თუმცა პირველ როლებში ჯერჯერობით სხვები არიან, ანუ ოთხიდან ოთხი ქულით ერთპიროვნულად სხვები ლიდერობენ - ფრანგი **მარკ რეგრევი** და უკრაინელი **იური ვოვკი.** 3,5 ქულა 5 მონაწილეს აქვს, მათ შორის თორნიკე სანიკიძესაც. 3-ქულიანთა გუნდი უფრო მრავალრიცხოვანია და აქ ჩვენებურთა რიცხოვნობაც იმატებს: დავით ჯოჯუას, თამაზ გელაშვილს და დავით არუთინიანს მოუგროვებიათ 3-3 ქულა. 2,5 აქვს მალხაზ სულაშვილს; 2-ნინო ბათიაშვილს, ხოლო 1,5 - 1,5 ქულა აქვთ ინგა ჭარხალაშვილს და ბელა ხოტენაშვილს; ნინო მაისურაძე ჯერჯერობით ერთი ქულით კმაყოფილდება.

ჩვენებურთაგან ყველა რომ ვერ გახდება წარმატებული, გასაგებია, მაგრამ მაჩანჩალებშიც რომ არ უნდა მოხვდეს არც ერთი მათგანი, ამის ამბიციაც ნამდვილად გაგვაჩნია; პირველობის სურვილიც და შესაძლებლობაც გვაქვს ამიტომ, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორისაც ველით მაღალ ადგილებს. მკითხველს დავუზუსტებთ, რომ ქალებში ცალკე გამოვლინდება საუკეთესო მოჭადრაკე.

დაველოდოთ მეხუთე ტურს და მეტი იმედით ავივსოთ.

**ზვიად შათირიშვილი**

კრივი

# სამივე სინჯის მოვისინჯავთ

**გორის კრივის სკოლა საქართველოში მუდამ ერთ-ერთი საუკეთესო იყო და აქაური მოკრივეები არც ადგილობრივ და არც საერთაშორისო არენაზე არ ასპარეზობდნენ ცუდად, თუმცა ბოლო ხანს (განსაკუთრებით უფროს ასაკში) ერთგვარად დათმეს პოზიციები. 2006 წლის საქართველოს ჩემპიონატზე უფროსებში გორელებმა ერთბაშად 11 მედალი მოინაგრეს, მას შემდეგ კი მსგავსი წარმატებები აღარ ჰქონიათ, ამას ქალაქის კრივის სკოლის დირექტორი ბექა ლობჟანიძე თაობათა ცვლის პროცესს უკავშირებს, რაც, მისივე შეფასებით, არცთუ ცუდად მიმდინარეობს. გორელები ამ წლის დასაწყისში კრივის სპორტსკოლების პირველობაზე გამოვიდნენ კარგად, ახლახან კი ქვეყნის ახალგაზრდულ ჩემპიონატში სამი სინჯის მედლის მოპოვება შეძლეს.**

— პირველ ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს შეჯიბრება უწინდელთან შედარებით საკმაოდ კარგად ორგანიზებული იყო. ჩვენ ერთი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში მოასპარეზე ავთანდილ ჭეჭელაშვილი, ვერცხლი ბესიკ წკრიალაშვილს (69 კგ) ერგო, ბრინჯაო გიორგი ათენოვს (57 კგ). სხვათა შორის, მეტ მედალს ველოდით. ჩემპიონატის წინ მოსამზადებელ ეტაპზე ბევრი ვიშრომეთ და ვინც შრომობს, შედეგებიც უკეთესი სურს. იმედი გვქონდა, კიდევ ერთ ოქროს მედალს მაინც შევნვდებოდით, ვინაიდან 64 კგ წონით კატეგორიაში ძალიან პერსპექტიული მოკრივეები არიან ნუკრი სომხიშვილი და ლადო არჩუაძე. სამწუხაროდ, მათ ბოლომდე ვერ შეძლეს შესაძლებლობების გამოვლენა და არათუ ჩემპიონობა, საპრიზო ადგილზე გასვლაც ვერ მოახერხეს. საერთოდ, ამ ტურნირში მოასპარეზე ყველა ჩვენი სპორტსმენი ქვეყნის ახალგაზრდული ჩემპიონატის დებიუტანტია, მათ დიდი ხანი არ არის რაც ვარჯიში დაიწყეს და, შესაბამისად, საკმაოდ მწირი გამოცდილება აქვთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩემპიონატში 1991-92 წწ დაბადებული მოკრივეები მონაწილეობდნენ და ჩვენი გუნდი ძირითადად 1992 წლიანებით დაბადებული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, ანუ მათ ფაქტობრივად უფროსი ასაკის მეტოქეებთან უწევდათ პაექრობა. დიდ იმედებს ვამყარებთ მძიმე წონაში გამარჯვებულ ავთანდილ ჭეჭელაშვილზე, რომელსაც ამ ეტაპზე, მხოლოდ ორი ბრძოლა ეყო ჩემპიონობისთვის - მძიმე წონაში ხომ ტრადიციულად მონაწილეთა სიმრავლე იშვიათობაა. რაც მთავარია, სწორი მუშაობის შემთხვევაში ამ მოკრივეს სერიოზული გამარჯვებების მოტანა შეუძლია თავისი ქვეყნისათვის – გვითხრა ბექა ლობჟანიძემ.

**— ერთ-ერთი თქვენი შეგირდის, ბადრი გიგოლაშვილისა და გურჯაანელი რამაზ ნადირაშვილის ორთაბრძოლისას არბიტრმა ორივე მოხსნა შეჯიბრებიდან. რამ გამოიწვია ეს და, საერთოდ, პრეტენზიები ხომ არ გქონდათ მსაჯობასთან დაკავშირებით?**

— იმ კონკრეტულ ორთაბრძოლაში, როგორც ჩვენი მოკრივე, ისე მისი მოწინააღმდეგე, მხოლოდ ჟინით და არა წესებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. რინგზე ლამის ჭიდაობა გამართეს. არბიტრმა ისინი მესამე რაუნდში მოხსნა შეჯიბრებიდან, თუმცა უკვე პირველივეში შეეძლო ამ გადაწყვეტილების მიღება. მთლიანად ტურნირზე კი მსაჯების მხოლოდ მინიმალური შეცდომები თუ შეინიშნებოდა, ეს ყოველთვის ხდება. როგორც იტყვიან, მსაჯიც ადამიანია და შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული.

**— ახალგაზრდებში წარმატება კარგია, თუმცა ბოლო წლებში გორის კრივის სკოლას უფროს ასაკში უჭირს ანალოგიური შედეგების მიღწევა...**

— გეთანხმებით. საქმე იმაშია, რომ ჩვენთან ახლა თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ამ ტურნირზეც 1991 წელს დაბადებულები, ანუ უფროსი ასაკის მოკრივე ცოტა გვყავდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდებს შორის კარგად ვიასპარეზეთ. იანვარში ქუთაისში გამართულ კრივის სკოლებს შორის საქართველოს პირველობაში 1993-94 წწ დაბადებულთა შორის გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ, ერთი წლით უფროსებში (1992 წ) კი ორი ოქროს მედალი გვხვდა წილად. ასე რომ, ბოლო ორი შეჯიბრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თაობათა ცვლის პროცესი ნაყოფიერად მიმდინარეობს და ვფიქრობთ, გაისად უფროს ასაკშიც გორის გუნდი ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

**— აპრილის დასაწყისში გასამართ საქართველოს ჩემპიონატზე (უფროსებში) მედლების აღებას არ გეგმავთ?**

— რა თქმა უნდა, ვგეგმავთ და ამ ტურნირზე მხოლოდ მონაწილეობის მისაღებად არ ვაპირებთ წასვლას. მართალია, ორ ან სამ წონით კატეგორიაში წარმომადგენლები შეიძლება საერთოდ არც გვყავდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა წონით კატეგორიებში გვყავს ფავორიტები. იმედს ვამყარებთ მაგალითად ვახტანგ წინამძღვრიშვილზე, ვინაც მიუხედავად ბევრად უმცროსი ასაკისა (მაშინ 15 წლის იყო), 2006 წლის საქართველოს ჩემპიონატზე როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროსებში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იქვე, სპეციალისტთა საყოველთაო შეფასებით, იგი ტალანტად აღიარეს, თუმცა ეს მოკრივე ერთხანს საერთოდ ჩამოშორდა რინგს. ერთ წელიწადში 52 კგ-დან ავიდა 64-მდე. დაერღვა ვარჯიშის ბალანსი, იყო სხვა პრობლემებიც, რაც საბედნიეროდ ახლა უკვე უკან მოიტოვა და მალე თავის შესაძლებლობებში ისევ დაგვარწმუნებს.

**— მიმდინარე წლის გაზაფხულზე თქვენს დარბაზში გიორგი კანდელაკის სახელობის ტურნირის გამართვაც იგეგმებოდა...**

— სასიხარულოა, რომ გაზაფხულზე დაგეგმილი ეს ტურნირი და შემოდგომით გიორგი კარელიძის სახელობის მემორიალი უკვე ტრადიციულ სახეს იღებს და გორის მუნიციპალიტეტის მონდომებით და ფინანსური დახმარებით უკვე ყოველ წელიწადს იმართება, რისთვისაც თქვენი გაზეთის მეშვეობითაც მინდა მათ მადლობა გადავუხადო. მათი დამსახურებაა, რომ ეს შეჯიბრებები ტრადიციული გახდა და მონაწილე გუნდების რაოდენობაც სულ უფრო იზრდება.

**— ბექა, როგორც ვიცით, შარშან თავად პროფესიულ რინგზეც სცადე ბედი და პირველი ორთაბრძოლა წარმატებითაც დასრულდა. მას შემდეგ რატომ აღარ მოგიწია პროფესიონალებში ასპარეზობამ?**

— ის ბრძოლა ჩეხ მოკრივეს მოვუგე. მას შემდეგ ტრავმის გამო იძულებითმა შესვენებამ მომიწია. ახლა ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზეა და სავარაუდოდ, ერთ თვეში მორიგ ბრძოლასაც ჩავატარებ.

**— ამას წინათ ჩვენს გაზეთთან საუბარში გიორგი კანდელაკი თავის სამოყვარულო კრივის კარიერას დაკარგულ დროდ მიიჩნევდა და ყველა მოკრივეს ურჩევდა მენეჯერთაგან სერიოზული შეთავაზების შემთხვევაში, ადრევე გადასულიყვნენ პროფესიულ რინგზე. თქვენ გარკვეული გამოცდილება უკვე გაქვთ ორივე სარბიელზე და ახლა რას ფიქრობთ ამაზე?**

— ჩემი აზრით, აუცილებელია თავდაპირველად სამოყვარულო რინგზე გარკვეული გამოცდილება, მიღწევები და მხოლოდ ამის შემდგომ მიმაჩნია მიზანშეწონილად მოკრივის პროფესიულ რინგზე გადასვლა. ზოგადად, მართალია, სამოყვარულო კრივი არ ჰგავს პროფესიულს, მაგრამ ამ უკანასკნელში წარმატებების მისაღწევად სამოყვარულო კრივში მიღებული გამოცდილება მხოლოდ სასიკეთოდ თუ წაადგება სპორტსმენს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლომი და ვეფხვი



## ტურის მატჩი: მაიამი-კლივლენდი

მორიგ სათამაშო დღეს ტურის მატჩის ამორჩევა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. "მაიამი ჰიტისა" და "კლივლენდ კავალიერზის" დაპირისპირება ორი მეგობრის - **დუეინ უეიდისა** და **ლებრონ ჯეიმსის** დუელად გადაიქცა. ეს იყო ლომისა და ვეფხვის ორთაბრძოლა, რომელსაც მხოლოდ ერთი გამარჯვებული უნდა ჰყოლოდა.

*"ეს ძალიან, ძალიან რთული იყო"*, - ამბობდა მატჩის შემდეგ ჯეიმსი, რომელმაც შვიდიდან ექვსი სამქულიანი გამოიყენა. უეიდის პასუხიც შთამბეჭდავი იყო - შვიდი ჩაჭრა და რამდენიმე ფენომენური ზემოდან გდება. *"ჩვენ თამაშს ვცდილობდით, გვინდოდა სპექტაკლი დაგვედგა მოედანზე,* - ასეთი კომენტარი გაუკეთა მეგობართან დუელს უეიდმა. - *დღეს პარკეტზე ორი ბრწყინვალე კალათბურთელი იყო გასული. ისინი აკეთებდნენ იმას, რაც ყველაზე კარგად იციან და ცდილობდნენ თავიანთ გუნდებს გამარჯვებაში დახმარებოდნენ"*.

მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე რვა წუთით ადრე უეიდმა საშუალო მანძილიდან ზუსტი ტყორცნით "ჰიტის" უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა. მაგრამ სულ რაღაც ერთ წუთში უილიამსის ორმა სამქულიანმა და ლებრონის ჩატენვამ "მაიამის" უპირატესობიდან თითქმის არაფერი დატოვა - 88:91. და ამ დროს **ერიკ სპოელსტრამ** ტაიმ-აუტი აიღო. *"ჩვენ გვქონდა უპირატესობა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შევძელით,* - სინანულით აღნიშნა მატჩის შემდეგ "მაიამის" დამრიგებელმა. - *ამიტომაც, ეს წაგება ორმაგად სამწუხაროა"*.

"ჰიტს" ტაიმ-აუტმაც ვერ უშველა, რადგან ლებრონს სამქულიანები წაუვიდა. ფლორიდელები შოკიდან ველარ გამოვიდნენ: 107:100 - "კავალერების" ბრწყინვალე გამარჯვება. *"ჩემი აზრით, ეს იყო ამ სეზონში ჩვენი საუკეთესო შეხვედრა"*, - დაასკვნა ჯეიმსმა.

ლებრონს დაავიწყდა იმის აღნიშვნა, რომ ეს მისი გუნდისთვის ისტორიული გამარჯვება იყო. ახლა "კლივლენდს" 47 მოგება და 12 წაგება აქვს. "კავალიერზს" ისტორიაში მოგება-წაგების ასეთი სხვაობა არასოდეს დაუფიქსირებია.

მეგობრულ დუელს რაც შეეხება, აქ გამარჯვებული ჯეიმსი გამოვიდა: 42 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი, 1 დაფარება და 1 ჩაჭრა. უეიდს 41 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა, 7 ჩაჭრა და 1 დაფარება ჰქონდა. *"ეს რაღაც სიზმარი იყო"*, - ასეთი დასკვნა გააკეთა ამ მატჩს "კლივლენდის" დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა**.

## ტურის გმირი: ფრედ ჯონსი

კალათბურთში ჩვეულებრივი ამბავია ბოლო წამებზე მოედნის ნებისმიერი წერტილიდან ტყორცნა. გასულ ტურში "ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველმა **ფრედ ჯონსმა** "სან ანტონიო სპურსთან" მატჩის პირველ მეოთხედში, სირენასთან ერთად საკუთარი მოედნიდან ჩააგდო ბურთი! ეს ფენომენური ტყორცნა იყო. მაგრამ ჯონსმა თავისი პარტნიორების გამოფხიზლება მაინც ვერ შეძლო. "კლიპერსმა" ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, "სპურსმა" კი **ტიმ დანკანის** დაბრუნების შემდეგ პირველი მატჩი მოიგო.

## ტურის ფრაზა

*"არ ვიცი და არ მესმის, როგორ აკეთებს ის ამას"*, - ენა დაება "კლივლენდის" დამრიგებელ **მაიკ ბრაუნს**, როცა შეუდარებელი და გენიალური ლებრონ ჯეიმსის ჩატენვა იხილა. თუმცა, აქ სიტყვები ისედაც არ არის საჭირო, უბრალოდ უნდა უყურო და სიამოვნება მიიღო.

**ფილადელფ-ნ. ორლეანი 91:98**

14:21, 31:25, 22:25, 24:27

ფ: იგუოდალა (30), ა. მილერი (28+7 პასი), ტ. იანგი (11).

ნ-ო: დ. უესტი (30+10 მოხსნა), პოლი (16+12 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბატლერი (16+10 მოხსნა), პოუსი (16+12 მოხსნა), ტ. ჩენდლერი (9+9 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ატლანტა 89:98**

22:24, 23:22, 18:25, 26:27

ვ: ჯეიმისონი (23+9 მოხსნა), მაკგი (14+9 მოხსნა+3 დაფარება), ბლეტჩი (12), სონგაილა (12), კრიტერტონი (10).

ა: მ. უილიამსი (28), ჯო ჯონსონი (16+13 პასი), ჰორფორდი (16+8 მოხსნა), ჯ. სმიტი (13), ფაჩულია (10).

**მაიამი-კლივლენდი 100:107**

26:30, 29:28, 27:18, 18:31

მ: უეიდი (41+7 მოხსნა+9 პასი+7 ჩაჭრა), ჯ. ო'ნილი (16+8 მოხსნა), ჩელმერსი (15), მუნი (11+8 მოხსნა), ჰასლემი (9+9 მოხსნა).

კ: ლ. ჯეიმსი (42+8 მოხსნა), მ. უილიამსი (30+7 მოხსნა+7 პასი), ილგაუსკასი (12+15 მოხსნა).

**ოკლაჰომა-დალასი 96:87**

23:23, 25:21, 31:15, 17:28

ო: კრისტიჩი (26), უივერი (18), უესტბრუკი (17+10 მოხსნა+10 პასი), სეფოლოშა (15+7 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (28+6 პასი), ტერი (20+3 ჩაჭრა), კიდი (9+6 ჩაჭრა).

**კლიპერსი-სან ანტონიო 78:106**

21:26, 15:23, 23:31, 19:26

კ: ფ. ჯონსი (14), ტორნტონი (14), მ. ტეილორი (13+8 მოხსნა), კემბი (12+8 მოხსნა), ნოვაკი (11), ბ. დევისი (10+8 პასი).

ს-ა: ტ. პარკერი (26+10 პასი), დანკანი (18+12 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ფინლი (14), ბონერი (14).

## კვირის მოთამაშეები

"ნიუ ჯერსის" გამთამაშებელი **დევინ ჰარისი** და "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ფორვარდი **დევიდ უესტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჰარისმა საშუალოდ მატჩში 37.7 ქულა დააგროვა. ის გახდა მეორე მოთამაშე სეზონში, ვინც ზედიზედ ორ შეხვედრაში 39 ან მეტი ქულა დააგროვა (39 "ფილადელფიასა" და 42 - "ჩიკაგოს" წინააღმდეგ).

დასავლეთში საუკეთესო დევიდ უესტმა თავის გუნდს ოთხიდან ოთხ მატჩში მოაგებინა. მისი საშუალო მონაგარი 28.5 ქულაა. ფორვარდის ანგარიშზე სამი ორმაგი დუბლი მოდის. აქედან ორ მატჩში მან 30 ქულაზე და 10 მოხსნაზე მეტი დააგროვა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ბორის დიაო** ("შარლოტი"), **სტივენ ჯექსონი** ("გოლდენ სტეიტი"), **ჟიდრუნას ილგაუსკასი, ლებრონ ჯეიმსი** (ორივე - "კლივლენდი"), **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო"), **ტროი მერფი** ("ინდიანა"), **ზაკ რენდოლფი** ("კლიპერსი"), **დუეინ უეიდი** ("მაიამი") და **შაკილ ო'ნილი** ("ფინიქსი").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი | 59 | 47 | 12 | 79.7 |
| 2. ბოსტონი | 61 | 47 | 14 | 77.0 |
| 3. ორლანდო | 59 | 43 | 16 | 72.9 |
| 4. ატლანტა | 60 | 34 | 26 | 56.7 |
| 5. მაიამი | 59 | 31 | 28 | 52.5 |
| 6. დეტროიტი | 58 | 29 | 29 | 50.0 |
| 7. ფილადელფია | 59 | 29 | 30 | 49.2 |
| 8. მილუოკი | 62 | 29 | 33 | 46.8 |
| 9. ჩიკაგო | 60 | 27 | 33 | 45.0 |
| 10. ნიუ ჯერსი | 59 | 26 | 33 | 44.1 |
| 11. ინდიანა | 59 | 26 | 36 | 41.9 |
| 12. შარლოტი | 60 | 25 | 35 | 41.7 |
| 13. ნიუ იორკი | 59 | 24 | 35 | 40.7 |
| 14. ტორონტო | 61 | 23 | 38 | 37.7 |
| 15. ვაშინგტონი | 60 | 14 | 46 | 23.3 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 60 | 48 | 12 | 80.0 |
| 2. სან ანტონიო | 59 | 40 | 19 | 67.8 |
| 3. დენვერი | 60 | 39 | 21 | 65.0 |
| 5. ჰიუსტონი | 60 | 38 | 22 | 63.3 |
| 6. ნიუ ორლეანი | 59 | 37 | 22 | 62.7 |
| 4. პორტლენდი | 59 | 37 | 22 | 62.7 |
| 8. იუტა | 60 | 37 | 23 | 61.7 |
| 7. დალასი | 60 | 36 | 24 | 60.0 |
| 9. ფინიქსი | 59 | 34 | 25 | 57.6 |
| 10. გ. სტეიტი | 59 | 20 | 39 | 33.9 |
| 11. მინესოტა | 59 | 18 | 41 | 30.5 |
| 12. მემფისი | 58 | 15 | 43 | 25.9 |
| 14. ოკლაჰომა | 59 | 15 | 45 | 25.0 |
| 13. კლიპერსი | 61 | 15 | 46 | 24.6 |
| 15. საკრამენტო | 61 | 13 | 48 | 21.3 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 29.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 26.0 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.2 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.0 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 23.1 |
| ბრენდონ როი (პორ) | 22.6 |
| კრის ბოში (ტორ) | 22.4 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 22.3 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.1 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 12.5 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.9 |
| ტროი მერფი (ინდ) | 11.8 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.6 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.7 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.6 |
| იაო მინი (ჰიუ) | 9.6 |
| კრის ბოში (ტორ) | 9.5 |
| პაუ გასოლი (ლეიკ) | 9.4 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.0 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.5 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.5 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 8.5 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.3 |
| ბაირონ დევისი (კლივ) | 7.9 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 7.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.0 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.2 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 1.9 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.9 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |
| რაიმონდ ფელტონი (შარ) | 1.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 1.7 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.9 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 2.4 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.3 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ტორ) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

# კარმელო კლუბმა დასაჯა

"დენვერ ნაგეტსის" ხელმძღვანელობამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა თავისი ერთ-ერთი ლიდერი **კარმელო ენტონი**. როგორც ირკვევა, კალათბურთელმა კვირას, "ინდიანასთან" მატჩისას კლუბის შიდაგანაწესი დაარღვია.

*"არსებობს ქცევის გარკვეული ნორმები, რომელსაც ყველა პატივისცემითა და მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გუნდის კაპიტანს ეხება. კარმელოს კარგად ესმის ეს და წუხილს გამოთქვამს მომხდარის გამო. მას ძალიან უყვარს მეტოქეობა და ცხელ გულზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ მას ერთი ტურის შემდეგ შემადგენლობაში ველით. ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა კომენტარი არ იქნება"*, - განაცხადა "ნაგეტსის" ვიცე-პრეზიდენტმა **რექს ჩეპმენმა**.

# ნავარო ევროს გამოტოვებს

"ბარსელონას" მცველი **ხუან კარლოს ნავარო** ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის გამოტოვებას აპირებს. ეს ტურნირი სექტემბერში პოლონეთში გაიმართება.

როგორც გაზეთი "მარკა" წერს, ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ორივე ტერფის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. ამის გამო, ნავაროს მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ოპერაციის გაკეთება აქვს დაგეგმილი, რასაც 4-6-თვიანი სარეაბილიტაციო კურსი მოჰყვება.

2008 წელს, ნავარომ 97 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ტრავმაც სწორედ ამის შემდეგ გაუმიზეზდა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე თამაშს არ აპირებს ესპანეთის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი **პაუ გასოლი**.

ავტოსპორტი. დაკარი




არგენტინის პრეზიდენტი კრისტინა კირხნერი

# დაკარი სამხრეთ ამერიკაში რჩება

"დაკარის" ლეგენდარული ავტომარათონი მომავალ წელსაც სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე ჩატარდება. გუშინ ამის შესახებ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე რბოლის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს.

როგორც იცით, "დაკარის" 31-წლიან ისტორიაში პირველად, წელს რბოლა აფრიკის ტერიტორიაზე არ გამართულა და მას ერთობლივად არგენტინამ და ჩილემ უმასპინძლეს. ავტომარათონის სამხრეთ ამერიკაში გადატანა მავრიტანიელი ტერორისტების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხით იყო გამოწვეული.

ვარაუდობდნენ, რომ 2010 წელს "დაკარი" აფრიკაში დაბრუნდებოდა, მაგრამ რბოლის ორგანიზატორები ისე მოიხიბლნენ არგენტინასა და ჩილეში შექმნილი პირობებითა და იქაური ტრასების სირთულით, რომ ადგილმდებარეობის შეცვლა აღარ ისურვეს და "დაკარი" მინიმუმ ერთი წლით სამხრეთ ამერიკაში დატოვეს.

ცნობილია, რომ გაისად რბოლა 2 იანვარს დაიწყება და 15-ში დასრულდება. ჯერჯერობით დადგენილი არ არის მარშრუტი. წელს ჩილეს ტერიტორიაზე 13-დან მხოლოდ სამი ეტაპი გაიმართა და ახლა ამ ქვეყანას სურს, რომ რბოლის მონაწილეებმა უფრო მეტი ხანი დაყონ ჩილეს ტერიტორიაზე.

შეგახსენებთ, წელს მსუბუქი მანქანების კლასში "დაკარის" ტრიუმფატორი გახდა სამხრეთაფრიკელი **ეტიენ დე ვილიერსი**, მოტოციკლების კლასში კი საუკეთესო დრო ესპანელმა **მარკ კომამ** აჩვენა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სხვადასხვა

**ფორმულა 1**

## ჰონდამ ბარიკელო აირჩია

ჟურნალი Autosport სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ვეტერანმა ბრაზილიელმა **რუბენს ბარიკელომ** "ჰონდასთან" ახალი კონტრაქტის პირობები შეათანხმა.

ჯერჯერობით ხელშეკრულება არ გაფორმებულა, მაგრამ პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ბარიკელო ამ სეზონში კვლავაც ბრიტანელი **ჯენსონ ბატონის** პარტნიორი იქნება.

თავდაპირველი ინფორმაციით, "ჰონდა" არ აპირებდა ბრაზილიელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას და მის ნაცვლად ახალგაზრდა **ბრუნო სენას** იწვევდა, მაგრამ ბარიკელოს გაუმართლა და ის კიდევ ერთ სეზონს გაატარებს ფორმულა 1-ში. შეგახსენებთ, რომ "ფერარის" ყოფილი წევრი ფორმულის რეკორდსმენია ჩატარებული ეტაპების რაოდენობით.

## ბრიატორემ ხელფასი ჩამოიჭრა

ფინანსური კრიზისი "რენოს" ხელმძღვანელობას ხარჯების დაზოგვის ათასგვარი ხერხისკენ უბიძგებს. არ არის გამორიცხული, რომ ენსტონსა და ვირ-ში მდებარე ქარხნებში მომსახურე პერსონალის რიცხვი შეამცირონ.

მანამდე კი ფრანგული საჯინიბო თავისი თანამშრომლებისთვის ხელფასების შესამჩნევად დაკლებას აპირებს. ქვეშევრდომებს მაგალითი თავად გუნდის სპორტულმა დირექტორმა **ფლავიო ბრიატორემ** მისცა, რომელმაც საკუთარი ხელფასი 20 პროცენტით შეამცირა.

**ჩოგბურთი**

## მიურეი დევისის თასს დააკლდება

გადაწყდა, რომ ბრიტანელი **ენდი მიურეი** მომავალ უქმეებზე თავის გუნდს დევისის თასის მატჩში ვერ დაეხმარება. როგორც იცით, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს ვირუსული ინფექცია შეეყარა და ამის გამო გასულ კვირას დუბაის ტურნირი ვერ დაასრულა. ბრიტანეთის ნაკრები 6-8 მარტს გლაზგოში უკრაინას მასპინძლობს. ეს არის დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის შეხვედრა.

*"ძალზე სამწუხაროა, რომ არ შემიძლია ამ კვირას გლაზგოში თამაში. ექიმებმა მითხრეს, რომ გამოჯანმრთელებისთვის მინიმუმ ერთი კვირა დამჭირდება"*, - განაცხადა მიურეიმ.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის ბრიტანელთა რიგებში ენდის. ამ მომენტისთვის გუნდის შემადგენლობაში ირიცხებიან - **ჯოშუა გუდალი** (192-ე ნომერი), **ჯეიმს უორდი** (374) და **როს ჰათჩინსი** (44-ე ნომერი წყვილთა თანრიგში).

რაგბი

# უილკინსონი საფრანგეთში მიდის?



"ნიუკასლისა" და ინგლისის ნაკრების მორაგბე **ჯონი უილკინსონმა**, შესაძლოა, ფრანგულ "რასინგ მეტროში" განაგრძოს კარიერა. ჭორების მიხედვით, ტრანსფერის ღირებულება 1.5 მილიონ ფუნტს შეადგენს. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ფრანგებმა წინადადებით მიმართეს ინგლისელ ვარსკვლავს, ახლა კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სპორტსმენის აგენტებმა "რასინგის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები დაიწყეს.

ინგლისური კლუბი უილკინსონისთვის ხელფასის სახით მინიმუმ 300 ათას ფუნტს ითხოვს და ეს იმის მიუხედავად, რომ ჯონის მუხლის ტრავმის გამო ბოლო ექვსი თვე არ უთამაშია.

ამ ტრანსფერის განხორციელება მაინც რთული იქნება, რადგან "ნიუკასლის" პრეზიდენტი **სტივ ბეიტსი** აცხადებს, რომ მის კლუბს ჯერაც აქვს ჯონი უილკინსონის იმედი.

*"მას მომავალი სეზონისთვის ჩვენთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული და იმედია, ჯონი მას პირნათლად შეასრულებს"*, - ამბობს ბეიტსი.

ამ მომენტისთვის უილკინსონი ტრავმას მკურნალობს და მისი მოედანზე დაბრუნება მარტის ბოლოს არის ნავარაუდები.

# იტალია მსოფლიოს თასს უმიზნებს

იტალიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მხარს უჭერს ქვეყანაში მსოფლიოს თასის გამართვის იდეას. ქვეყნის რაგბის ფედერაციას (FIR) სურვილი აქვს რაგბის მთავარ ფორუმს 2015 ან 2019 წელს უმასპინძლოს. უფრო ადრე, რაგბის საერთაშორისო კავშირმა (IRB) ორდღიანი მოლაპარაკებები გამართა იტალიის სპორტის მინისტრ **როკო კრიმისთან**.

*"ამ შეხვედრების პოზიტიური განწყობით აღფრთოვანებული დავრჩი, გარდა ამისა, მოვიხიბლე იმ ხარისხიანი მუშაობით, რომელიც იტალიურმა მხარემ გასწია. ეს ხაზს უსვამს ამ ქვეყანაში რაგბის დიდ პროგრესს"*, - ამბობს IRB-ის პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე**.

საერთაშორისო კავშირის მთავარი პირობაა - 80 მილიონი დოლარის ოდენობის წინასწარი შესატანი 2015 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლისთვის და 96 მილიონი - 2019 წლის ტურნირის ორგანიზატორისთვის. უფრო ადრე, სამხრეთ აფრიკისა და ინგლისის მთავრობებმაც მზადყოფნა გამოთქვეს ამ ტურნირების ორგანიზებაზე. კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოს თასის ჩატარება სურს, იაპონია გახლავთ.

IRB-ის ხელმძღვანელობა ყველა იმ ქვეყანას ესტუმრება, რომელიც საერთაშორისო კავშირში შესაბამის განაცხადს შეიტანს. განაცხადების ფინალური პრეზენტაცია 13 მაისს შედგება. მსოფლიოს თასის გათამაშებათა მასპინძლებს კი 28 ივლისს გამოაცხადებენ.

მძლეოსნობა

# ელენა 2013 წელს წავა

კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი ქალი **ელენა ისინბაევა**. 26-გზის მსოფლიოს რეკორდსმენმა ახალი სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა. გარდა ამისა, კარიერის დასრულების ზუსტი თარილი გამოაცხადა.

მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, ისინბაევა რეკლამას გაუწევს სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ ჩინურ კომპანია - "ლი ნინს". მხარეებმა კონტრაქტის ფინანსური დეტალების გამხელა არ ისურვეს, მაგრამ ჩინელმა ჟურნალისტებმა სხვა წყაროების მეშვეობით შეიტყვეს, რომ რუსი ათლეტი წელიწადში ერთ-ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებს.

ისინბაევამ განაცხადა, რომ ამ კონტრაქტის გაფორმების მთავარი მიზეზი ფირმის დამფუძნებელი - **ლი ნინი** გახდა. ეს უკანასკნელი ტანვარჯიშში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია და სწორედ მან აანთო შარშან პეკინის სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი. რუსმა აღიარა, რომ ლი ნინის სპორტული მიღწევები მასში ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა.

ელენა ისინბაევას უკვე მრავალი წელია კონკურენტი არ ჰყავს ჭოკით ხტომაში. მას ორ-ორჯერ აქვს მოგებული ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოს ჩემპიონატი, ხოლო მისი ამჟამინდელი რეკორდი 5 მეტრსა და 5 სანტიმეტრს უდრის. როგორც ელენა ამბობს, ის საკუთარ თავში ხედავს პოტენციალს, რომ მსოფლიოს რეკორდი 5 მეტრსა და 30 სანტიმეტრზე აიყვანოს.



რაც შეეხება სპორტიდან წასვლას, 26 წლის ისინბაევა 2013 წელს დაასრულებს კარიერას. ამ წელს მოსკოვი მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და სწორედ იქ ვარაუდობს ელენა დიდ სპორტთან გამოთხოვებას.

## გოდინა სპორტიდან მიდის

ბირთვის კვრაში ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი **ჯონ გოდინა** კარიერის დასრულებას აპირებს.

*"ყოველდღიურმა ვარჯიშებმა და ტურნირებში მონაწილეობამ ძალიან გადამღალა. იმდენად გამოვიფიტე, რომ თავს სპორტსმენად ველარ აღვიქვამ, - ამბობს 36 წლის ამერიკელი. - მაგრამ დიდი სპორტიდან ამაყად მივდივარ. სრულ კმაყოფილებას ვგრძნობ იმით, რასაც მძლეოსნობაში მივაღწიე. ბირთვის კვრა ხშირად დოპინგთან ასოცირდება და მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის სკანდალებისგან მის განმენდაში დიდი როლი ვითამაშე. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, სპორტში დარჩენას ვაპირებ"*.

ჯონ გოდინა ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ ორჯერ აღიარა ქვეყნის წლის საუკეთესო მძლეოსნად.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| ინგლისი | |
|---|---|
| პორტსმუთი-ჩელსი | 0:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1:3 |
| ლივერპული-სანდერლენდი | 2:0 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბლეკპული-ბარნლი | 0:1 |
| კარდიფი-ბარნსლი | 3:1 |
| ჩარლტონი-დონკასტერი | 1:2 |
| დერბი-სუონსი | 2:2 |
| იფსვიჩი-საუთჰემპტონი | 0:3 |
| ნოტინგემი-პრესტონი | 2:1 |
| პლიმუტი-უოტფორდი | 2:1 |
| უენსლი-რედინგი | 1:2 |
| კრ. პალასი-ვულვზი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-ნორვიჩი | 0:1 |
| **I ლიგა** | |
| სკანთორფი-უოლსოლი | 1:1 |
| როვერსი-ბრაიტონი | გადაიდო |
| ქრიუ-კარლაილი | 1:2 |
| ჰარტლპული-ტრანმერი | 2:1 |
| ჰადერსფილდი-კოლჩესტერი | 2:2 |
| ლესტერი-სტოკპორტი | 1:1 |
| ლეიტონი-პიტერბრო | 2:3 |
| ნორთჰემპტონი-მილტონი | 0:0 შეწყდა |
| საუთენდი-მილუოლი | 0:1 |
| სუინდონი-ჩელტენემი | 2:2 |
| იეოვილი-ჰერეფორდი | გადაიდო |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-პორტ ვეილი | გადაიდო |
| ბარნეტი-როჩდეილი | 2:1 |
| ბორნმუთი-ალდერშოტი | 2:0 |
| ბრედფორდი-მაკლსფილდი | 1:0 |
| ბერი-ჩესტერფილდი | 1:2 |
| დაგენჰემი-ლინკოლნი | 0:3 |
| დარლინგტონი-ნოტსი | 1:0 |
| გრიმსბი-ბრენტფორდი | 0:1 |
| ლუტონი-ჯილინგემი | 0:0 |
| როტერჰემი-მორეკამბი | გადაიდო |
| შრიუსბერი-ექსეტერი | 1:1 |
| უიკომბი-ჩესტერი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ქროული-რედსპემი | 1:0 |
| ისტბურნი-ოქსფორდი | 0:3 |
| გრეისი-ტორკი | 1:2 |
| კეტერინგი-ალტრინჩემი | 3:1 |
| სალისბერი-რაშდენი | გადაიდო |
| სტივენეიჯი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| უოკინგი-კიდერმინსტერი | 0:0 შეწყდა |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ლაციო-იუვენტუსი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ზანდჰაუზენი-ვერდერი A | 3:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| მაინცი-შალკე | 1:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| გინგამი-ლე მანი | 1:0 |
| დიჟონი-გრენბოლი | 1:1, პენ. 2:4 |
| ბულონი-ტულუზა | 0:2 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| გენკი-ლიერსი | 2:2 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ფერეირა-ნასიონალი | 2:2 |
| **შოტლანდია** | |
| ფალკირკი-დანდი იუნ | 0:1 |
| სტ. მირენი-აბერდინი | 1:1 |
| **I დივიზიონი** | |
| კლაიდი-მორტონი | 2:4 |
| რ...სი-დანფერმლაინი | გადაიდო |
| **II დივიზიონი** | |
| სტირლინგი-ალოა | 0:0 |
| ბრეჩინი-რეითი | გადაიდო |
| **III დივიზიონი** | |
| დამბარტონი-ისტ სტირლინგი | 2:0 |
| სტენჰაუზმური-კოუდენბითი | 1:0 |
| ალბიონი-ელჯინი | 2:1 |
| ფორფარი-არენი | 2:1 |

| ფინეთის ლიგის თასი | |
|---|---|
| ლაჰტი-იუვიასკიულა | გადაიდო |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| კაპფენბერგი-ვინერი | 1:2 |
| ტრენკვალდერი-რიდი | 1:1, პენ. 4:3 |
| რაპიდი A-აუსტრია A | 1:1, პენ. 1:4 |
| შტურმი-აუსტრია (ვ) | 0:0, პენ. 3:5 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ანკარა-ბეშიქთაში | 1:3 |
| **უელსი** | |
| ებერსვითი-ქონეჰსი | გადაიდო |
| ბანგორი-ნიუთაუნი | გადაიდო |
| კარმარტენი-ჰავერფორდვესტი | 3:0 |
| ლანელი-ნითი | გადაიდო |
| ნიუპ-პორტ ტელბოტი | 1:1 |
| უელშპული-რილი | 0:2 |

## კალათბურთი

| ევროთასი | |
|---|---|
| აზოვმაში-ჰემოფარმი | 89:71 |
| უნიქსი-ბენეტონი | 81:59 |
| ხიმკი-მარუსი | 94:69 |
| პანელინიოსი-დინამო (მ) | 72:77 |
| ლეტუვოს რიტასი-შარლერუა | 77:56 |
| ზადარი-ტურკ ტელეკომი | 94:86 |
| ერტლანდი-ბილბაო | 84:79 |
| ვალენსია-ცრ. ზვეზდა | 82:80 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ურალ გრეიტი-აელ | 83:57 |
| გალათასარაი-კიევი | 73:80 |
| ამსტერდამი-ცსკ ვვს | 84:69 |
| ოლდენბურგი-ვირტუსი | 73:64 |
| მონსი-ტრიუმფი | 83:68 |
| კახასოლი-ლოკომოტივი | 74:61 |
| შოლე-ლიეჟი | 71:78 |

## ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ტორპედო | 4:2 |
| აკ ბარსი-ბარისი | 4:2 |
| სკა-სპარტაკი | 1:1 |
| ცსკა-ლადა | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-გრაცი | 5:1 |
| **დანია** | |
| ნორდსილანდი-ოდენსე | 2:3 |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 3:6 |
| ფრედრიქსჰავნი-როდოვრე | 2:2 |
| ესბერგი-სენდერიისკი | 4:5 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ფრისკ ასკერი | 7:1 |
| ლილეჰამერი-სტიორნენი | 2:3 |
| სპარტა-ლორენსკოგი | 7:2 |
| სტავანგერი-სტორჰამარი | 7:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ბისტრიცა | 5:3 |
| სლოვანი-მარტინი | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-იუვიასკიულა | 2:7 |
| კალპა-პელიკანსი | 2:4 |
| კერპეტი-ჰპკ | 1:3 |
| სეიპა-ჰიფკ | 1:4 |
| ტპს-კიეკო | 1:2 |
| ესეტი-ლუკო | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 1:1 |
| სპარტა-ზლინი | 4:0 |
| კლადნო-ზნოიმო | 5:1 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ცუგი | 2:2 |
| კლოტენი-ჟენევა | 4:1 |
| ლანგნაუ-ბილი | 3:4 |
| რაპერსვილი-ამბრი | 2:1 |
| ციურიხი-ფრიბურგი | 1:2 |
| დავოსი-ლუგანო | 3:3 |

## ჩოგბურთი

| WTA. მონტერეი | |
|---|---|
| ზაკოპალოვა-კინგი | 1:6, 4:6 |
| რიბარიკოვა-გალოვიცი | 6:4, 3:6, 6:3 |
| კორიტცევა-ვეინეროვა | 6:4, 6:1 |
| ჩინკი-კუდრიავცევა | 7:5, 6:1 |
| შავაი-პარმენტიე | 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

### 4 მარტი. ოთხშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:50 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
08:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სანდერლენდი.
15:05 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:05 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
22:55 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბილბაო-სევილია (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მალიორკა-ბარსელონა (LIVE).
03:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.
05:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მიდლსბრო.

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

08:30 ტაილანდური კრივი.
09:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
10:00 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
10:30 ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი.
11:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
11:20 დროთა კავშირი.
11:25 ჰარმონიის ფორმულა.
11:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
11:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. სკრა (პოლონეთი)-ისკრა (რუსეთი).
13:15 კალათბურთი. NBA-ის საკვირაო მიმოხილვა.
14:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
14:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
14:45 სპორტის აკვატორია.
15:15 ბილიარდი. პული. აშშ-ს ღია პირველობა.
16:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
17:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
17:15 თოვლის სამყარო. ტელეჟურნალი.
17:45 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები, ქალები. აკრობატიკა. ფინალები. იაპონია.
19:15 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
19:45 ჰოკეი.
20:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. V ტური. ცსკა-ფენერბაჰჩე (LIVE).
23:10 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. მაჩერატა (იტალია)-ზენიტი (რუსეთი) (LIVE).
01:15 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
01:35 დროთა კავშირი.
01:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
01:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
02:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (LIVE).
04:25 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
04:40 დროთა კავშირი.
04:45 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
04:50 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ტურკ ტელეკომი (თურქეთი)-დინამო (რუსეთი).

#### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. უფა. რუსეთი.
13:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ესტაფეტა. კაცები. უფა. რუსეთი (LIVE).
14:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ესტაფეტა. ქალები. უფა. რუსეთი.
15:45 აკრობატიკა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გლაზგო. შოტლანდია.
16:45 სნუკერი.
18:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
18:45 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ესტაფეტა. ქალები. უფა. რუსეთი.
19:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. დიუსელდორფი. გერმანია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ესტაფეტა. კაცები. უფა. რუსეთი.
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. უკრაინა.
23:30 მოგზაურობა. ტელეჟურნალი.
00:00 მულტისპორტი.
00:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:10 გოლფი. US PGA-ის ტური.
01:10 გოლფი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
02:10 გოლფ-კლუბი.
02:15 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:25 მულტისპორტი.
02:30 მოგზაურობა. ტელეჟურნალი.
03:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
03:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ესტაფეტა. ქალები. უფა. რუსეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-კოლორადო 4:2**

1:0, 2:1, 1:1

გოლები: 1:0 მაკამონდი-5 (სიმი-4, ტამბელინი-5), 1:1 რ. სმიტი-22 (პ. შჩასტნი-23, ჰეიდუკი-27), 2:1 იოუნსუუ-1 (სიმი-5, კელეჰანი-1), 3:1 ჟერვე-1 (სიმი-6, კომო-10), 3:2 რ. სმიტი-23 (სვატოსი-16, სალეი-15), 4:2 ტამბელინი-3 (შრაიტი-33).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარე **მარტინ ბროდო** დაასახელა, რომელიც ტრიუმფალურად დაუბრუნდა რეგულარულ ჩემპიონატს. მძიმე ტრავმის გამო გამოტოვებული 50 მატჩის შემდეგ, ვეტერანმა გოლკიპერმა 3 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ შატაუტი შეასრულა.

ბროდომ "ფილადელფიას" წინაალმდეგ კარიერაში მეასე "მშრალი" მატჩი ჩაატარა და ახლა, **ტერი სავჩუკის** ყველა დროის რეკორდამდე 13 შატაუტი აკლია. გარდა ამისა, მარტინმა რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვებათა რიცხვი 547-მდე აიყვანა და ოთხი გამარჯვება აკლია პატრიკ რუას ყველა დროის რეკორდის გამეორებამდე.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "კალგარი ფლეიმზის" ფორვარდ **ჯერომ იგინლას** ერგო. მან სამ თამაშში ოთხი გოლი და ექვსი შედეგიანი პასი მიითვალა. გარდა ამისა, ვეტერანმა ორ ღირსშესანიშნავ შედეგს მიაღწია - კარიერაში მე-400 შაიბა გაიტანა და 834 ქულით "კალგარის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან ეს სტატუსი **ტეო ფლერის** ჩამოართვა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ატლანტა ტრეშერზის" თავდამსხმელი **ილია კოვალჩუკი**. რუსის ანგარიშზეა 4 გოლი და 4 პასი.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 63 | 42 | 12 | 9 | 93 |
| 2. ნიუ ჯერსი | 63 | 41 | 19 | 3 | 85 |
| 3. ვაშინგტონი | 64 | 40 | 19 | 5 | 85 |
| 4. ფილადელფია | 61 | 33 | 18 | 10 | 76 |
| 5. მონრეალი | 63 | 34 | 22 | 7 | 75 |
| 6. ფლორიდა | 63 | 32 | 23 | 8 | 72 |
| 7. რეინჯერსი | 64 | 32 | 24 | 8 | 72 |
| 8. პიტსბურგი | 64 | 32 | 26 | 6 | 70 |
| 9. ბაფალო | 63 | 31 | 25 | 7 | 69 |
| 10. კაროლინა | 64 | 32 | 27 | 5 | 69 |
| 11. ტორონტო | 63 | 25 | 26 | 12 | 62 |
| 12. ოტავა | 61 | 23 | 28 | 10 | 56 |
| 13. ტამპა ბეი | 63 | 21 | 30 | 12 | 54 |
| 14. ატლანტა | 63 | 23 | 34 | 6 | 52 |
| 15. აილენდერსი | 63 | 20 | 36 | 7 | 47 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 61 | 42 | 10 | 9 | 93 |
| 2. დეტროიტი | 63 | 41 | 14 | 8 | 90 |
| 3. კალგარი | 62 | 37 | 19 | 6 | 80 |
| 4. ჩიკაგო | 61 | 35 | 17 | 9 | 79 |
| 5. ვანკუვერი | 62 | 32 | 22 | 8 | 72 |
| 6. კოლამბუსი | 63 | 31 | 26 | 6 | 68 |
| 7. ედმონტონი | 62 | 31 | 26 | 5 | 67 |
| 8. ანაჰაიმი | 64 | 31 | 28 | 5 | 67 |
| 9. ნეშვილი | 63 | 31 | 28 | 4 | 66 |
| 10. მინესოტა | 61 | 30 | 26 | 5 | 65 |
| 11. დალასი | 62 | 29 | 26 | 7 | 65 |
| 12. სტ. ლუისი | 62 | 28 | 26 | 8 | 64 |
| 13. ლოს ანჯელესი | 62 | 26 | 27 | 9 | 61 |
| 14. ფინიქსი | 63 | 27 | 31 | 5 | 59 |
| 15. კოლორადო | 64 | 28 | 35 | 1 | 57 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 92 (29+63) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 82 (46+36) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 79 (23+56) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 77 (38+39) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 75 (25+50) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 72 (26+46) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 71 (34+37) |
| მარკ სავარი (ბოს) | 70 (21+49) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 70 (20+50) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 70 (16+54) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 46 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 38 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 36 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 34 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 34 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 34 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 33 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 32 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 30 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 29 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 63 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 56 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 54 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 51 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 50 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 50 |
| მარკ სავარი (ბოს) | 49 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 46 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 46 |

## ჩოგბურთი

# აქაც სერენა და ვენუსი

## როგორ ებრძვიან დები უილიამსები საწოლს?

ნიუ იორკის ლეგენდარულ "მედისონ სკვერ გარდენში" ერთდღიანი საჩვენებელი ტურნირი გაიმართა, რომლის სახელწოდებაა - "ბილი ჯინ კინგის" თასი.

ტურნირში ქალთა ჩოგბურთის ოთხმა საუკეთესო წევრმა (ამერიკელთა აზრით) მიიღო მონაწილეობა - დებმა **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა** და სერბებმა **ელენა იანკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა**.




თავიდან გაიმართა ერთსეტიანი ნახევარფინალები. ამ ეტაპზე კლასიფიკაციის ლიდერმა სერენამ WTA-ის მეშვიდე ნომერ ივანოვიჩს 6:3 მოუგო. ამის შემდეგ კორტზე მესამე და მეხუთე ჩოგნები, იანკოვიჩი და ვენუს უილიამსი გავიდნენ. აქაც ამერიკულ-სერბული დუელი მასპინძელი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა - ვენუსმა 6:4 მოიგო.

ფინალური მატჩის წინ გაიმართა ცერემონია, რომელიც ამ ტურნირის დამაარსებელ **ბილი ჯინ კინგს** მიეძღვნა. ზეიმი ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ **ბილ კლინტონს** მიჰყავდა.

ამის შემდეგ, კორტზე ფინალისტი დები გავიდნენ. ორი კვირის წინ, დუბაის პირველი კატეგორიის ტურნირზე ვენუსმა თავის უმცროს დას ნახევარფინალში მოუგო და ოფიციალურ ურთიერთშეხვედრებში 10:9 დაწინაურდა. მაგრამ ამჯერად უპირატესობა უმცროსი უილიამსის მხარეს იყო, რომელმაც ვენუსს ორ სეტში - 6:4, 6:3 მოუგო. *"ბევრს ვეცადე, მაგრამ დღეს სერენა კორტზე ძალიან კარგი იყო"*, - განაცხადა ვენუსმა.

ტურნირის საპრიზო ფონდი 1.2 მილიონ დოლარს უდრიდა. გამარჯვებულმა სერენამ 400 ათასი მიითვალა, მის ფინალისტ დას 300 ათასი ერგო, სერბებმა კი 250-250 ათასი დოლარი მიიღეს.

■ ■ ■

"მედისონ სკვერ გარდენში" გამართული ტურნირის წინ, ვენუს უილიამსმა ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალს ინტერვიუ მისცა.

კითხვაზე - რას აკეთებთ იმ დღეებში, როცა იღვიძებთ და ვარჯიშის სურვილი არ გაქვთ, - ვენუსმა საკმაოდ საინტერესო პასუხი გასცა.

*"მე ამას "საწოლთან" ბრძოლას" დავარქმევდი*, - ამბობს უფროსი უილიამსი. - *ეს სერენამ მაშინ მოიგონა, როცა დილაობით საწოლიდან ადგომა არ უნდოდა. დღეს ამ სენს იოლად ვუმკლავდები, ადრე კი მშვიდად ვაგრძელებდი ძილს და განსაკუთრებით არ ვნაღვლობდი დაკარგული დღის გამო. ამჟამად, როცა რამდენიმე გამოსასვლელ დღეს ვილებ ხოლმე, მაშინაც კი ვერ ვისვენებ, რადგან მოგვიანებით, დასვენების ყოველი წუთი ძვირად მიჯდება და ჩამორჩენის ასანაზღაურებლად დიდი შრომა მიწევს.*

*"მაგრამ ხანდახან მაინც ვაგებთ "საწოლთან ბრძოლას". ამ დროს ერთმანეთს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ვეხმიანებით*, - აგრძელებს ვენუსი. - *ის სახლის ერთი ბოლოდან მწერს, მე - მეორიდან. მე ვწერ: "ბრძოლას ვაგებ". ის მპასუხობს: "მართლა? მეც ვაგებ!" და ვაგრძელებთ ძილს"*.

ამ ინტერვიუში ვენუს უილიამსმა იმის შესახებაც მოჰყვა, თუ რას გააკეთებს საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ.

*"ჩემი ახალი გატაცება - პილატესია (ვარჯიშების სისტემა, რომელიც მთელი სხეულის კუნთებსა და მოქნილობას ანვითარებს - რედ.). იოგას ვარჯიშებში გარკვეული გამოცდილება მაქვს, მაგრამ პილატესი ახალი აღმოჩენა გახლავთ.*

*მეცადინეობა არასოდეს მიყვარდა და ამ მხრივ გასულ წელს გარკვეული ცვლილებები მოხდა - საბედნიეროდ, პილატესს ვეზიარე. ჩვენს ბიბლიოთეკაში სატრენაჟორო დარბაზი მოვაწყვეთ (მიყვარს ოთახების გადაკეთება!) და მომავალში ვისურვებდი პილატესის სერტიფიცირებული სპეციალისტი გავმხდარიყავი"*, - ამბობს ვენუსი.



# არანჩა დედა გახდა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, 37 წლის **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** პირველი შვილის დედა გახდა. ესპანელ ჩოგბურთელს გოგონა შეეძინა, რომელსაც მეუღლე **ხოსეპ სანტაკანას** რჩევით - არანჩა დაარქვა. სანჩეს-ვიკარიომ შაბათს, ბარსელონის ერთ-ერთ კლინიკაში იმშობიარა. დედა და ბავშვი თავს კარგად გრძნობენ.

არანჩა სანჩეს-ვიკარიო 18 წელი თამაშობდა WTA-ის ტურში. ამ ხნის განმავლობაში მან ერთეულებში 29, ხოლო წყვილებში 67 ტიტული მოიპოვა. არანჩამ ოთხჯერ მოიგო "დიდი სლემის" ტურნირი - სამჯერ როლან გაროსი (1989, 1994, 1998) და ერთხელ - აშშ-ის ღია პირველობა (1994). გარდა ამისა, "დიდ სლემზე" ის წყვილებში ექვსი და მიქსტში ოთხი ტიტულის მფლობელია. ესპანელს ოლიმპიადებზე ორი მედალი (ვერცხლისა და ბრინჯაოს) აქვს მოპოვებული. სანჩეს-ვიკარიო 1995 წელს ჩაუდგა სათავეში ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ვარსკვლავური აკადემია

ამ კვირას ცნობილი **ნიკ ბოლეტიერის** საჩოგბურთო აკადემიაში ვარსკვლავთცვენაა - WTA-ის ვარსკვლავები მომავალი ბატალიებისთვის ემზადებიან. მაგალითად, ბოლეტიერის სამფლობელოში ვხედავთ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგნებს - **მარია შარაპოვასა** და **ელენა იანკოვიჩს**.

რუსი ჩოგბურთელი მთელ დღეებს აკადემიის კორტებზე ატარებს. ის მხრის მძიმე ტრავმის შემდეგ სპორტული ფორმის აკრეფას ცდილობს. ამას შარაპოვა ცნობილი სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ აკეთებს.

ბოლო დროს, არც იანკოვიჩს მისდის კარგად საქმეები. მისი პრიზების კოლექციაში კვლავაც არ მოიპოვება "დიდი სლემის" ტურნირების ტიტული, რეიტინგში კი კარგა ხანია დაკარგა პირველი ადგილი.

აქვე ვხედავთ ავსტრალიელ **ელენა დოკიჩს**. ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, წარმოშობით იუგოსლაველმა მცირე პაუზა აიღო და ახლა მორიგი გმირობისთვის ემზადება. სხვათა შორის, ელენას პირადად ნიკ ბოლეტიერი ავარჯიშებს.

რაც ყველაზე გასაკვირია, ინტენსიურ წვრთნას გადის ვეტერანი ფრანგი **მარი პირსი**. ეს უკანასკნელი 2006 წლის შემდეგ არ გასულა კორტზე და ახლა, კარიერის გაგრძელება განუზრახავს. თუმცა ფრანგი ამას იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ აბსოლუტურად ჯანმრთელი იქნება, ამის გარანტია კი მას არ გააჩნია.



ელენა დოკიჩი და ნიკ ბოლეტიერი





გამოვიდა ახალი ნომერი